www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 12 ივნისი, 2003 წელი. №159 (371)

ფასი 50 თეთრი


## პოლიტიკა

### კრემლის სამხედრო ინიციატივები საქართველოს დსთ-დან რიყავს

28 აპრილს დუშანბეში გაფორმებულმა კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებამ, რომელმაც ხუთი ქვეყანა (ბელორუსი, რუსეთი, სომხეთი, ტაჯიკეთი ყაზახეთი და ყირგიზეთი) გააერთიანა, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სივრცეს ახალი კონფიგურაცია მიანიჭა. უამრავი მიზეზის გამო, ამ განზომილებაში არ აღმოჩნდა საქართველოს ადგილი.

A2

## ეკონომიკა

### დანაშაულებრივი გარიგება საქართველოს წინააღმდეგ

რთული მდგომარეობაა შექმნილი ცენტრალური ბიუჯეტის არასაგადასახადო შემოსავლების მობილიზაციის საქმეში. იმის მიუხედავად, რომ ხუთი თვის გეგმა 92.3 პროცენტით არის შესრულებული, წლის ბოლომდე დანაკლისი 25-26 მილიონ ლარს მიაღწევს.

A4

## უცხოეთი

### ალბანეთი ნატო-ში შეჰყავთ

აშშ თავდაცვის მინისტრი რამსფელდი ევროპაში ოთხდღიანი ვიზიტით იმყოფება. სამშაბათს იგი ალბანეთს ეწვია. რამსფელდმა მადლობა გადაუხადა ალბანელებს ერაყის წინააღმდეგ ომში დახმარებისათვის და განაცხადა, რომ ამ ქვეყნის ნატო-ში გაწევრიანებას აშშ მხარს დაუჭერს.

A5

## საზოგადოება

### საქართველო საკუთარ შრომის კოდექსს ამუშავებს

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი მნიშვნელოვან შეხვედრებს მასპინძლობს. გუშინ იქ მსჯელობა დაიწყო საქართველოს შრომითი კოდექსის პროექტზე. თავდაპირველად ავტორები პროფკავშირების გაერთიანებისა და მეწარმეების წარმომადგენლებს შეხვდნენ.

A6

## სამართალი

### სასამართლო უკანონობაზე თვალს ხუჭავს

უკანონო პატიმრების ყოლის ბრალდებას, ძირითადად, საგამოძიებო ორგანოებს უყენებენ ხოლმე. დღევანდელი ჩვენი რესპონდენტი - ადვოკატი ხათუნა სალუქვაძე, 60 წლის ჯანსულ ლომაიას უკანონოდ დაპატიმრების გამო, პოლიციასთან ერთად მართლმსაჯულების წარმომადგენლებსაც სდებს ბრალს.

A7


## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 29 | ☼ |
| ქუთაისი | 28 | ☁ |
| ბათუმი | 24 | ☁ |
| სოხუმი | 27 | ☼ |
| ფოთი | 26 | ☁ |
| თელავი | 28 | ☼ |
| ზუგდიდი | 28 | ☼ |
| გორი | 26 | ☁ |
| ახმეტა | 28 | ☼ |
| ჭიათურა | 28 | ☼ |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1550 |
| ევრო | 2.5173 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.5853 |
| რუბლი | 0.0707 |

# მძიმე დარტყმა ისედაც მომაკვდავი ეკონომიკისთვის

ეკა კვესიტაძე
ვაშინგტონიდან

**"შეხვედრიდან ძალიან მძიმე შთაბეჭდილებით გამოვედი,"** - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ მსოფლიო ბანკის ვიცე-პრეზიდენტთან კატსუსთან და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების პასუხისმგებელ დირექტორთან დონა დოუსეტ-კორიოლოსთან ერთ საათიანი საუბრის შემდეგ. **"ხვალ მსოფლიო ბანკის პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგაც არა მგონია, რომ რამე შეიცვალოს,"** - დასძინა ნინო ბურჯანაძემ.

მსოფლიო ბანკის სტრუქტურული გარდაქმნების ბოლო ტრანში, რომელიც ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის დაფინანსებას ხმარდებოდა, საქართველომ შარშან მიიღო. 2003 წელს ბანკმა პროგრამა შეწყვიტა და მის აღდგენაზე უარს ამბობს, რადგან ხელისუფლება, ამ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დონორ ორგანიზაციასთან მიღწეულ შეთანხმებებს, უკვე წლებია, არ ასრულებს.

**"წელს ამ პროგრამის აღდგენაზე საერთოდ ლაპარაკიც კი ზედმეტია,** - განაცხადა დავით ონოფრიშვილმა, რომელიც პარლამენტის თავმჯდომარის ყველა შეხვედრას ესწრებოდა, - **მსოფლიო ბანკში აცხადებენ, რომ პროგრამის აღდგენა მომავალი**

გაგრძელება A2 გვერდზე

# მძევლები და გამტაცებლები - ყველა თავისუფლები არიან

სოფო ბუკია

*“კოდორის ხეობა გაერო-ს სამხედრო დამკვირვებელთა მისიის მანდატიდან არ ამოვარდება,”– აცხადებს საქართველოში გაერო-ს მისიის ხელმძღვანელი ჰაიდი ტალიავინი. საგარეო საქმეთა სამინისტროში გუშინ საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე გაერო-ს გატაცებულ დამკვირვებელთა “გონივრულ და ფხიზელ” გათავისუფლებაზე იმსჯელეს.*
*ვინ და რა მიზნით გაიტაცა კლაუს ოტი, ჰერბერტ ბაუერი და ჰენრიკ სორენსენი, ხოლო შემდეგ საიდან აღმოაჩნდათ გამტაცებლებს მაღალი მოქალაქეობრივი პრინციპები, ან გადაიხადა თუ არა ვინმემ მძევალთა გამოსასყიდი თანხა, ამ კითხვებზე პასუხის გაცემა საგარეო საქმეთა სამინისტროში არც უცდიათ.*


ინტერპრესი
*გათავისუფლებული გაერო-ს დამკვირვებლები ერთობ ხალისიანად გამოიყურებოდნენ.*

გაერო-ს დამკვირვებელთა უსისხლოდ გათავისუფლების გამო გუშინ ატეხილი მადლობების კორიანტელი საგარეო საქმეთა სამინისტროშიც გაგრძელდა. გერმანიის ელჩი უვე შრამი, დანიის გაერთიანებული სამეფოს კონსული ესმენ ემბორგი და საქართველოში გაერო-ს მისიის ხელმძღვანელი ჰაიდი ტალიავინი ათას მადლობად დაიღვარნენ პრეზიდენტ შევარდნაძისა და ქართველი სამართალდამცავების მიმართ. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კახა სიხარულიძე უცხოელების აღფრთოვანებას უერთდება და აცხადებს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ და პრეზიდენტმა მძევლების გამოსახსნელად ყველა ღონე იხმარეს. სიხარულიძე აცხადებს, რომ მძევლების გატაცების პირველი წუთებიდანვე პრეზიდენტმა შევარდნაძემ ეს საკითხი პირად კონტროლზე აიყვანა.

**“ეს იყო კრიმინალური ფაქტი საქართველოს წინააღმდეგ,”** – აღნიშნა სიხარულიძემ, რომელსაც, გარდა იმისა, რომ მძევლები გვიან ღამით გაათავისუფლეს, სხვა რაიმე ინფორმაცია კოდორის ხეობაში მომხდარ ინციდენტზე არ აღმოაჩნდა. გავრცელებული ინფორმაცია მძევალთა გათავისუფლებაში კრიმინალური ავტორიტეტის ტარიელ ონიანის

გაგრძელება A2 გვერდზე

# თბილისის წიგნის ფესტივალი ხუთი წლისაა

ახალი წიგნები, ახალი ამბები და ახალი მემარჯვენეები

თამარ სუხიშვილი

ამდენი მუჯლუგუნი იმ ავბედითი დროის პურის რიგების მერე არ მომხვედრია. გუშინ ფილარმონიაში მისულს ისეთი ხალხმრავლობა დამხვდა, კარგა ხანია რომ არ მინახავს და ძლივძლივობით გავიკაფე გზა დარბაზის შუაგულისაკენ. "ერთი-ორი-სამი", ისმოდა დინამიკებში ოთხი საათისათვის; მიკროფონს ასწორებდნენ. სამ წუთში დავიწყებთ – გამოცხადდა ცოტა ხნის შემდეგ მიკროფონში, რომელიც უკვე წესრიგში მოიყვანეს. "მიშა სად არის, მიშა", ისმოდა აქეთ-იქიდან, - "მიშას დაველოდოთ". მერე მიშაც მოვიდა და თბილისის წიგნის V ფესტივალის გახსნის საზეიმო ცერემონიალიც დაიწყო.

“იყო დრო, როცა საგამომცემლო საქმე წინ უსწრებდა მოთხოვნას, ახლა უკვე დგება დრო, როცა საქმე უნდა დაეწიოს იმ მოთხოვნას, რაც თვითონვე გამოიწვია”, - ასე შეაფასა დღევანდელი ვითარება პაატა ნაცვლიშვილმა, რომელსაც ფესტივალის გახსნის პატივი ხვდა წილად და მიკროფონი დავით გამყრელიძეს გადასცა. “დღევანდელი დღე ნამდვილი დღესასაწულია ჩვენი მკითხველისათვის.

გაგრძელება B3 გვერდზე


გოგიტა ბუხაიძის ფოტო
*წიგნის ფესტივალის პირველ დღეს ხალხმრავლობა იყო.*

# სომხეთში კოალიციური მთავრობა შეიქმნება

*საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებულმა სამმა პროკოჩარიანულმა პარტიამ, ხანგრძლივი კონსულტაციების შემდეგ, კოალიციური მთავრობის შესახებ შეთანხმებას მიაღწია.*

პრემიერ-მინისტრ ანდრანიკ მარქარიანის რესპუბლიკური პარტია, სავარაუდოდ, 9 მინისტრის პორტფელს მიიღებს. სომეხი მიმომხილველების აზრით, რესპუბლიკურ პარტიას, ნებისმიერ შემთხვევაში, გაცილებით მეტი ერგება, ვიდრე დანარჩენ ორ პარტიას: “ორინაც იერკირსა” და სომხეთის რევოლუციურ ფედერაციას (დაშნაკციუტუნი). თითოეულს, ალბათ, სამი პორტფელი შეხვდებათ, ანდრანიკ მარქარიანი კი პრემიერ-მინისტრის პოსტს კვლავ შეინარჩუნებს.

მინისტრთა ახალ კაბინეტში კოჩარიანის ძველი თანამებრძოლები შევლენ: თავდაცვის მინისტრი სერჟ სარგსიანი, იუსტიციის მინისტრი დავით ჰარუთიუნიანი და საგარეო საქმეთა მინისტრი ვართან ოსკანიანი. სხვა მინისტრებისაგან განსხვავებით, ჰარუთიუნიანი და ოსკანიანი არც ერთი პარტიის წევრები არ არიან.

სარგსიანმა, რომელსაც კოჩარიანის შემდეგ ყველაზე გავლენიან კაცად მიჩნევენ, ერთმნიშვნელოვნად უარყო პრემიერ-მინისტრად ან სპიკერად საკუთარი კანდიდატურის წამოყენების შესაძლებლობა. “მე თავდაცვის სამინისტროში ვაპირებ მუშაობის გაგრძელებას”, - განუცხადა მან სომეხ ჟურნალისტებს. “კიდევ ძალიან ბევრი რამაა იქ გასაკეთებელი”.

სარგსიანის მტკიცებით, მას, მთელი პოლიტიკური მოღვაწეობის განმავლობაში, ხუთჯერ ჰქონდა პრემიერ-მინისტრად გახდომის შანსი, მაგრამ არც ერთხელ არ გამოუყენებია. თუ რატომ, ამაზე საუბრისაგან სერჟ სარგსიანმა თავი შეიკავა.

გაგრძელება A5 გვერდზე

# გაიზიარებს თუ არა საქართველო ბელორუსის ბედს?

## სავალუტო ფონდი ბიუჯეტის შედგენისას დაშვებულ შეცდომებზე საუბრობს

სოფო კვინტრაძე

ვაშინგტონში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრაზე, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველმა დირექტორმა ჰორსტ კოლერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ 2003 წლის საქართველოს ბიუჯეტი თავიდანვე არარეალურად იყო დაგეგმილი, დღეს კი მისი სეკვესტრი გარდაუვალია. კოლერის განცხადებით, ეკონომიკური მაჩვენებლებით საქართველო ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების უმრავლესობას ჩამორჩება.

**“სავალუტო ფონდს საქართველოსთვის მხოლოდ რჩევების და რეკომენდაციების მიცემა შეუძლია, კონკრეტული რეფორმები კი, თავად ქვეყნის ხელისუფლებამ უნდა გაატაროს,”** – აცხადებს ფონდის მმართველი დირექტორი. რაც შეეხება სავალუტო ფონდის პროგრამის აღდგენას, ეს საკითხი ივნისის ბოლოს მისიის ვიზიტისას გადაწყდება. შეხვედრაზე ბურჯანაძემ იმედი გამოთქვა, რომ სავალუტო ფონდი საქართველოსთან თანამშრომლობას გააგრძელებს.

სავალუტო ფონდის და საქართველოს ურთიერთობის შესახებ კომენტარი ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ირაკლი მანაგაძემ გააკეთა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# AES თელასის ფინანსური მენეჯერი გაფლანგვისთვის დააკავეს

## ამოტივტივდება თუ არა ნიკა ლომინაძის მკვლელობა?

სოფიკო ჩხაიძე

*გუშინ თბილისის პროკურატურაში დასაკითხად მისული “AES თელასის” ფინანსური მენეჯერი გიორგი გვიჩიანი გამომძიებლის ოთახიდან პირდაპირ თბილისის პოლიციის სამმართველოს წინასწარი დაკავების იზოლატორში გაამწესეს. ის ჯერ მხოლოდ ეჭვმიტანილია სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში, რაც ნიშნავს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას და ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას გულისხმობს. გამოძიებას ჯერ მხოლოდ ეჭვი აქვს, რომ გვიჩიანმა 2,5 მილიონი ლარი მიითვისა. როგორ გამოიყენებს გამოძიება 48-საათიან ვადას, რომელსაც კანონი აძლევს ეჭვმიტანილად ცნობიდან ბრალის წაყენებამდე, ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ სრულიად რეალურია გვიჩიანის ბრალდებების უკიდურესად დამძიმება. საქმე ის გახლავთ, რომ არ არის გამორიცხული, გიორგი გვიჩიანის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება უშუალოდ უკავშირდებოდეს მისი კოლეგის, შარშან ზაფხულში მოკლული “AES თელასის” ფინანსური მენეჯერის ნიკა ლომინაძის მკვლელობას.*

“AES თელასის” ფინანსური მენეჯერი ნიკა ლომინაძე შარშან, 14 აგვისტოს, მშობლების სახლში იპოვეს მოკლული. გამოძიებამ მკვლელობის ერთ-ერთ ყველაზე სარწმუნო ვერსიად თავიდანვე ლომინაძის სამსახურებრივი მოღვაწეობა მიიჩნია და მუშაობა ამ მიმართულებით წარმართა. მკვლელობის მეორე დღესვე, ლომინაძის სამუშაო კაბინეტის დათვალიერებისას, მის მაგიდაზე აღმოაჩინეს

გაგრძელება A7 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 ევროისტორია

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

## მძიმე დარტყმა ისედაც მომაკვდავი ეკონომიკისთვის

პირველი გვერდიდან

**წლისთვისაც მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ სავალუტო ფონდი დადებით გადაწყვეტილებას მიიღებს და თავის პროგრამას გააგრძელებს. ასე რომ, ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული სავალუტო ფონდის მისიის ვიზიტზე, რომელიც ივნისის ბოლოსათვის არის დაგეგმილი. თუ მისია ისევ უარყოფითი მოხსენებით დაბრუნდება ვაშინგტონში, ეს, პრაქტიკულად, ნიშნავს, რომ არც სავალუტო ფონდის და არც მსოფლიო ბანკის პროგრამები არ აღდგება და ამ ყველაზე მსხვილ დონორ ორგანიზაციებთან მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივაც საკმაოდ ბუნდოვანი გახდება. ასე რომ, თუ უახლოესი პერიოდის მანძილზე გარდატეხა არ მოხდა, ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. რაც მთავარია, ის შეთანხმებები, რომელიც მთავრობასთან უკვე მიღწეულია და რომლის შესრულებასაც ეს ორივე საერთაშორისო ორგანიზაცია ითხოვს, პირველ რიგში ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად არის აუცილებელი."**

როგორც ექსპერტები აცხადებენ, სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან ურთიერთობაში ასეთი კრიზისი საქართველოს ხელისუფლებას ჯერ არ ჰქონია. ორივე საერთაშორისო ორგანიზაცია ძალზე იმედგაცრუებულია ხელისუფლების უკიდურესი არაეფექტურობით და საერთოდ იმით, რაც ბოლო პერიოდში ქვეყანაში ხდება.

სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან ურთიერთობების საბოლოო გაფუჭება, რაც საერთო ჯამში, უცხოური გრანტებისა და კრედიტების დაკარგვას და პარიზის კლუბში სერიოზული პრობლემების შექმნასაც ნიშნავს, უმძიმესი დარტყმა იქნება საქართველოს ეკონომიკისთვის, ეკონომიკისთვის, რომელიც ისედაც სულს ღაფავს.

## მსოფლიო ბანკი ბიუროკრატიის სეკვესტრს ითხოვს

გიორგი გახელაძე

მსოფლიო ბანკის აღმასრულებელმა დირექტორმა, ედ მელკერმა საქართველოს პრეზიდენტს, სახელმწიფო მინისტრსა და მთავრობის ეკონომიკურ ბლოკს აუცილებლად შესასრულებელი პირობები მკაფიოდ განუმარტა. საქართველოში, პრაქტიკულად, მსოფლიო ბანკის ყველა მიმდინარე პროექტში სახელმწიფოს თანადაფინანსების ვალდებულება თითქმის უგულებელყოფილია. ამის გამო, ძალიან ბევრი პროექტი შეჩერებულია. ამასთან, ედ მელკერმა ხაზგასმით უთხრა ავთანდილ ჯორბენაძეს: **"კარგი იქნება, თუ თქვენი მთავრობა დააჩქარებდა აღმასრულებელი ხელისუფლების რეორგანიზებას და ბიუჯეტის საბიუროკრატო დანახარჯებს მნიშვნელოვნად შეამცირებდა".** მანამდე მან მშვიდად მოისმინა სახელმწიფო მინისტრის შენიშვნა აქამდე მსოფლიო ბანკისა და სხვა დონორების მხრიდან ფრაგმენტული, უსისტემო დახმარების შესახებ. თითქოს მსოფლიო ბანკის და არა შევარდნაძის ხელისუფლების ბრალი იყოს ამ დახმარებების უსარგებლობა მოსახლეობისათვის.

მსოფლიო ბანკის აღმასრულებელი დირექტორის ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაცია სავალუტო ფონდის მომავალი მისიისათვის სასარგებლო აღმოჩნდება. **"სწორედ, სსფ-ს მისიის მუშაობის შედეგებზეა დამოკიდებული ფონდის პროგრამის გაგრძელება თუ დახურვა საქართველოში. ეს კი, თავის მხრივ, მსოფლიო ბანკის დახმარების მოცულობას და ქვეყანასთან მუშაობის გაგრძელებას განაპირობებს. ან მხოლოდ დაწყებული პროექტები დასრულდება, ან ამას 40-45 მილიონი დოლარის ახალი პროგრამები დაემატება,"** – განმარტა პრეზიდენტის თანაშემწემ ეკონომიკური რეფორმების საკითხებში თემურ ბასილიამ.

ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში, ედ მელკერისაგან ცალსახა მოწონება მხოლოდ "სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური განვითარების" პროგრამამ დაიმსახურა. ასეთი მკაფიო მხარდაჭერა მას კასპიური ენერგორესურსების სატრანზიტო პროექტების მიმართაც არ გამოუთქვამს. არადა, ვიზიტის ნახევარი ედ მელკერმა სწორედ სამხრეთ კავკასიური მილსადენების მშენებლობის პროექტების მიმდინარეობის გაცნობას დაუთმო.

### გორში სტუდკავშირების თავმჯდომარეებს სცემეს

გუშინ გორში ქალაქის ახალგაზრდობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა გორის სტუდკავშირების თავმჯდომარეებს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. ერთ-ერთი დაზარალებულის სოსო ბორცვაძის განცხადებით, ცემის მიზეზი მათ მიერ გუშინწინ გამართული პრესკონფერენცია გახდა, სადაც მათ გორის ახალგაზრდობის დეპარტამენტში სტუდკავშირების მიერ მონიტორინგის განხორციელების შესახებ მოთხოვნა დააყენეს.

ბორცვაძის თქმით, არსებობს საკმაო ეჭვის საფუძველი, რომ გორის ახალგაზრდული დეპარტამენტისთვის განკუთვნილი თანხები ადგილობრივი "მოქალაქეთა კავშირისთვის" იხარჯება. "ეს განცხადება ჩვენ გუშინ გავაკეთეთ, რასაც დღეს ახალგაზრდობის დეპარტამენტის წევრების მიერ სტუდკავშირების თავმჯდომარეების ცემა მოჰყვა," - განაცხადა ბორცვაძემ. **ინტერ-პრესი**

### თავდაცვის მინისტრების შეკრება

ნატო-ს წევრი და პარტნიორი ქვეყნების შეიარაღებული ძალების თავდაცვის მინისტრები 12-14 ივნისს ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში შეიკრიბებიან. ტრადიციულ შეხვედრაში მონაწილეობას საქართველოს თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძეც მიიღებს.

შეხვედრის ფარგლებში ლიტვის, ლატვიის, ესტონეთისა და საქართველოს სამხედრო უწყებების პირველი პირები ხელს მოაწერენ ოთხმხრივ ხელშეკრულებას, რომელიც 2003-2004 წლებში სამხედრო თანამშრომლობის გაღრმავებას ითვალისწინებს.

ხელშეკრულების საფუძველზე ოთხი ქვეყნის სამხედრო უწყებები ერთმანეთს გამოცდილებას გაუზიარებენ და კრიზისულ სიტუაციებში დაეხმარებიან.

სავარაუდოდ, შეხვედრაზე საუბარი საქართველოს ნატო-ში გასაწევრიანებლად პარტნიორობის ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმასაც შეეხება. **ინტერ-პრესი**

### მოკლედ

**თბილისი.** 16 ივნისს მოსკოვში, ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების პირველი რაუნდი გაიმართება. მას გაერო-ს წარმომადგენლებიც დაესწრებიან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტოლოგი რამაზ კლიმიაშვილი მიიჩნევს, რომ იმ შემთხვევაში, თუ "ლეიბორისტული პარტია" და "დემოკრატიული აღორძინების კავშირი" გაერთიანებულ ოპოზიციას ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში არ მიემხრობიან, "საკუთარ თავს განაჩენს გამოუტანენ". **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თავდაცვის ყოფილი მინისტრი თენგიზ კიტოვანი მთაწმინდა-კრწანისის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატობას აპირებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მთავრობის ფინანსთა მინისტრი, "ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის აღდგენის კავშირის" ლიდერი გურამ აბსანძე ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში ზუგდიდის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატად იყრის კენჭს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილის ჯემალ გახოკიძის განცხადებით, გაერო-ს დამკვირვებელთა გამტაცებლების მიმართ სისხლის სამართლის დევნა განხორციელდება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გაერო-ს დამკვირვებლების გატაცება-გათავისუფლება ქურდული გარიგება იყო, - მიაჩნია პოლიტოლოგ გივი ბოლოთაშვილს. **მედია-ნიუსი**

## გაიზიარებს თუ არა საქართველო ბელორუსის ბედს?

პირველი გვერდიდან

მანაგაძის თქმით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამები მანამ იქნება შეჩერებული, სანამ საქართველო საგარეო ვალების მომსახურებას ვერ განახორციელებს. თავის მხრივ, თუ შემოდგომაზე სავალუტო ფონდი პარიზის კლუბში საქართველოს პარტნიორად არ გამოვა, ქვეყანას საგარეო ვალებს არ გადაუვადებენ. როგორც ფინანსთა ექს-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, **"თუ საგარეო ვალის კიდევ ერთი წლით გადავადება ვერ მოხერხდება, 2004 წელს საქართველოს, სულ მცირე, 105 მილიონი დოლარით მეტის გადახდა მოუწევს, რასაც შესაძლოა, ქვეყანაში დეფოლტი მოჰყვეს."**

სავალუტო ფონდთან უკიდურესად გამწვავებულ ურთიერთობაზე საუბრობს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი რომან გოცირიძეც. მისი თქმით, ერთადერთი ქვეყანა, რომელიც სავალუტო ფონდმა დატოვა, არის ბელორუსი და ძალიან სავალალო იქნება, თუ საქართველოც მის ბედს გაიზიარებს.


ლევან ხერხეულიძის ფოტო

*რომან გოცირიძე: რეალურად 2004 წლის ბიუჯეტი, 2003 წლის ბიუჯეტთან შედარებით, შემცირებულია.*

გუშინ გამართულ ბრიფინგზე გოცირიძემ კომენტარები გააკეთა 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მიმართულებების შესახებაც. 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მილიარდ 241 მილიონი ლარითაა განსაზღვრული, რაც მხოლოდ 2,7 მილიონი ლარით მეტია 2003 წლის შემოსავლებთან შედარებით. ხარჯები 2004 წელს მილიარდ 491 მილიონი ლარითაა დაგეგმილი, რაც 2003 წლის ხარჯებს 13 მილიონით აღემატება. რომან გოცირიძე აცხადებს, რომ რეალურად 2004 წლის ბიუჯეტი, 2003 წლის ბიუჯეტთან შედარებით, შემცირებულია, რადგან 2004 წელს მთავრობას საგარეო ვალების მომსახურების გაზრდა აქვს დაგეგმილი. **"საგარეო ვალის მომსახურებაზე გათვალისწინებულია 180 მილიონი ლარი, ანუ 37,8 მილიონი ლარით მეტი, ვიდრე 2003 წელს. მთლიანად სახელმწიფო ვალის (როგორც საშინაო, ასევე საგარეო) მომსახურებაზე 2004 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა გამოიყოს 278,5 მილიონი ლარი, რაც ბიუჯეტის მთელი ხარჯების 18 პროცენტია და 2003 წელთან შედარებით, გაზრდილია 50,8 მილიონი ლარით. აქედან გამომდინარე, ვალების მომსახურების ტვირთის ზრდის გამო, 2004 წელს ბიუჯეტის ძირითად ხარჯებზე, 2003 წელთან შედარებით, 37 მილიონი ლარით ნაკლები დაიხარჯება,"** – აცხადებს რომან გოცირიძე.

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი, აგრეთვე, ცენტრსა და აჭარას შორის წინასაარჩევნო გარიგებაზეც საუბრობს. ცნობილი გახდა, რომ 2004 წლის ბიუჯეტში მთავრობა აჭარისთვის შეღავათების გაგრძელებას კიდევ სამი წლით ითხოვს. გოცირიძე ამ ფაქტს სხვა რეგიონების მიმართ დისკრიმინაციად აფასებს.

## შენგელია ნადარეიშვილს უპირისპირდება

მერაბ მეტრეველი

გალის გამგებლის აწ უკვე ყოფილი მოადგილე დათო შენგელია ნადარეიშვილს ულტიმატუმს უყენებს: ან აქეთ, ან იქით, ან ჩვენთან დადგომა, ან გადადგომა. **"მოვიდა დრო, რომ ნადარეიშვილმა აირჩიოს ერთი გზა. მისი ორმაგი თამაშის დრო წავიდა... ამ დღეებში ზუგდიდიდან სამი ავტობუსით დევნილები ჩამოვლენ, მე მათთან ერთად დავჯდები იმელის წინ. ჩვენ ნადარეიშვილს უნდობლობას გამოვუცხადებთ და მოვითხოვთ მის გადაყენებას,"** – განუცხადა სააგენტო "მედია-ნიუსს" დათო შენგელიამ.

ორმაგი თამაშის პასუხად, ნადარეიშვილი აცხადებს, რომ იგი ოპოზიციურ პარტიებთან, უკვე დიდი ხანია, მოლაპარაკებებს აწარმოებს და საბოლოო გადაწყვეტილებას ორ თვეში მიიღებს. **"მე სახელმწიფო ბლოკში გაწევრიანებისგან ამ ეტაპზე თავი შევიკავე. თუ ხელისუფლებამ ისევ არაფერი იღონა აფხაზეთის დასაბრუნებლად, თუ სამშვიდობოებს ათი წლით გაუგრძელდა ვადა, თუ ამოქმედდა რკინიგზა და ა.შ., მე ჩემს გადაწყვეტილებას საბოლოოდ მივიღებ,"** – უთხრა ნადარეიშვილმა "24 საათს". ამასთან, იგი ასახელებს მხოლოდ იმ პოლიტიკურ ძალას, ვისთანაც არავითარ შემთხვევაში არ იქნება - ეს " აღორძინებაა". ნადარეიშვილი არც იმას გამორიცხავს, რომ ყველა დევნილის გაერთიანების შემთხვევაში, დამოუკიდებლადაც გავიდეს საპარლამენტო არჩევნებში. დევნილების ხმები შვიდპროცენტიანი ბარიერის გადასალახად აბსოლუტურად საკმარისია, მაგრამ ნადარეიშვილის დროშის ქვეშ მათი დარაზმვა საკმაოდ ძნელი იქნება. დევნილები დღეს დაქსაქსულები არიან და ბევრი ნადარეიშვილს ოპოზიციაშიც უდგას (მაგალითად, კაკუბავას მომხრეები).

რაც შეეხება შენგელიას ულტიმატუმს, ნადარეიშვილი ამას საკმაოდ მშვიდად ხვდება. მისი აზრით, შენგელია იმპულსური პიროვნებაა და მისგან ასეთი რამ არ უნდა გაგვიკვირდეს. **"შენგელია დღეს ერთს ამბობს, ხვალ – სხვას. მე დარწმუნებული ვარ, ეს ყველაფერი არჩევნებს უკავშირდება და მას ჩემს წინააღმდეგ ვიღაც განაწყობს. თუმცა, ჩემთვის ეს კარგიცაა: დღემდე შენგელიას მფარველობას მაბრალებდნენ, ახლა კი ყველა დაინახავს, რომ მასთან საერთო არაფერი მაქვს,"** – ამბობს ნადარეიშვილი.

ვინ განაწყობს შენგელიას მის წინააღმდეგ? - ამ კითხვას ნადარეიშვილი ასე პასუხობს: **"მე არა მგონია, "ახალი მემარჯვენეები" იმ დონეზე დაშვებულიყვნენ, რომ შენგელიასთვის კარვის გაშლა შთაეგონებინათ. მაგრამ თავად შენგელიას აქვს ჩემთვის ნათქვამი, რომ "ახლებისგან" იცის, თითქოს ჰააგის ტრიბუნალი, შეიძლება მის წინააღმდეგაც გამოიყენონ. მაგას ჰგონია, რომ თუ რომის სტატუტს შევუერთდებით, მასაც დაიჭერენ. შენგელიას დაჭერას ჰააგის ტრიბუნალი რად უნდა, მისი დაჭერა აქაც შეიძლება."**

## პრეზიდენტს მემუარების წერის სურვილი მოეძალა

*საქართველოს პრეზიდენტმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე საბიუჯეტო გარღვევისა და შესაბამისი "საბიუჯეტო კორექტირების" თემის განხილვა არ ისურვა (უკვე მერამდენედ). ოფიციალურად, დღის წესრიგში შეტანილი ამ საკითხის გადადება მირიან გოგიაშვილთან (და, ცხადია, არა მხოლოდ მასთან) მსოფლიო ბანკის სტუმრობამ გამოიწვია. ფინანსთა მინისტრის გარდა, მთავრობის გუშინდელი სხდომის პირველ, შედარებით ხმაურიან ნაწილს არ ესწრებოდა სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძეც, რომელიც გათავისუფლებულ გაერო-ს დამკვირვებლებს ხვდებოდა თბილისში.*

*ედუარდ შევარდნაძე კი, რომელმაც სხდომა ემზარ კვიციანისა და კოდორის მოსახლეობისთვის მადლობის გადახდით გახსნა, გუშინ ნოსტალგიურმა მოგონებებმა გაიტაცა და ბევრი ისაუბრა ძველ მეგობრებზე (სენატორ მაკკეინზე), ძველ პარტნიორებზე (დღევანდელ ოპოზიციაზე), კომუნისტებისდროინდელ ციხეებზე, ციმბირში გადასახლების მაშინდელ პრაქტიკაზე და ... ქარსაცავ ზოლებზე.*

თამარ ხორბალაძე

### სენატორ მაკკეინის წერილი

სენატორ მაკკეინის წერილის ინტერპრეტაცია ქართული მედიის მიერ, საქართველოს პრეზიდენტს მცდარად ეჩვენება.

**"წერილის ძირითადი არსი ისაა, რომ - ჩვენ გგულშემატკივრობთ, რათა დემოკრატიული არჩევნების ჩატარება შეძლოთ,"** – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა და სენატორის ის ფრაზა განმარტა, სადაც ნათქვამია, რომ სახელისუფლებო ბლოკის გამარჯვება, ნებისმიერ შემთხვევაში, არჩევნების სამართლიანობას ეჭვქვეშ დააყენებსო. **"ნებისმიერ მეგობარს უნდა, რომ საქართველოში არჩევნები ჩატარდეს დემოკრატიულად, მოსყიდვების გარეშე... მოსყიდვების გარეშე!"** - რამდენჯერმე გაიმეორა პრეზიდენტმა, მაგრამ ვინ ვის უპირებს მოსყიდვას, ამაზე საუბარი აღარ ისურვა. უკვე სხდომის დასასრულს კი, პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა მარიამ ცაცანაშვილმა რიგგარეშედ წარმოადგინა საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი, რომლითაც ამომრჩეველთა მოსყიდვა და სხვა მსგავსი დანაშაულები სისხლის სამართლის დანაშაულის რანგშია აყვანილი.

### აღიარება

მიუხედავად იმისა, რომ გუშინ საქართველოს პრეზიდენტი მაკკეინის წერილის მნიშვნელობას პრესის მიერ გაზვიადებულად აცხადებდა, ამ წერილზე საუბარმა იგი მოგონებებისა და შეცდომების აღიარების გუნებაზე დააყენა.

**"სიმართლე თუ გინდათ, შევარდნაძეს რაც ეკუთვნის და რასაც იმსახურებს მათთან ურთიერთობისთვის, ყველაზე კარგად მე ვიცი... ოპონენტი კი ხარ, მაგრამ პარტნიორიც ხარ,** - განუცხადა გუშინ შევარდნაძემ ოპოზიციას და აქვე წარსულის შეცდომებიც გაიხსენა, - **ჩემი სინდისი მათ წინაშეც და ხალხის წინაშეც სუფთაა. თუ რამე შეცდომა დავუშვი, ცხოვრება იყო ასეთი... სამოქალაქო ომი. ამ სიტუაციაში იყო არჩევნები, დაპირისპირებები... დრო იყო ასეთი – ვერ ავერიდებოდი შეცდომებს,"** – ჩიოდა გუშინ ედუარდ შევარდნაძე და.

- **"არავითარი შურისძიების გრძნობა არ მაქვს",** - არწმუნებდა იგი ქართველ "პარტნიორებს" და, ალბათ, უცხოელ მეგობრებსაც: **"დემოკრატიული არჩევნებით მე სისხლხორცეულად ვარ დაინტერესებული, როგორც პრეზიდენტი, რომელსაც ბოლო ვადა აქვს და ამ ეტაპზე ქვეყნისთვის უკეთესს ვერაფერს გააკეთებს... მზად ვარ კომპრომისისთვის და ამისკენვე მოვუწოდებ ჩემს მომხრეებს... შემდეგი ვადისთვის მე აღარ ვივარგებ და..."** – პესიმისტური ნოტები ჩანდა გუშინ ქვეყნის პირველი პირის ამ სიტყვებში.

თუმცა, ეს იყო დასაწყისში. თავად სხდომამ კი გუშინ ტრადიციულ ტონალობაში, ტრადიციული პათოსითა და ტრადიციულად ბევრი ვერაფრის მთქმელი საკითხების განხილვით ჩაიარა. და მაინც, ამ საკითხების განხილვისას:

გაიხსენა ედუარდ შევარდნაძემ კომუნისტური ციხეები, საიდანაც ასეთი დამნაშავეები ადვილად იმიტომაც ვერ გაიქცეოდნენ, რომ **"მათ ციმბირში ასახლებდნენ".**

გაიხსენა მან ის დრო, როცა პატიმრები საკუთარი შრომით ირჩენდნენ თავს და **"სახლში დანაზოგითაც კი ბრუნდებოდნენ".**

გაიხსენა, რა კარგად გამოიყურებოდნენ დღევანდელი გაპარტახებული ქარსაცავი ზოლები იმ დროს, როგორ იცავდნენ მიწას გამოფიტვისაგან.

გაიხსენა, როგორ **"არ შეასრულა კომუნისტურმა საქართველომ იმჟამინდელი ცენტრის დავალებები და კერძო საკუთრების ჩანასახები შეინარჩუნა".**

ჩანს, საქართველოს პრეზიდენტს მემუარების წერის სურვილი მოეძალა.

## მძევლები და გამტაცებლები - ყველა თავისუფლები არიან

პირველი გვერდიდან

მონაწილეობის შესახებ, სიხარულიძემ უკომენტაროდ დატოვა იმ მიზეზით, რომ **"საგარეო საქმეთა სამინისტრო არ არის ის უწყება, რომელიც რაიმე სახის ოპერატიულ ინფორმაციას ფლობს".**

კოდორის ხეობის მონიტორინგს გაერო-ს დამკვირვებელთა მისია კვლავაც გააგრძელებს, თუმცა, როგორც ტალიავინი აცხადებს, მიღებული იქნება უსაფრთხოების დამატებითი ზომები. **"გაერო-ს აქვს 15 მისია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და ის, რაც კოდორში მოხდა, სამწუხაროდ, სხვაგანაც ხდება. მე არ ვიცი, აპირებს თუ არა საქართველოს ხელისუფლება დამნაშავეების დასჯას, თუმცა, რამდენადაც ვიცი, კრიმინალები ყველა ქვეყანაში ისჯებიან. ჩვენ გარკვეული პერიოდი გვჭირდება იმისთვის, რომ გავარკვიოთ, რა ფორმით გავაგრძელებთ მუშაობას კოდორის ხეობაში,"** – დაგვაიმედა ტალიავინიმ, რომელმაც მძევალთა გათავისუფლების ამბავი პრეზიდენტის სატელეფონო ზარით შეიტყო, რისთვისაც მისი დიდი მადლობელია.

რაც შეეხება კოდორის ხეობაში დამატებითი საგუშაგოების გახსნას, რასაც დაჟინებით ითხოვენ აფხაზური მხარე და რუსეთის სამშვიდობოები, მისი თქმით, ეს საკითხი მხოლოდ აფხაზური და ქართული მხარეების გადასაწყვეტია.

ტალიავინის განცხადებით, ყოფილი მძევლების ფიზიკური და სულიერი მდგომარეობა სავსებით დამაკმაყოფილებელია, ისინი ამჟამად ისვენებენ და შემდეგ თავად გადაწყვეტენ, სურთ თუ არა მათ საქართველოში დარჩენა. მოითხოვენ თუ არა ხუთდღიან მძევლობაში ნამყოფი გაერო-ს დამკვირვებლები მორალური ზიანის ანაზღაურებას, ტალიავინისთვის ჯერჯერობით უცნობია: **"თუ ისინი საქართველოს დატოვებას მოისურვებენ, ჩვენ მათ ყველა შესაბამის პირობას შევუქმნით, ხოლო როგორ ანაზღაურდება მათი მორალური ზიანი, ამ კითხვას პასუხს ვერ გავცემ".**

## კრემლის სამხედრო ინიციატივები საქართველოს დსთ-დან რიყავს

*28 აპრილს დუშანბეში გაფორმებულმა კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებამ, რომელმაც ხუთი ქვეყანა (ბელორუსი, რუსეთი, სომხეთი, ტაჯიკეთი, ყაზახეთი და ყირგიზეთი) გააერთიანა, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სივრცეს ახალი კონფიგურაცია მიანიჭა. უამრავი მიზეზის გამო, ამ განზომილებაში არ აღმოჩნდა საქართველოს ადგილი. ამიტომაც, არაფერია გასაკვირი იმაში, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თანამეგობრობის სამხედრო უწყების ტრადიციულ შეკრებაზე დროის დაკარგვას, ბრიუსელში, ნატო-ს შტაბ-ბინაში გამგზავრება არჩია, სადაც, ოფიციალური ინფორმაციით, საქართველოსთვის პარტნიორობის ინდივიდუალური სამოქმედო პროგრამის პარამეტრების დაზუსტება იგეგმება.*

კობა ლიკლიკაძე
"რადიო თავისუფლება"
სპეციალურად "24 საათისთვის"

გასული წლის მიწურულს, პანკისის ხეობაში ორფაზიანი ანტიტერორისტული ოპერაციის დასრულების შემდეგ, საქართველოს ხელისუფლებას რუსეთთან ურთიერთობის გააქტიურების იმედი გაუჩნდა. ეს იმედი არ იყო ფუჭი, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დეკემბრის დასაწყისში ქართველმა და რუსმა მესაზღვრეებმა შეძლეს ურთიერთმისაღები შეთანხმების მიღწევა და საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე სინქრონული პატრულირება დაიწყეს. თანამშრომლობაში ასევე დაწინაურდნენ სპეცსამსახურები, რომლებსაც, საქართველოს უშიშროების სამინისტროს ოფიცილაური წარმომადგენლის, ნიკა ლალიაშვილის განცხადებით, კონსტრუქციული და პროდუქტიული თანამშრომლობა აკავშირებთ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით. იგივე შეიძლება ითქვას საქართველოსა და რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროებზეც, რომელთა ხელმძღვანელები წლების განმავლობაში, თუნდაც სიტყვიერად მაინც, მჭიდრო თანამშრომლობისა და სრული ურთიერთგაგების დემონსტრირებას ახდენენ.

მაგრამ, რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, ამ კონტექსტიდან ამოვარდნილია სამხედრო უწყებები. რომ აღარაფერი ვთქვათ ორმხრივ სამხედრო თანამშრომლობაზე, რაც მთლიანად ჩარჩო-ხელშეკრულების არსებობაზეა დამოკიდებული, გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ ქართველი და რუსი სამხედროების თანამშრომლობის ფორმატი ვერც თანამეგობრობის ფარგლებში მოიძებნა. მეტიც, როცა საქმე ქართველი და რუსი სამხედროების ურთიერთობას ეხება, ნატოს "მშვიდობისათვის პარტნიორობის" პროგრამაც კი კარგავს თავის აქტუალობას. ყოველ შემთხვევაში, მოსკოვმა უარი თქვა გამოეგზავნა თავისი წარმომადგენლები იმ მრავალეროვნულ სწავლებებში, რომელიც მპპ-ის ფარგლებში საქართველოს ტერიტორიაზე გაიმართა.

ამის მიზეზი, ერთი შეხედვით, მარტივია და მასზე ჩვენთან საუბარში დაახლოებით ერთი წლის წინ, ცნობილმა რუსმა სამხედრო ექსპერტმა **პაველ ფელგენგაუერმა** გაამახვილა ყურადღება:

**"სამხედრო თანამშრომლობის განვითარებას რუსეთსა და საქართველოს შორის, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რუსეთის სამხედრო ბაზების სტატუსის გაურკვევლობა აფერხებს. და სანამ ეს საკითხი არ გაირკვევა, ან რუსი სამხედროები არ დატოვებენ საქართველოს ტერიტორიას, კრემლი, სამხედრო ისტებლიშმენტის აზრის გაუთვალისწინებლად, ვერ გაბედავს ორმხრივ სამხედრო ურთიერთობის დამყარებას საქართველოსთან."**

მაგრამ მოგვიანებით მოსკოვისთვის თავად დსთ-ც დაიყო "მისიანებად" და "უცხოებად", ე.წ. "გარიყულებად", რომლებშიც ის ქვეყნები მოხვდნენ, რომლებმაც 1999 წლიდან სუუამ-ის სახელწოდებით ცნობილი ახალი რეგიონული ორგანიზაცია ჩამოაყალიბეს.

სხვათა შორის, დსთ-ს მთელი არსებობის განმავლობაში შარშან, 23 დეკემბერს, პირველი ჯაშუშური სკანდალი მოხდა. რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის ხელმძღვანელმა ნიკოლაი პატრუშევმა, აზერბაიჯანის სამხედრო წარმომადგენელი მოსკოვში, გენერალი ვაგიფ რასულოვი ჯაშუშობაში დაადანაშაულა და რუსეთიდან გააძევებინა.

მაგრამ ჯაშუშური სკანდალები ძალიან ხშირად ხდება დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში და შეიძლებოდა მასზე ყურადღება არც გამახვილებულიყო, რომ არა ერთი გარემოება: მიმდინარე წლის დასაწყისში, განსაკუთრებით ერაყის კრიზისის შემდეგ, მოსკოვი ისეთ ნაბიჯებს დგამს, რომ აშკარად უბიძგებს სუუამ-ის ქვეყნებს საერთოდ ჩამოშორდნენ თანამეგობრობის ორბიტას.

25 აპრილს, **"კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის"(კუხო)** გაფორმება, უკვე შეიძლება ჩაითვალოს ამ მიმართულებით გადადგმულ პირველ ნაბიჯად. იგეგმება, რომ კუხო-ში სულ მალე ჩამოყალიბდება სწრაფი რეაგირების ძალები, ხოლო 2004 წლის პირველი იანვრიდან მოსკოვში ამოქმედდება გაერთიანებული შტაბი, რომელსაც რუსეთის გენერალური შტაბის ამჟამინდელი ხელმძღვანელი გენერალი ანატოლი კვაშნინი ჩაუდგება სათავეში.

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს შენობაში შემუშავდა კიდევ ერთი გეგმა, რომელიც დსთ-ს სივრცეზე მოსკოვის სამხედრო ზეგავლენის გაზრდას ითვალისწინებს, ავტორი კი რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვია.

ამ გეგმის თანახმად, რუსეთი, საკონტრაქტო სამსახურის სისტემაზე გადასვლის პარალელურად, შესაძლებლად მიიჩნევს (როგორც ჩანს, საფრანგეთის მოდელზე) თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების მოქალაქეებისაგან ერთგვარი "უცხოური ლეგიონის" დაკომპლექტებას. მრევლის მისაზიდად კი ერთ-ერთი უმთავრესი პირობა ის იქნება, რომ ამ ქვედანაყოფში სამწლიანი სამსახურის შემდეგ, კონტრაქტით დაქირავებული პირები რუსეთის მოქალაქეობას მიიღებენ.

თუმცა, ჯერეჯერობით, ვიდრე საკონტრაქტო სამსახურის შესახებ სახელმწიფო პროგრამა არ ამოქმედებულა, მოსკოვი არ ჩქარობს კონკურსის გამოცხადებას "უცხოეთის ლეგიონის" საშტატო თანამდებობების დასაკომპლექტებლად. თუმცა, კულუარული ინფორმაციით, ირკვევა, რომ კრემლი, ადრე თუ გვიან, დაუბრუნდება "ლეგიონის" ფორმირების იდეას და მასში პირველ რიგში სწორედ იმ ქვეყნების წარმომადგენლებს ჩარიცხავს, რომლებიც თანამეგობრობის ორბიტას ჩამოშორდნენ.

მაგრამ მოსკოვის ეს ნაბიჯები ჯერ მხოლოდ სუსტი მცდელობაა, აღადგინოს ჰეგემონია, თუნდაც დსთ-ს სივრცის ნაწილზე, რადგან თითოეულ ამ ქვეყანაში, რომელმაც რუსეთთან კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, უამრავი ეკონომიკური და პოლიტიკური წინააღმდეგობა არსებობს. ამასთან, აშშ, როგორც უფრო მდიდარი და გავლენიანი პარტნიორი, კვლავაც რჩება რუსეთის ძირითად მეტოქედ დსთ-ს იმ ნაწილზეც კი, რომელიც ტრადიციულად "პრორუსულად" არის მიჩნეული.

ასე რომ, თანამეგობრობიდან გარიყულ სუუამ-ის წევრ სახელმწიფოებს ეძლევათ შანსი, მიუბრუნდნენ მივიწყებულ სამხედრო პროექტს, მათ შორის ერთობლივი სამშვიდობო ბატალიონის შექმნის იდეას, რაც ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ ძალიან ახლოს იყო წარმატებასთან.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# საკონსტიტუციო ცვლილებების ხილული და უხილავი ძაფები

გიორგი ასანიშვილი

*საარჩევნო "კასკადიორების" გვერდით, ბოლო დროს, გამოჩნდნენ პოლიტიკოსები, რომლებმაც საკონსტიტუციო ცვლილებების საკითხით ჟონგლიორობა დაიწყეს. მათი ასეთი არჩევანი გასაგებია: საკონსტიტუციო ცვლილებების თემა, თავისი მნიშვნელობითა და მოცულობით, ბევრად აღემატება ყველა სხვა აქტუალურ საკითხს, ერთად აღებულს. თუ ქვეყნის ძირითად კანონს შენს თარგზე გამოჭრი, მაშინ შეგიძლია, მთელი პოლიტიკური მანქანა (მათ შორის, საარჩევნოც) სასურველ რეჟიმში ამუშაო. არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ ასეთი სუპერმნიშვნელოვანი თემის წამოწევა წინასაარჩევნო კამპანიის აზვირთების პერიოდს დაემთხვა - მიზნის მიღწევა გაცილებით იოლია მაშინ, როდესაც საზოგადოების მთელი ყურადღება საარჩევნო პერიპეტიებზეა გადატანილი. საკონსტიტუციო "შეთქმულებას" რამდენიმე მონაწილე ჰყავს: ლეიბორისტული პარტია, მისი თავმჯდომარის, შალვა ნათელაშვილის სახით, "ტრადიციონალისტთა კავშირი", მაჟორიტარი დეპუტატები და, რა თქმა უნდა, პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.*

ამ ოთხეულს შორის მეტად უცნაური კვანძები არსებობს, რომელთა შორის ზოგი ხილულია, ზოგიც - ფარული და გასაიდუმლოებული. "ხილულია", მაგალითად, ის, რომ "ლეიბორისტები" დანარჩენ ძალებთან სხვადასხვა ხარისხის წინააღმდეგობაში იმყოფებიან. პრეზიდენტსა და მის "დამქაშ" მაჟორიტარებს შალვა ნათელაშვილი მუდამ აკრიტიკებს, ამასთან, მაინცადამაინც არც "ტრადიციონალისტებს" სწყალობს, რადგან მიაჩნია, რომ "ჭეშმარიტ ოპოზიციას" მხოლოდ თვითონ განასახიერებს.

თავის მხრივ, "ტრადიციონალისტებიც", ტრადიციულად, ყოველთვის შევარდნაძესა და მის ბანაკს უპირისპირდებიან, რომელშიც, ცხადია, მაჟორიტარი დეპუტატებიც შედიან.


ლევან ხერხეულიძის ფოტო

*საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი შალამბერიძემ გაახმოვანა.*

რაც შეეხება მაჟორიტარებს, მათი აბსოლუტური უმრავლესობა სახელისუფლებო ბანაკში მოიაზრება და, აქედან გამომდინარე, მათ "ფუნქციებში" ოპოზიციონერების (ამ შემთხვევაში, "ლეიბორისტებისა" და "ტრადიციონალისტების") წინააღმდეგ ბრძოლაც შედის.

მიუხედავად ერთმანეთს შორის ასეთი მრავალმხრივი და, ერთი შეხედვით, გადაულახავი წინააღმდეგობებისა, საკონსტიტუციო ცვლილებების საკითხში აღნიშნული ოთხეულის თვალთახედვა სრულ უნისონში მოდის. შეიძლება, ვინმემ გააპროტესტოს, პრეზიდენტმა შევარდნაძემ ორშაბათის რადიოინტერვიუში ხომ განაცხადა, რომ ასეთი ცვლილებები ჯერ ნაადრევიაო. მაგრამ ამის კონტრარგუმენტიც არსებობს: არ არის გამორიცხული, რომ პრეზიდენტმა ამჯერად "იკეკლუცა" და როდესაც ძალიან შეეხვეწებიან, პოლიტიკური საზოგადოების "ნებას წინ ველარ აღუდგება" და საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელებას დათანხმდება. მითუმეტეს, რომ მისი ძირითადი დებულებები - მინისტრთა კაბინეტის შემოღება, ორპალატიანი პარლამენტი და დეპუტატთა რაოდენობის შემცირება - შესულია პრეზიდენტის პროგრამაში "ახალი საქართველოსთვის", რომლითაც სახელმწიფოს მეთაური პარლამენტის წინაშე გასული წლის შემოდგომაზე წარდგა. ამდენად, გაუგებარიც კი არის, დღეს რატომ უნდა იყოს "ნაადრევი" ის, რაც თითქმის ერთი წლის წინ დროული და აუცილებლად განსახორციელებელი იყო.

რამდენიმე სიტყვით ფარულ კვანძებზეც.

უკვე დიდი ხანია, საუბრობენ დღევანდელ ხელისუფლებასთან შალვა ნათელაშვილის საიდუმლო ალიანსზე, რისი ალბათობაც, ბოლოდროინდელი მოვლენების გათვალისწინებით, სულაც არ უნდა იყოს მცირე. თავი რომ დავანებოთ პრეზიდენტის პროგრამისა და "ლეიბორისტთა" ლიდერის საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის "საოცარ" მსგავსებას, ისიც ნათელია, რომ ნავარაუდევი ცვლილებებით ორივენი ერთად აკეთებენ "წმიდათა წმიდა" საქმეს - მაჟორიტარ დეპუტატებს უფლებამოსილების ვადას უგრძელებენ. ამის გაუბრალოება კი არასწორი იქნება: პრეზიდენტი საკანონმდებლო ორგანოში 85 მხარდამჭერს შეინარჩუნებს, ნათელაშვილი კი ამდენივე მომხრეს შეიძენს. ჰოდა, საერთო მოკავშირეების პატრონებიც, ალბათ, წარსულს ხაზს გადაუსვამენ და პოლიტიკურ მანევრებს საერთო "ხომალდით" ჩაატარებენ.

საკონსტიტუციო ცვლილებებისკენ ნათელაშვილისგან განსხვავებული გზებით იცურეს "ტრადიციონალისტებმა". აკაკი ასათიანი და მისი თანამებრძოლები ოპოზიციური პარტიების ირგვლივ დიდხანს ტრიალებდნენ და მათთან ერთიან ბლოკში "გაწევრიანება" გულწრფელად სურდათ. მაგალითად, მიმდინარე წლის დასაწყისში მთელი სერიოზულობით ლაპარაკობდნენ "ნაციონალებისა" და "ტრადიციონალისტების" შესაძლო ალიანსზე, მაგრამ, როგორც ჩანს, ასათიანის პარტიულ-საარჩევნო მადა და რესურსები ერთმანეთთან შეუსაბამობაში აღმოჩნდა და ოპოზიციასთან "ჯვრისწერა" სწორედ ამის გამო აღარ შედგა. არადა, საარჩევნო გველეშაპთან მარტო დარჩენა დღეს უკვე თვითმკვლელობის ტოლფასია, მით უფრო, რომ 7-პროცენტიანი საარჩევნო ბარიერის გადალახვა "ტრადიციონალისტთა კავშირს" კი არა, მასზე გაცილებით ძლიერ პოლიტიკურ ორგანიზაციებსაც გაუჭირდებათ. ამიტომ, როგორც ჩანს, აკაკი ასათიანმა საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ ურჩევნია, თავისი აქლემი ისევ ხელისუფლებასთან დააჩოქოს. ამ მოსაზრებას ისიც განამტკიცებს, რომ ოპოზიციის მიერ ბოლო ხანებში ორგანიზებულ საპროტესტო ღონისძიებებში "ტრადიციონალისტებს" მონაწილეობა არ მიუღიათ.

აქვე შეიძლება ისიც ვივარაუდოთ, რომ "ტრადიციონალისტებმა" მმართველი ძალისგან პირველი დავალება უკვე მიიღეს და იგი საკონსტიტუციო ცვლილებების ლობირებაში გამოიხატება. ალბათ, არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ ამ ცვლილებებზე მომუშავე ინტერფრაქციულ ჯგუფს ფრაქცია "ტრადიციონალისტის" მდივანი ალეკო შალამბერიძე ხელმძღვანელობს.

რაც შეეხება ზემოთნახსენები კვარტეტის კიდევ ერთ ინგრედიენტს - მაჟორიტარ დეპუტატებს. ისინი შედარებით სტატიკურ მდგომარეობაში არიან და შექმნილი დელიკატური მდგომარეობა (საქმე ხომ მათი უფლებამოსილების გაგრძელებასაც ეხება) აიძულებთ, ძირითადად, მეთვალყურის როლით დაკმაყოფილდნენ. თუმცა, ეს სულაც არ უშლის მათ ხელს, "გმირული ნაბიჯისთვის" ემზადონ: თუ ქვეყანას ინსტიტუციონალური ცვლილებები სჭირდება, მაჟორიტარები წინააღმდეგნი არ იქნებიან, რომ მათ... უფლებამოსილება გაუგრძელდეთ.

# ზვიად ძიძიგური: „შევარდნაძემ სახელმწიფო თანამდებობაზე ჯალათი დანიშნა„

ვერიკო თევზაძე

*"გაერო-ს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის მოსმენაზე საქართველოს დელეგაციიდან მომხსენებლებად მივლინებულები იყვნენ ანზორ ბალუაშვილი და ლევან ალექსიძე. ორივენი კუდამოძუებულები გამოაბუნძულეს. კომიტეტის სხდომაზე დიდი აღშფოთება გამოთქვეს იმის გამო, რომ საქართველომ ადამიანის უფლებათა დაცვის თემას იგნორირება გაუკეთა, ვინაიდან მან დელეგაციაში ანზორ ბალუაშვილი ჩართო. ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს ჰქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბალუაშვილი უშუალოდ მონაწილეობდა პატიმრების წამებაში. დაასახელეს ერთ-ერთი კონკრეტული მაგალითიც: ბალუაშვილმა, აღიარებითი ჩვენების გამოძალვის მიზნით, პატიმარს შეუხორცებელ ჭრილობაზე სცემა", - ეროვნულ ძალთა გაერთიანების ლიდერის, ზვიად ძიძიგურის თქმით, ეს ფაქტი გაერო-ში 1997 წელს მოხდა. ძიძიგური პროტესტს გამოთქვამს ანზორ ბალუაშვილის სახელმწიფო მინისტრის მოადგილის პოსტზე დანიშვნის გამო.*

**"მინდა, ეროვნულ ძალთა გაერთიანების სახელით მივმართო გაერო-ს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს, ეუთო-ს ადამიანის უფლებათა დამცველ კომისიას, ჰელსინკის ფედერაციას: საქართველოს პრეზიდენტმა და სახელმწიფო მინისტრმა ქვეყანაში ერთ-ერთ უნიშვნელოვანეს პოსტზე ჯალათი დანიშნეს. ბალუაშვილი არის ის კაცი, რომელიც მთელი ცხოვრება ემსახურებოდა შევარდნაძეს და არა კანონს. მას შეუძლია, შევარდნაძის მითითებით, ბრმად გააკეთოს ყველაფერი... ვახტანგ რაზმაძემ და ანზორ ბალუაშვილმა აღძრეს სისხლის სამართლის საქმეები ზვიად გამსახურდიას და მისი მომხრეების წინააღმდეგ. შეადგინეს ტრაფარეტული სქემა. სხვათა შორის, ამ სქემის მიხედვით, 5 იანვარს ზვიად გამსახურდია საქართველოს პრეზიდენტი იყო, 6 იანვრისთვის უკვე ბანდიტად გამოაცხადეს... იმ პერიოდში ბალუაშვილი შევარდნაძის დაკვეთების მთავარი შემსრულებელი იყო. ყოველ კვირას აბარებდა ანგარიშს, რამდენი ზვიადისტი დაიჭირა,"** - გუშინდელ პრესკონფერენციაზე ზვიად ძიძიგურმა მოიყვანა მაგალითები იმის შესახებ, თუ რას სჩადიოდა ბალუაშვილი გენპროკურორის მოადგილედ ყოფნისას. ძიძიგური აცხადებს, რომ როცა ქვეყნის სათავეში დემოკრატიული ხელისუფლება მოვა, ანზორ ბალუაშვილი აუცილებლად დაიკითხება, როგორც ეჭვმიტანილი ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით: **"ბალუაშვილი ჯალათის როლს ასრულებდა ზვიად გამსახურდიას მკვლელობაში, მის გადმოსვენებაში, საერთოდ, მისი ბოლო პერიოდის ცხოვრებაში."**



*ზვიად ძიძიგური: ბალუაშვილი ჯალათის როლს ასრულებდა ზვიად გამსახურდიას მკვლელობაში.*

ყოფილი პოლიტპატიმრის, ბიძინა გუჯაბიძის მტკიცებით, ბალუაშვილის პირადი მითითება იყო, რომ პეტრე გელბახიანი და ირაკლი დოკვაძე დაეხვრიტათ. **"ეს იმ პერიოდში ხდებოდა, როცა მაშინდელი ხელისუფლების მიერ სიკვდილით დასჯის მუხლი შეჩერებული იყო,"** - აკონკრეტებს გუჯაბიძე.

ბიძინა გუჯაბიძემ ისიც თქვა, რომ პოლიტპატიმრები ციხეებში იხოცებოდნენ იმის გამო, რომ, ბალუაშვილის მითითებით, მათ არანაირი სამედიცინო მომსახურება არ უტარდებოდათ, პატიმრები სამედიცინო დაწესებულებებში არ გადაჰყავდათ. **"ამ მიზეზით დაიღუპნენ მალხაზ ღვინიაშვილი, დათო ლოლაძე... ამ უკანასკნელს სიმსივნე ჰქონდა ბოლო სტადიაში. იგი ონკოლოგიურ საავადმყოფოში სიკვდილის წინ გადაიყვანეს. დათო ლოლაძე კლინიკაში მიყვანის მეორე დღესვე გარდაიცვალა."**

"ეროვნულ ძალთა გაერთიანების" წარმომადგენელთა აზრით, ბალუაშვილის დანიშვნა სახელმწიფო მინისტრის მოადგილის პოსტზე ნიშნავს იმას, რომ შევარდნაძეს სურს, ოპოზიციის წინააღმდეგ რეპრესიები გაატაროს და ამ საქმეში აქტიურად გამოიყენოს ეს "ახალი კადრი", როგორც ადამიანის უფლებების ცნობილი შემლახველი. ზვიად ძიძიგური თხოვნით მიმართავს საქართველოში მოქმედ ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციებს, პოლიტიკურ პარტიებს, ქვეყანაში აკრედიტებულ საელჩოებს, რათა მათ **"მსოფლიო მასშტაბით გაავრცელონ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ შევარდნაძემ ერთ-ერთ მთავარ სახელმწიფო მოხელედ ჯალათი დანიშნა."**

# პოლიტიკური რეპრესიები დაიწყო

## მიაჩნია დავით გამყრელიძეს

ლელა მჭედლიძე

სამი ივნისის აქციის შემდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამო, პარლამენტის წევრებიდან პროკურატურაში პირველად "მემარჯვენეების" ლიდერი დავით გამყრელიძე გამოცხადდა. პროკურატურის მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ განყოფილებაში გამყრელიძე გუშინ მოწმის სახით დაიბარეს და დაკითხეს. ადვოკატის გარეშე, მარტოდმარტო მისულმა გამყრელიძემ (თუ მასმედიის წარმომადგენლებს არ ჩავთვლით) გუშინ აღიარა, რომ სამ ივნისს პარლამენტის წინ გამართული აქციის ინიციატორი და ორგანიზატორი იგი იყო. "მემარჯვენეების" ლიდერს უფროს გამომძიებელ იოსებ გორგაძესთან, დაახლოებით, ერთსაათიანი საუბრისას არც ის დაუმალავს, რომ მსგავს აქციებს მომავალშიც გამართავს. მოთხოვნებიც იგივე ექნება: შევარდნაძის გადადგომა და სამართლიანი საარჩევნო კოდექსის მიღება.

სამი ივნისის აქციის გამო, მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პროკურორის მირზა დოლიძის განმარტებით, საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 266-ე მუხლით არის აღძრული. მუხლი ჯგუფური ღონისძიების ორგანიზებისას საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის გამო, სასჯელის სახით, ჯარიმას ან თავისუფლების სამ წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს. ამგვარი გულახდილი აღიარების მიუხედავად, დეპუტატ გამყრელიძისათვის ბრალის წაყენება პროკურატურის მხრიდან ნაადრევია. როგორც უფროსი გამომძიებელი გორგაძე აცხადებს, საამისოდ ჯერ აქციის მონაწილე სხვა პირებიც უნდა დაიკითხონ და გამოძიება დასრულდეს. თუ კონკრეტულად რით იყვნენ სხვა პარტიის წარმომადგენლები სამ ივნისს დაკავებულნი, გამყრელიძემ გამომძიებელს უკვე აღარ დაუკონკრეტა - მე მხოლოდ ჩემს ინიციატივებზე ვსაუბრობ, სხვა პარტიებმა საკუთარ განცხადებებზე ისაუბრონო. გუშინ პროკურატურაში დაბარებული იყო ლევან გაჩეჩილაძეც, მაგრამ, როგორც გამომძიებელს გამყრელიძემ ამცნო, გაჩეჩილაძე ამჟამად საზღვარგარეთ იმყოფება და გამომძიებელს მოგვიანებით შეხვდება.

**"დემოკრატია მხოლოდ დამოუკიდებელი პრესა არ არის. პროკურატურაში ჩემი დაბარება იმ პოლიტიკური რეპრესიების დასაწყისია, რის თაობაზეც მუქარა პრეზიდენტის მხრიდან სამი ივნისის აქციის შემდეგ გაისმა," -** ასეთი შეხედულების მიუხედავად, გამყრელიძე მომავალშიც ბრძოლას აპირებს. სხვათა შორის, იგი კვლავაც მიიჩნევს, რომ სამი ივნისის აქციის არასანქცირებულობის გამო, ოპოზიციას ყველაზე ნაკლებად შეედავებიან. გარდა იმისა, რომ საკრებულომ აქციის ჩასატარებლად ნებართვა გასცა, ამის უფლებას ჩვენი კონსტიტუციაც იძლევა. კონსტიტუცია კი ჩემთვის, სხვა კანონებთან შედარებით, აშკარად პრიორიტეტულიაო, - განმარტავს გამყრელიძე.

ქალაქების/ქვეყნების კოდები
ჯეოსელ ინფო-თი

700

გთავაზობთ Geocell ინფო-ს დამატებით ფუნქციას - ქვეყნების და ქალაქების კოდების მიღება მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) საშუალებით.

• ქალაქის კოდის მისაღებად SMS-ის მენიუში აკრიფეთ სიტყვა: qalaqi, ინტერვალის გამოტოვებით მიუთითეთ ქალაქის სახელი და გააგზავნეთ ნომერზე "700"
მაგ. qalaqi tbilisi

• ქვეყნის კოდის მისაღებად აკრიფეთ სიტყვა: qvekana, ინტერვალის გამოტოვებით მიუთითეთ ქვეყნის სახელი და გააგზავნეთ ნომერზე "700"
მაგ.: qvekana italia

მოგახსენებთ, რომ ჯეოსელის აბონენტებს ასევე შეუძლიათ შეიტყოთ ქალაქების და ქვეყნების კოდები Geocell-ის მენიუს საშუალებით. ამ შემთხვევაში ისარგებლეთ ჯეოსელის მენიუს პუნქტით "satelepono kodebi"

*ინფორმაციის შეკვეთა უფასოა, ხოლო ინფორმაციის მიღების ღირებულება შეადგენს 10 თეთრს.*

*დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: 928 ან 822 770177*

ჯეოსელის და ლაი-ლაი-ს ყველა აბონენტისათვის




www.geocell.ge

# დანაშაულებრივი გარიგება საქართველოს წინააღმდეგ

**რთული მდგომარეობაა შექმნილი ცენტრალური ბიუჯეტის არასაგადასახადო შემოსავლების მობილიზაციის საქმეში. იმის მიუხედავად, რომ ხუთი თვის გეგმა 92.3 პროცენტით არის შესრულებული, წლის ბოლომდე დანაკლისი 25-26 მილიონ ლარს მიაღწევს.**

როგორც აღვნიშნეთ, ხუთი თვის გეგმა 30.2 მილიონი ლარის ნაცვლად, შესრულებულია 27.9 მილიონი ლარის ოდენობით. აქედან ეროვნული ბანკის მოგების ტრანსფერზე მოდის 16 მილიონი ლარი ანუ, სხვა წყაროებიდან ხუთი თვის განმავლობაში მობილიზებულია მხოლოდ 11.9 მილიონი ლარი. **დარჩენილ შვიდ თვეში კი, წლიური გეგმის შესასრულებლად არასაგადასახადო შემოსავლების სხვა წყაროებიდან ცენტრალურ ბიუჯეტში 50.5 მილიონი ლარი უნდა შევიდეს. არა გვგონია, ამ ზღაპრის ვინმეს სჯეროდეს, მთავრობაშიც კი.**

სიტუაცია უფრო დეტალურად გავაანალიზოთ, არასაგადასახადო შემოსავლების სხვადასხვა წყაროების მიხედვით.

გაცემული კრედიტებიდან დაგეგმილია 16 მილიონი ლარის ოდენობის შემოსავალი. ხუთი თვის განმავლობაში, შიდა და გარე წყაროებიდან გაცემული კრედიტების შემოსავალმა სულ 2.4 მილიონი ლარი შეადგინა. დარჩენილ შვიდ თვეში წლიური გეგმის შესასრულებლად დამატებით მობილიზებული უნდა იქნეს 13.6 მილიონი ლარი.

მარტო საგზაო ფონდმა წელს ცენტრალურ ბიუჯეტს ადრე გაცემული კრედიტების სარგებლის პროცენტი უნდა გადაუხადოს და ძირითადი თანხის ნაწილი დაუფაროს, ჯამში - 6 მილიონი ლარის ოდენობით. ანუ, თუ საგზაო ფონდი ცენტრალური ბიუჯეტის მიმართ თავის ვალდებულებებს შეასრულებს, გაცემული კრედიტებიდან შემოსავლების დანაკლისი მინიმუმამდე დავა. ჯერჯერობით, ჩვენი მრავალი გაფრთხილების მიუხედავად, მთავრობას მდგომარეობის გამოსასწორებლად თითი თითზე არ დაუკარებია.

უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, რომ იმავდროულად, ბენზინის აქციზიდან საგზაო ფონდის კუთვნილი საგადასახადო შემოსავლები ცენტრალურ ბიუჯეტში გადაიქაჩება.

კვლავ გვინდა გავიმეოროთ ჩვენი ადრინდელი შეფასება – **ეს არის ფინანსთა სამინისტროსა და საგზაო ფონდის გარიგება ბიუჯეტის წინააღმდეგ ბიუჯეტის შემოსავლების ქაღალდზე შესრულებისა და არჩევნების წინ თანამდებობების შენარჩუნების მიზნით, ეს არის დანაშაულებრივი გარიგება საქართველოს წინააღმდეგ და "ახალი საქართველოს" სასარგებლოდ.**

**ეს პრობლემა პრეზიდენტის (და არა მთავრობის), პარლამენტისა და პოლიტიკური ძალების საგანგებო მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.**

**ჯერჯერობით კი, იძულებული ვართ გავიმეოროთ ჩვენი პროგნოზი - გაცემული კრედიტებიდან მისაღებ შემოსავლებში წლის ბოლომდე დანაკლისი 10 მილიონ ლარს მიაღწევს.**

დივიდენდებიდან დაგეგმილია 16 მილიონი ლარის ოდენობის შემოსავალი. ხუთ თვეში შემოსავლებმა შეადგინა 1.4 მილიონი ლარი. მართალია, ფინანსთა სამინისტროს ჯერ არ გამოუქვეყნებია სახელმწიფო საწარმოების წმინდა მოგების განაწილების ხელშეკრულებები, მაგრამ ახლავე შეიძლება ითქვას, რომ ბიუჯეტში დივიდენდების ორი მთავარი გადამხდელი გვყავს – საქართველოს რკინიგზა და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია (სნსკ). ჯერჯერობით, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ დივიდენდს იხდის მხოლოდ სნსკ, ხოლო საქართველოს რკინიგზის ყურადღება ამჟამად სხვა პრობლემებზეა კონცენტრირებული.

აქაც იძულებულნი ვართ, გავიმეოროთ ჩვენი ადრინდელი შეფასება – **ეს არის მთავრობისა და რკინიგზის დანაშაულებრივი გარიგება საქართველოს წინააღმდეგ და "ახალი საქართველოს" სასარგებლოდ.**

**ეს პრობლემა, პრინციპში, შეიძლება მარტივად მოგვარდეს პრეზიდენტთან გამართული ერთი თათბირით, ან სახელმწიფო მინისტრთან გამართული სამი შეხვედრით და, შესაბამისად, ეს საკითხი პრეზიდენტის, მთავრობის, პარლამენტისა და პოლიტიკური ძალების საგანგებო მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.**

**მანამდე კი, იძულებულნი ვართ კვლავ გავიმეოროთ ჩვენი პროგნოზი – დივიდენდებიდან დანაკლისი წლის ბოლომდე 8 მილიონ ლარს მიაღწევს.**

მიწის განსახელმწიფოებრიობიდან მისაღები შემოსავლების დანაკლისი წლის ბოლომდე 800 ათას ლარს მიაღწევს.

საკუთრებიდან და სამეწარმეო საქმიანობიდან მისაღები შემოსავლების დანაკლისი წლის ბოლომდე მიაღწევს 300 ათას ლარს.

ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან, არაკომერციული და თანმდევი გაყიდვებიდან მისაღები შემოსავლების დანაკლისი წლის ბოლომდე 3 მილიონ ლარს მიაღწევს.

ე.წ. სხვა შემოსავლების დანაკლისი წლის ბოლომდე მიაღწევს 5 მილიონ ლარს.

მოსალოდნელია, რომ ადმინისტრაციული ჯარიმებიდან და სანქციებიდან დაგეგმილი შემოსავალი სრულად იქნება მობილიზებული.

**შესაბამისად, არსებული ტენდენციების შენარჩუნების პირობებში ცენტრალური ბიუჯეტის არასაგადასახადო შემოსავლების დანაკლისი წლის ბოლომდე 25-26 მილიონ ლარს მიაღწევს.**

**არასაგადასახადო შემოსავლების დაგეგმილი მაჩვენებლების შესრულება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული რამდენიმე სუბიექტზე და მთავრობის ნებაზე. თუმცა, ჩვენი შეფასებით, არჩევნების მოახლოებასთან ერთად, მთავრობის არასაგადასახადო შემოსავლების მობილიზების უნარი კიდევ უფრო გაუარესდება.**

*საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"*

**ცენტრალური ბიუჯეტის არასაგადასახადო შემოსავლები**

ხუთი თვის შედეგები

| მაჩვენებლები | წლის პროგნოზი | ხუთი თვის პროგნოზი | შესრულება | % | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | წლიური შესრულება | ხუთი თვიანი შესრულება |
| არასაგადასახადო შემოსავლები | 78,400.0 | 30,216.0 | 27,896.2 | 35.58% | 92.32% |
| შემოსავლები გაცემული კრედიტებიდან | 16,000.0 | 2,840.0 | 2,427.9 | 15.17% | 85.49% |
| [illegible] | 8,000.0 | 2,190.0 | 1,752.6 | 21.91% | 80.03% |
| [illegible] | 8,000.0 | 650.0 | 675.3 | 8.44% | 103.89% |
| დივიდენდები | 16,000.0 | 2,910.0 | 1,361.3 | 8.51% | 46.78% |
| მიწის პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლები | 2,000.0 | 600.0 | 451.3 | 22.57% | 75.22% |
| საქართველოს ეროვნული ბანკის 2002 წლის მოგების ტრანსფერი | 15,000.0 | 15,000.0 | 16,000.0 | 106.67% | 106.67% |
| შემოსავლები საკუთრებიდან და სამეწარმეო საქმიანობიდან | 1,000.0 | 220.0 | 224.8 | 22.48% | 102.18% |
| ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები, შემოსავლები არაკომერციული და თანმდევი [illegible] გაყიდვებიდან | 10,000.0 | 3,200.0 | 2,357.3 | 23.57% | 73.67% |
| ადმინისტრაციული ჯარიმებიდან და სანქციებიდან მიღებული შემოსავალი | 1,300.0 | 500.0 | 648.1 | 49.85% | 129.62% |
| სხვა შემოსავალი | 17,100.0 | 4,946.0 | 4,425.5 | 25.88% | 89.48% |

# საკრებულო თბილისში დენის მასობრივ გამორთვებს აპროტესტებს

გუშინ თბილისის საკრებულოს სათბობ-ენერგეტიკის და საზოგადოებასთან ურთიერთობის კომისიებმა ერთობლივი განცხადება გააკეთეს და აღშფოთება გამოხატეს დედაქალაქში ელექტროენერგიის გამორთვების გამო.

**"ჩვენი ხელისუფლების მიერ მოწვეული "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" და "ეი-ი-ეს თელასის" უცხოელი მმართველები დაუსაბუთებლად აცხადებდნენ, რომ გამორთვების მიზეზი 500 კილოვოლტიან ელექტროგადამცემ ხაზზე "ქართლი-2" მიმდინარე სარემონტო სამუშაოები იყო. ერთი, თუნდაც, უმთავრესი გადამცემი ხაზის სარემონტოდ გამორთვა არ უნდა იწვევდეს დედაქალაქში ელექტრომომარაგების შეზღუდვას, რადგან არსებობს სარეზერვო კვების წყაროები "თბილსრესიდან", სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან. უბრალოდ, მათ არ მოიქექეს ჩვენი გადახდილი თანხით გავსებული ჯიბეები და ეს წყაროები თანხების დაზოგვის მოტივით არ აამოქმედეს. საინტერესოა, როგორი რეაგირება მოჰყვებოდა დუბლინის, ვაშინგტონის, ან კარაკასის ყოველდღიურ გამორთვებს,"** – წერია განცხადებაში.

საკრებულოს სათბობ-ენერგეტიკის და საზოგადოებასთან ურთიერთობის კომისიები აფრთხილებენ "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" მმართველ ირლანდიურ კომპანიას, "ეი-ი-ეს თელასის" ამერიკულ ხელმძღვანელობას და მათ მხარდამჭერ ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებას, რომ გადამხდელი მოსახლეობისათვის ელექტროენერგიის გამორთვის ან შეზღუდვის ნებისმიერი შემთხვევა ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევად და სიცოცხლის ხელყოფად ჩაითვლება.

*24 საათი*

## მოკლედ

**თბილისი.** "თბილგაზი" ბუნებრივი აირის გარეშე არ დარჩება, ცენტრალური ხელისუფლება 100 პროცენტით დაფარავს იმ ვალს, რომელიც ფედერალურ დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციებზე მოდის. მათ შორის არის კანცელარია, პარლამენტი, ძალოვანი სტრუქტურები და სხვა, - განაცხადა ქალაქის მერმა ვანო ზოდელავამ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსთა სამინისტრომ ცენტრალური ბიუჯეტის დეფიციტის შესავსებად, საქართველოს ეროვნული ბანკისგან მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 1 ივნისამდე 115.68 მილიონი ლარის სესხი აიღო. აღებული სესხიდან ამ დროისთვის 97.16 მილიონი ლარი დაიფარა. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** კომპანია "ჟინერი" მზად არის, "ჟინვალჰესის" დაზიანებული სადერივაციო გვირაბის აღდგენისათვის კრედიტი აიღოს, თუმცა გარანტიის სახით, მართვის ხელშეკრულების გაგრძელებას ითხოვს. "ჟინვალჰესის" 10-წლიანი მართვის ხელშეკრულება "ჟინერს" 2004 წლის მაისში უმთავრდება, ამიტომ 22 მლნ. დოლარის ოდენობის კრედიტის აღებას ამ ეტაპზე აზრი არ აქვს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 12 ივნისს გეოგრაფიულ საზოგადოებაში გაიმართება სემინარი თემაზე "სამხრეთ კავკასიაში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და სამხრეთ კავკასიის მილსადენის გასწვრივ საზოგადოებრივ დამკვირვებელთა ქსელის ჩამოყალიბება და განვითარება", რომელიც ორგანიზებულია მწვანეთა მოძრაობის მიერ. მის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ ექსპერტები, საქართველოს პარლამენტის, ხელისუფლების, საერთაშორისო ორგანიზაციების, ბიზნესის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასმედიის წარმომადგენლები. **კავკას-პრესი**

# ქართული საბაჟო ევროპისაკენ მიისწრაფის

მაია ურუშაძე

*გუშინ თბილისს ევროსაბაჟოს დირექტორი მარტინ ბრაუნი ეწვია. ის შეხვდა ევროკომისიის დელეგაციის მეთაურს, ტორბენ ჰოლცესა და საბაჟოზე "ტასის"-ის ფარგლებში მიმდინარე პროექტის რეზიდენტ მრჩეველს მანფრედ ზუმერედერს. მოგვიანებით კი, საქართველოს საბაჟოზე მიმდინარე რეფორმების გაცნობის მიზნით, საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარეს დავით თარხან-მოურავს ესტუმრა. ევროკომისიის წარმომადგენლის, ევროსაბაჟოს დირექტორის ვიზიტის მთავარი მიზანი საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის ევროპულთან ჰარმონიზაციის საკითხი იყო.*



ევროსაბაჟოს ექსპერტებს ქართველი კოლეგებისთვის რეკომენდაციები მზად აქვთ.

მომიტა ბახაიძის ფოტო

**"ევროსაბაჟო ევროგაერთიანების წევრი ქვეყნების საბაჟო სამსახურების ოფიცრებით დაკომპლექტებული ორგანიზაციაა, რომელიც ევროგაერთიანების მომავალ წევრ და მეზობელ ქვეყნებს საბაჟო კანონმდებლობის სრულყოფასა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციაში ეხმარება,"** – განმარტა გუშინ ევროსაბაჟოს დირექტორმა. მისი თქმით, ევროსაბაჟო საქართველოს ახალი საბაჟო კოდექსის შემუშავებასა და მენეჯმენტის რეფორმაში კონსულტაციებით ეხმარება. ევროკომისიის მიერ საქართველოში 850 ათასი ევროთი დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, ევროსაბაჟოს ჰოლანდიელმა და ავსტრიელმა მებაჟე-ექსპერტებმა საბაჟო სტრუქტურის ევროპულ სტანდარტთან მიახლოებისთვის რეკომენდაციები უკვე მოამზადეს.

**"თუკი ევროკომისია დააფინანსებს, საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის ევროპულთან ჰარმონიზაციის პროექტი 2004 წელსაც გაგრძელდება,"** – განაცხადა მარტინ ბრაუნმა.

გუშინდელ შეხვედრაზე დაისვა საკითხი მეორადი საბაჟო კანონმდებლობის შემუშავების შესახებაც, რაც მებაჟეთათვის და საბაჟოსთან ურთიერთობის მქონე ბიზნესმენებისათვის უფლება-მოვალეობათა ერთგვარი სახელმძღვანელოს შექმნას ითვალისწინებს. ევროსაბაჟოს დირექტორთან საუბრისას საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარემ, ტრადიციულად, ტვირთბრუნვის სატელიტური კონტროლისა და საინფორმაციო ბანკის შექმნის საკითხიც წამოწია.

რაც შეეხება ევროკომისიის მიერ ქართული საბაჟოს დაფინანსებას, ეს საკითხი ევროსაბაჟოს ფარგლებში, ევროსაბაჟოს წევრ ქვეყნებს შორის დისკუსიისას უნდა გადაწყდეს. დავით თარხან-მოურავმა სურვილი გამოთქვა, რომ საქართველო ევროსაბაჟოზე დამკვირვებლის სტატუსით მაინც დაუშვან. საბაჟოს ახალ უფროსს საქართველოს საბაჟო-გამშვები პუნქტების ტექნიკური მდგომარეობა აღელვებს და იმედოვნებს, რომ ევროსაბაჟო საქართველოს, შესაძლოა, ამ მხრივაც დაეხმაროს. **"შენგენის ქვეყნებში** (ევროკავშირის წევრი ქვეყნები, დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის გარდა) **გაუქმდა საბაჟო-გამშვები პუნქტები და გამოთავისუფლდა ტექნიკა. ამდენად ვთხოვთ ევროსაბაჟოს, რომ ამ ტექნიკური საშუალებებით მაინც აღგვჭურვოს,"** – განუცხადა გუშინ მან ჟურნალისტებს.

სხვათა შორის, კანონმდებლობის ჰარმონიზაციის საკითხს ევროსაბაჟოს დირექტორი, თბილისში სტუმრობამდე, მოსკოვში, რუსეთის ფედერაციის საბაჟო კომიტეტში გამართულ შეხვედრებზეც შეეხო. საქართველოს მსგავსად, ევროკავშირთან ინტეგრაციისათვის ანალოგიური საკანონმდებლო ცვლილებების გატარება რუსეთსაც მოუწევს. ყოველ შემთხვევაში, საქართველოსა და რუსეთის საბაჟო სტრუქტურების ხელმძღვანელთა განწყობა ე.წ. "ცხელ წერტილებზე" საბაჟო კონტროლის გამკაცრებისკენ არის მიმართული. **"რუსეთის საბაჟოსთან შევთანხმდით ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნისა და ინფორმაციის მიმოცვლის თაობაზე, რასაც ჩვენი ქვეყნისთვის, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების პრობლემის გამო, სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. ჩვენთვის ასევე ცხელი წერტილია ყაზბეგი-ზემო ლარსის ტრასა,"** – გვაცნობა დავით თარხან-მოურავმა.

რუსეთისათვის ასეთი "ცხელი" წერტილები აფხაზეთის მიმართულებით "ვესიოლოეს" საბაჟო-გამშვები პუნქტია, სამხრეთ ოსეთის მონაკვეთზე კი – "ნიჟნი ზარმაგის".

# საავიაციო საქმიანობისათვის ლიცენზიების გაცემის წესი შეიცვლება

გუშინ გამართულ მთავრობის სხდომაზე საქართველოს ავიაციის დეპარტამენტის მიერ მომზადებული "სამოქალაქო საავიაციო საქმიანობის ლიცენზიის და ნებართვების გაცემის შესახებ" კანონპროექტი განიხილეს.

ახალი კანონპროექტის მიხედვით, ავიაციის სფეროში ლიცენზიები მხოლოდ რეგულარულ რეისებზე გაიცემა. ხოლო არარეგულარულ და ჩარტერულ რეისებზე, მუდმივი ლიცენზიების ნაცვლად, ახალი კანონპროექტის თანახმად, დროებითი ნებართვები იქნება გაცემული. გარდა ამისა, რაც შეეხება ძირითად განსხვავებას ამჟამად მოქმედ კანონსა და ახალ კანონპროექტს შორის - არსებული კანონით რეგულირდება მხოლოდ ეროვნული ავიაკომპანიების მოქმედება ქვეყანაში, ხოლო ახალი კანონპროექტის თანახმად, დარეგულირდება როგორც ეროვნული, ასევე ნებისმიერი იმ უცხოური ავიაკომპანიის საქმიანობა, რომელიც საქართველოში დაფრინავს. კანონპროექტი მთავრობის სხდომამ მოიწონა.

საქართველოს პრეზიდენტმა მხარდაჭერა გამოხატა თურქეთის და ბრიტანეთის ავიაკომპანიების მიმართ, რომელთა შესახებ უკანასკნელ პერიოდში საკმაოდ დიდი აჟიოტაჟია ატეხილი.

**"მე კარგად მახსოვს, რა პირობებში მოვაწერეთ ხელი თურქეთთან თანამშრომლობის ხელშეკრულებას. მაშინ თბილისში თვითმფრინავიც არ დაფრინავდა. მით უმეტეს, რომ ეს ხელშეკრულება არც საქართველოსთვის და არც თურქეთისთვის წამგებიანი არ არის და ამასთან, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მარტო ერთი კომპანიის იმედად ქვეყანა ვერ გამდიდრდება,"** - განაცხადა პრეზიდენტმა.

მანვე გააკრიტიკა ყველა ის პირი, ვინც, მისი თქმით, ხელი შეუშალა საქართველოსა და თურქეთს შორის ხელმოწერილი ხელშეკრულების რატიფიცირებას პარლამენტში. აღნიშნული ხელშეკრულება 12 წლის წინ არის ხელმოწერილი და თურქული კომპანიისთვის გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს.

ავიაკომპანია "თურქეთის ავიახაზების" მიერ საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტისთვის 15 მლნ. ლარის დავალიანების გადახდა-არგადახდის საკითხს მომავალში ისევ საოლქო სასამართლო განიხილავს. უზენაესი სასამართლოს გუშინდელი განჩინების მიხედვით, არსებულ დავაში მხარედ საგარეო საქმეთა სამინისტრო უნდა ჩაერთოს.

პრეზიდენტმა იგივე პოზიცია დააფიქსირა "ბრიტანეთის ავიახაზების" მიმართ და განაცხადა, რომ ეს საკითხი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ტონი ბლერის "ყურამდეა მისული". **"როცა სანკტ-პეტერბურგში ვიმყოფებოდი, მე ტონი ბლერის თანაშემწემ განმიცხადა, რომ ინგლისის პრემიერ-მინისტრს ამ საკითხზე ჩემთან საუბარი მოერიდა, თუმცა ის ძალიან არის დაინტერესებული, რომ თბილისსა და ლონდონს შორის მიმოსვლა კვლავ გაგრძელდეს,"** - განაცხადა შევარდნაძემ.

*ინტერ-პრესი*

სს გალტ & თაგგარტ სიქიურითის
JSC GALT & TAGGART SECURITIES

თბილისი,
12 ivnisi, 2003

გალტ & თაგგარტ სიქიურითის მომსახურებას უწევს ამერიკულ საინვესტიციო კომპანიას და იწვევს მის მფლობელობაში არსებული ქართული კომპანიების აქციების პაკეტების ყიდვაზე შემოთავაზების წინადადებების მიღებას

[illegible]

| [illegible] | აქცია | | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|
| | რაოდენობა | % (წილი) | | |
| [illegible]* | 12,845,431 | 11.57% | ICT [illegible] | [illegible], [illegible] 1 |
| [illegible]* | 78,555 | 20.03% | [illegible] | თბილისი, [illegible] №74/ა |
| [illegible]* | 222,884 | 21.88% | [illegible] | [illegible] №17 |
| [illegible] | 790 | 10.30% | [illegible] | თბილისი, [illegible] №2ა |
| [illegible] | | | | |
| [illegible] * | 348,041 | 14.16% | [illegible] | [illegible] |
| [illegible]* | 326,700 | 17.79% | [illegible] | ქუთაისი, [illegible] №18 |
| [illegible] | 163,350 | 24.31% | | ქუთაისი, [illegible] №274 |
| [illegible] | 303,615 | 29.87% | | [illegible] |
| [illegible] | | | | |
| [illegible] | 935 | 10.01% | | ქ. ახალქალაქი |
| [illegible] | 29,160 | 21.61% | | ქ. სამტრედია |

[illegible] 2003 [illegible] 15 [illegible] (995 32) 235-804, [illegible] broker@galtandtaggart.ge

[illegible] 10,000 [illegible]

[illegible] 2003 [illegible] 30 [illegible]

[illegible] broker@galtandtaggart.ge [illegible] (995 32) 23 58 04

[illegible]
[illegible] +995 32 235 800 ikirtava@galtandtaggart.ge
[illegible] +995 32 235 800 broker@galtandtaggart.ge
[illegible] www.galtandtaggart.ge

[illegible]

# ალბანეთი ნატო-ში შეჰყავთ

აშშ-ს თავდაცვის მინისტრი რამსფელდი ევროპაში ოთხდღიანი ვიზიტით იმყოფება. სამშაბათს იგი ალბანეთს ეწვია. რამსფელდმა მადლობა გადაუხადა ალბანელებს ერაყის წინააღმდეგ ომში დახმარებისათვის და განაცხადა, რომ ამ ქვეყნის ნატო-ში გაწევრიანებას აშშ მხარს დაუჭერს.

ომის დროს ალბანეთმა გამოკვეთილად პროამერიკული პოზიცია დაიკავა. ქვეყანამ აშშ-ს საზღვაო პორტები, საჰაერო სივრცე და აეროდრომები შესთავაზა. ერაყში ამჟამად 70 ალბანელი ჯარისკაცია დისლოცირებული. ალბანეთი შეუერთდა ვილნიუსის ათეულს, აღმოსავლეთ ევროპის ათი ქვეყნის გაერთიანებას, რომლებმაც ერთხმად დაუჭირეს მხარი ამერიკას.

ახლა ალბანეთი მხარდაჭერისათვის ჯილდოს მოლოდინშია. გასულ თვეს ალბანეთის დედაქალაქ ტირანაში სტუმრად მყოფმა კოლინ პაუელმა განაცხადა, რომ ალბანეთისა და მისი ორი მეზობლის, ხორვატიისა და მაკედონიის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებას ხელს შეუწყობს. რამსფელდის ვიზიტის დროს კი განაცხადეს, რომ ამერიკა დაეხმარება ალბანეთს არმიის აღჭურვაში და მისი ნატო-ს სტანდარტების შესაბამისად მომზადებაში

ალბანეთი ევროპის ერთ-ერთი ულატაკესი ქვეყანაა, რომლის მცხოვრებთა უმეტესობა სოფლის მეურნეობით ირჩენს თავს. თავისი მენტალიტეტით, ქვეყანა ტიპური პოსტკომუნისტური სახელმწიფოა, სადაც აღარც სოციალიზმია, მაგრამ ჯერ თავისუფალი საზოგადოებაც არ არის. მისი 3,5 მილიონიანი მოსახლეობის 70 პროცენტი მუსულმანია.

აღსანიშნავია, რომ პრაღის სამიტზე, ალბანეთს ნატო-ში მიღებაზე უარი უთხრეს, იმ მოტივით, რომ ეს ქვეყანა ალიანსის სტანდარტებს აშკარად არ აკმაყოფილებდა. თუმცა, ერაყის ომის შემდეგ, ბევრი რამ შეიცვალა.



რამსფელდი ალბანეთის ნატო-ში გაწევრიანებას მხარს უჭერს.

"ახალი დემოკრატიები ევროპაში სიმძიმის ცენტრს აღმოსავლეთისაკენ სწევენ", – განაცხადა რამსფელდმა. მაშინ, როდესაც ძველმა ევროპამ (საფრანგეთი და გერმანია) აშშ-ს დახმარებაზე უარი უთხრა, ესტაფეტა ახალმა ევროპამ (ყოფილი სოციალისტური ქვეყნები) აიღო, რომელმაც ამერიკას შესთავაზა სამხედრო ბაზები, პორტები და საჰაერო სივრცე - მათი ეკონომიკური და სამხედრო შესაძლებლობებიდან გამომდინარე, პრაქტიკულად, ყველაფერი, რისი შეთავაზებაც შეეძლოთ.

ომის შემდეგ, ეს ქვეყნები ევროპაში ამერიკის ძირითად მოკავშირეებად იქცნენ. ვაშინგტონში აცხადებენ, რომ პენტაგონი აპირებს, მსხვილი სამხედრო ბაზები გერმანიიდან სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, საფრთხის ახალ წყაროებთან უფრო ახლოს გადმოიტანოს. შესაძლო დისლოკაციის ადგილებად პოლონეთი, ბულგარეთი, რუმინეთი და ალბანეთი განიხილება.

ალბანეთის მიმზიდველობას ერთი-ორად ზრდის სამასკილომეტრიანი სანაპირო ხაზი ადრიატიკის ზღვაზე.

პენტაგონის ახალი პოლიტიკა "ახალი ევროპის" დიპლომატიურ მნიშვნელობასაც ზრდის. ადეკვატური პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, საქართველოსაც შეეძლო აქედან რამეს გამორჩენოდა. მით უმეტეს, რომ ვის-ვის და, ალბანეთს ბევრი არაფრით ჩამოვრჩებით.

# ირანელები კლერიკალებს პროტესტს უცხადებენ

თეირანში სამშაბათს გვიან ღამით გამართულ ანტისამთავრობო დემონსტრაციაში ათასობით ირანელმა მიიღო მონაწილეობა.

აქცია, თავდაპირველად, სტუდენტური გამოსვლებით დაიწყო, რომლებიც უნივერსიტეტების პრივატიზაციის წინააღმდეგ გამოვიდნენ.

თუმცა, მოგვიანებით, სტუდენტური აქცია ხალხმრავალ დემონსტრაციაში გადაიზარდა და ხალხი თეირანის ქუჩებს მოედო. ისინი რელიგიური ისტებლიშმენტის შეცვლას მოითხოვდნენ.

ზოგიერთი წყაროს ინფორმაციით, პოლიციამ დემონსტრაცია დაარბია.

"ბი-ბი-სის" ცნობით, სამშაბათს ირანის უდიდესმა სტუდენტურმა ორგანიზაციამ ქვეყნის უზენაესი ლიდერი აიათოლა ალი ხამენეი გააკრიტიკა. სტუდენტებმა ხამენეის დემოკრატიული რეფორმების გატარებისაკენ მოუწოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისლამური ხელისუფლების დამხობით დაიმუქრნენ.

ზოგიერთი თეირანელის აზრით, სამშაბათის დემონსტრაცია, 1999 წლის შემდეგ, ყველაზე დიდი იყო. მაშინდელი დემონსტრაციის დროს, ისლამისტმა კონსერვატორებმა და უშიშროების სამსახურებმა თეირანის უნივერსიტეტის სტუდენტებზე იერიში მიიტანეს. მაშინ ხალხი თავისუფალი მედიის მხარდასაჭერად შეიკრიბა.

1999 წლის გამოსვლა, ისლამური ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ, ყველაზე დიდი ანტისამთავრობო გამოსვლა იყო.

ირანში მყოფი დასავლელი მიმომხილველების თქმით, ქვეყანაში დაძაბულობა იზრდება, რადგან ხალხი პრეზიდენტ მოჰამად ხათამის მიერ შეპირებული რეფორმების დაყოვნების გამო გულგატეხილია.

სტუდენტები მასობრივად ქუჩაში გასულ წელსაც გამოვიდნენ და ლიბერალური შეხედულებების მქონე ლექტორის პატიმრობიდან გათავისუფლება მოითხოვეს, რომელსაც კონსერვატორმა მოლებმა სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს.

ცოტა ხანში სტუდენტებს მხარი დაუჭირა 120-მა დეპუტატმაც, რომლებმაც ლექტორისა და სტუდენტთა ლიდერების დასჯის წინააღმდეგ გაილაშქრეს.

დასავლელი ექსპერტების ზოგიერთი წარმომადგენლის აზრით, ირანის მმართველი კლერიკალები, სადამ ჰუსეინის გადაგდების შემდეგ, ერაყში თეირანის გავლენის გაფართოებას ცდილობენ.

შეერთებული შტატების მიერ მრავალგზის გაფრთხილების მიუხედავად, რომ ერაყის საშინაო საქმეებში არ ჩაერიონ, გასულ კვირას, ირანელმა რელიგიურმა ლიდერებმა შეიარაღებული შიიტური ჯგუფის ლიდერი მოკდატა სადრი თეირანში მოლაპარაკებების გასამართად მაინც მიიწვიეს. სადრმა ერაყში ირანული ტიპის თეოკრატიული რეჟიმის დამყარებას საჯაროდ დაუჭირა მხარი, რასაც აშშ კატეგორიულად ეწინააღმდეგება.

# "ჰამასის" ლიდერზე თავდასხმამ საყოველთაო შეშფოთება გამოიწვია

ლევან ღირსიაშვილი

ისრაელის უშედეგო სამხედრო სპეცოპერაციამ ჰამასის ლიდერის წინააღმდეგ, საერთაშორისო მასშტაბის რეზონანსი გამოიწვია. პირველი, ვინც ამ ფაქტს გამოეხმაურა, თეთრი სახლი იყო. აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა, პალესტინელ მებრძოლებზე ებრაელთა სარაკეტო იერიშის გამო, აღშფოთება გამოთქვა და ორივე ქვეყნის მეთაურებს მოსთხოვა, მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდნონ სიტუაციას. ამავე დროს ბუშმა, ახლო აღმოსავლეთში სამშვიდობო გეგმის რეალიზაციისკენ თავისი სწრაფვა დაადასტურა. როგორც ცნობილია, სამშაბათს, ებრაელთა მიერ განხორციელებული ორი შეტევის დროს, დაიღუპა 6 ადამიანი. ასევე, სარაკეტო იერიშის დროს დაიჭრა "ჰამასის" ლიდერი აბდელ-აზიზ ალ-რანტისი.

აშშ-ს პრეზიდენტის სიტყვებით, მას აფიქრებს ის ფაქტი, რომ ებრაელთა არმიის მიერ მიყენებული დარტყმები ხელს შეუშლის პალესტინის ადმინისტრაციას, წინ აღუდგეს ტერორიზმს. ეს კი ძირითადი ელემენტია" საგზაო რუკაში".

**"მსგავსი აქციები ისრაელის უშიშროებას ვერ განამტკიცებს,"** - განაცხადა ბუშმა.

ამასთან დაკავშირებით, თეთრი სახლის წარმომადგენელმა არი ფლეიშერმა აღნიშნა, რომ **" მნიშვნელოვანია მშვიდობის გზაზე ერთობლივი მუშაობის ფორმატა მოძებნა, რაც ორივე მხარემ უნდა მოინდომოს, გამოძებნონ "საგზაო რუკის" რეალიზაციის გზები და აღკვეთონ ტერორიზმი".**

ფლეიშერმა აღიარა ისრაელის თავდაცვის უფლება, მაგრამ ყურადღება გაამახვილა, რომ ის უფრო გლობალური მიზნების გათვალისწინებით უნდა ხორციელდებოდეს, უკანასკნელი სავერტმფრენო იერიში კი აშშ-ს ადმინისტრაციის ღრმა შეშფოთებას იწვევს.



"ჰამასში" გადაწყვეტილებას მხოლოდ ერთი ლიდერი არ იღებს.

REUTERS

მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, თავისი პოზიცია "საგზაო რუკის" ერთ-ერთმა ავტორმა - რუსეთმაც დააფიქსირა. ოფიციალურმა მოსკოვმა ისრაელს თავშეკავებისკენ მოუწოდა.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში წერია: **"არავინ აყენებს ეჭვქვეშ ისრაელის უფლებას, ებრძოლოს ტერორიზმს, მაგრამ მომხდარი ვერანაირად ვერ ჯდება "საგზაო რუკის" პარამეტრებში, რომელიც ითვალისწინებს ცალმხრივი ნაბიჯების უარყოფას და ურთიერთპასუხისმგებლობას ტერორიზმთან ბრძოლაში და სამშვიდობო პროცესის დამყარებაში."**

რაც შეეხება ისრაელს, ის ტერორიზმის დასამარცხებლად კვლავ აპირებს ახალი აქციების განხორციელებას. ისრაელის მთავრობის წარმომადგენელმა სამშაბათს განაცხადა, რომ პალესტინელი ტერორისტები კვლავ უნდა ელოდნენ, რომ ჰამასის ლიდერის ჯიპზე განხორციელებული იერიშის მსგავსი თავდასხმები მომავალში უფრო წარმატებით დასრულდება.

ოფიციალურმა ტელ-ავივმა აბდელ აზიზ არ-რანტისი, კვირას ღაზას სექტორში ისრაელის არმიის პოსტზე განხორციელებულ თავდასხმაში დაადანაშაულა, რის შედეგადაც 4 ებრაელი დაიღუპა.

პალესტინის რადიკალური დაჯგუფებები კი, რანტისზე თავდასხმის გამო, შურისძიების პირობას დებენ.

აღნიშნული ვითარების საკმაოდ საინტერესო მიმოხილვას აკეთებს ისრაელის გავლენიანი გაზეთი "ჰაარეცი."

**"რაკეტებმა, რომლებმაც ვერ მოახერხეს ღაზას სექტორში აბდელ აზიზ ალ-რანტისის მოკვლა (თუმცა, მოახერხეს უდანაშაულო გამვლელების, მათ შორის, ქალის და ბავშვის მოკვლა), პირდაპირი დარტყმა მიაყენეს პალესტინის ადმინისტრაციის პრემიერ-მინისტრს მაჰმუდ აბასს (აბუ მაზენს) და ვაშინგტონს და, შესაბამისად, აქაბაში და შარმ-აშ-შეიხში მიღწეულ შეთანხმებებს,"** - ნათქვამია გამოქვეყნებულ სტატიაში.

საინტერესოა ერთი ფაქტი. ეს შეტევა რომ წარმატებით დასრულებულიყო, როგორი იქნებოდა ადგილობრივი საზოგადოების და საერთაშორისო რეაქცია?

ამასთან დაკავშირებით, "ჰაარეცი" საკმაოდ საინტერესო მოსაზრებას ავითარებს: **"თავდასხმის წარმატებით დასრულების შემთხვევაშიც კი, "ჰამასის" მოძრაობის სტრუქტურა მნიშვნელოვნად არ დაზარალდებოდა. ალ-რანტისი - ერთ-ერთი ხუთთაგანია პალესტინურ ტერიტორიებზე მცხოვრები ცნობილი ეროვნული ლიდერებიდან და ერთი ათთაგანი რეგიონული ლიდერებიდან."**

გარდა ამისა, "ჰამასში" გადაწყვეტილებას მხოლოდ ერთი ლიდერი არ იღებს. გადაწყვეტილებები კონკრეტული ოპერაციის შესახებ, საერთო კონსულტაციების და დიალოგის გზით მიიღება. ალ-რანტისის ჩამოშორება "ჰამასის" გადაწყვეტილებების მიღების პროცესს ვერ ავნებდა.

**"და ბოლოს, თავდასხმის შედეგად "ჰამასის" გარდა, ერთ-ერთ გამარჯვებულად მოგვევლინა პალესტინის ადმინისტრაციის წინამძღვარი იასირ არაფატი, რომელსაც ახლა შეუძლია "დაამტკიცოს", რომ მისი პრეტენზიები ისრაელის მიმართ "სამართლიანია". გუშინ მისმა თანაშემწეებმა განაცხადეს, რომ "საგზაო რუკის" განხორციელებას ხელს უშლის ისრაელი და არა პალესტინელები. ვითარების ამგვარი განვითარებით, კმაყოფილია სირიის პრეზიდენტი ბაშარ ასსადიც. ხოლო, ალ-რანტისზე თავდასხმის გამო, პალესტინის ადმინისტრაცია, იორდანია და ეგვიპტე, ისრაელის და ვაშინგტონის მიერ დაგებულ მახეში მოხვედრილებად გრძნობენ თავს,"** ასკვნის ისრაელის გავლენიანი გაზეთი "ჰაარეცი".

# სომხეთში კოალიციური მთავრობა შეიქმნება

პირველი გვერდიდან

რესპუბლიკური პარტიის როლი მომავალ მთავრობაში მას შემდეგ გახდა ნათელი, როდესაც პარლამენტში არჩეულმა სარგსიანმა და რესპუბლიკური პარტიის წევრმა რვა ყოფილმა მინისტრმა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ოფიციალურად განაცხადეს, რომ პარლამენტს ტოვებენ. სომხეთის კონსტიტუცია პარლამენტის წევრებს აღმასრულებელ ხელისუფლებაში ნებისმიერი თანამდებობის დაკავებას უკრძალავს.

პარლამენტიდან წამოსულ ყოფილ მინისტრთა შორის არიან ადგილობრივი მმართველობის მინისტრი ჰოვიკ აბრაჰამიანი, ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ვართან ხაჩატრიანი, ენერგეტიკის მინისტრი არმენ მოვსისიანი, მრეწველობის მინისტრი კარენ ჩშმარატიანი და სოფლის მეურნეობის მინისტრი დავიდ ზადოიანი. რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელმა სამველ ნიკოიანმა განაცხადა, რომ მისი აზრით, "პარლამენტიდან წამოსული ყველა ყოფილი მინისტრი თანამდებობას ვერ შეინარჩუნებს". მან დაადასტურა, რომ ზადოიანი ძველ თანამდებობაზე აღარ დაინიშნება.

სხვადასხვა მონაცემებით, ზადოიანს, რომელიც მთავრობაში 1990-იანი წლების დასაწყისიდან იმყოფება, დავიდ ლოკიანი შეცვლის. ლოკიანს დაშნაკციუტუნში მაღალი თანამდებობა უკავია და წინა მთავრობაში სამოქალაქო განვითარების მინისტრი იყო. დაშნაკციუტუნს იმედი აქვს, რომ პარტიის წევრები სოციალური უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის სამინისტროების ხელმძღვანელებად დაინიშნებიან. ამას გარდა, დაშნაკებს ჩრდილო-დასავლეთში მდებარე არაგაწონისა და შირაქის პროვინციებს ჩააბარებენ.

რაც შეეხება პარლამენტს, დაშნაკციუტუნის ორი ლიდერი ვაჰან ოვანესიანი და არმენ რუსტამიანი ვიცე-სპიკერისა და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობებს მიიღებენ.

სხვადასხვა მონაცემებით, კოჩარიანმა მის მხარდამჭერ სამ პარტიას შორის თანამდებობები თავად გადაანაწილა. სწორედ პრეზიდენტ კოჩარიანის დაჟინებული მოთხოვნით, პარტიები დათანხმდნენ, რომ სპიკერის თანამდებობაზე "ორინაც იერკირის" თავმჯდომარეს არტურ ბაღდასარიანს მისცემენ ხმას. აღნიშნული პარტია მიიღებს, აგრეთვე, განათლების, საქალაქო განვითარებისა და კულტურის სამინისტროების პორტფელებს. დაშნაკციუტუნის მსგავსად, მათ აგრეთვე ორ რეგიონს გეღარკუნიკსა და ვაიოცძორს ჩააბარებენ.

ხელისუფლებასთან დაახლოებულ პირებზე დაყრდნობით, სომხური საინფორმაციო წყაროები იუწყებიან, რომ საბოლოო შეთანხმება სამშაბათს შედგა, როდესაც პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებულ პირობებზე დაშნაკციუტუნიც დათანხმდა. პარტია მანამდე ანტიკორუფციული სააგენტოს შექმნას მოითხოვდა, მაგრამ ეს იდეა კოჩარიანმა გადაჭრით უარყო.

# „თავისუფლების ფასი„: 3240 მშვიდობიანი მსხვერპლი

ერაყის ომის დროს, სულ ცოტა, 3240 მშვიდობიანი ადამიანი დაიღუპა. ასეთ დასკვნამდე მივიდა საინფორმაციო სააგენტო "ასოშეიტედ პრესი", რომლის ჟურნალისტებმაც ერაყში ყველა დიდი საავადმყოფო შემოიარეს. აქედან, 2000-მდე მხოლოდ ბაღდადში დაიღუპა.

სააგენტოს განცხადებით, მსხვერპლის რეალური რაოდენობა, შეიძლება, გაცილებით დიდი იყოს, რადგან ჟურნალისტებმა მხოლოდ ის გარდაცვლილები დათვალეს, რომლებიც საავადმყოფოებში დაიღუპნენ. მათ შესახებ, ვინც ნანგრევებში ჩაიმარხა, ან ექიმების აღრიცხვის მიღმა დარჩა, მონაცემები არ არსებობს. და შეიძლება არც არასოდეს გახდეს ცნობილი. ერაყის პირველი ომის დროს, რომელიც 7-კვირიანი დაბომბვებისა და 100-საათიანი სახმელეთო ბრძოლებისაგან შედგებოდა, მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლმა 2800 ადამიანს გადააჭარბა.

სააგენტოს ცნობით, მის დაანგარიშებაში არ მოხვდა ბაღდადის ბაზრის გახმაურებული დაბომბვით გამოწვეული მსხვერპლი, რადგან მოკავშირეებს არ უღიარებიათ, რომ ბაზარს სწორედ მათი ნასროლი რაკეტა დაეცა. 3240 კაცში არ შედიან, აგრეთვე, ბასრაში დაღუპულები, რადგან ამ ქალაქში ექიმები სამხედროებისა და სამოქალაქოების ცხედრებს ცალ-ცალკე არ ითვლიდნენ.

სააგენტოს აზრით, მართალია, დაღუპულთა უმრავლესობა ამერიკული და ბრიტანული იარაღით არის მოკლული, და პასუხისმგებლობაც მათ ეკისრებათ, მაგრამ მათგან ნაწილის სიკვდილში ბრალი ერაყის ხელისუფლებასაც ედება, რომელმაც მძიმე შეიარაღება მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში განალაგა.

"ასოშეიტედ პრესის" სტატისტიკის კომენტირებისას, პენტაგონის წარმომადგენელმა ჯიმ კასელამ განაცხადა: "ჩვენი მიზანი მოწინააღმდეგის სამხედრო ძალის განადგურება იყო. ჩვენ შეგნებულად არასოდეს ამოგვიღია მიზანში მშვიდობიანი მოსახლეობა, ამიტომ მათ შორის მსხვერპლის დათვლაც არ გვიფიქრია".

სამაგიეროდ, დაღუპულთა რაოდენობას ითვლის ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაცია "ჰიუმენ რაითს უოჩი". მას განზრახული აქვს პენტაგონს უჩივლოს და დაღუპულთა ოჯახებისათვის კომპენსაციის გადახდა მოსთხოვოს.

ერაყელთა ნაწილი მიიჩნევს, რომ რეალურად, მსხვერპლის რაოდენობა გაცილებით მეტი იყო და მშვიდობიან მოსახლეობაში დანაკარგების თავიდან აცილებაც – სავსებით შესაძლებელი.

თუმცა, მოსახლეობის მეორე ნაწილი ამ რიცხვს ფილოსოფიურად უყურებს. "რას იზამ, ომი ომია, მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლი კი - ის ფასია, რომელიც ჩვენ თავისუფლებისათვის გავიღეთ," – ამბობს ბაღდადის ცენტრალური საავადმყოფოს ახალი დირექტორი.

*ასოშეიტედ პრესი*

## ინფორმაცია

### რუს ჯაშუშს 18 წელი მიუსაჯეს

რუსეთის კონტრ-დაზვერვის პოლკოვნიკს ალექსანდრ ზაპაროჟსკის ჯაშუშობისათვის 18-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, – განაცხადა გუშინ რუსეთის სამხედრო პროკურატურამ.

ზაპაროჟსკი ვაშინგტონში, რუსეთის საელჩოში კონტრ-დაზვერვის სამსახურის უფროსის მოადგილე იყო. რუსეთის ხელისუფლებას არ დაუკონკრეტებია, რომელი ქვეყნის სასარგებლოდ ჯაშუშობდა პოლკოვნიკი.

"ოფიციალური ვერსიის თანახმად, იგი ერთდროულად რამდენიმე ქვეყნის მთავრობას აწვდიდა ინფორმაციას," – განაცხადა პროკურატურის პრეს-ცენტრის ხელმძღვანელმა.

მოსკოვისა და ვაშინგტონის ურთიერთობა სავსეა ჯაშუშური სკანდალებით. მარტო ეიმსის ისტორია რად ღირს. ორი წლის წინ, ბუშის ადმინისტრაციამ "დიპლომატისათვის შეუფერებელი საქციელისათვის" ვაშინგტონიდან რუსეთის საელჩოს ერთდროულად 50 თანამშრომელი გამოაძევა, რასაც რუსეთმა ზუსტად ანალოგიური ნაბიჯით უპასუხა. **როიტერი**

### ყაზახეთის პრემიერ-მინისტრი გადადგა

გუშინ ყაზახეთის პრემიერ-მინისტრმა, იმანგალი ტასმაგამბეტოვმა საკუთარი გადადგომის შესახებ განაცხადა. მისი განცხადებით, ეს ნაბიჯი მიწის კანონის გამო პარლამენტთან შეხლა-შემოხლამ გამოიწვია.

პრემიერმა განაცხადა, რომ თუ პარლამენტი მის მიერ წარდგენილ კოდექსს უცვლელი სახით არ მიიღებდა, იგი გადადგებოდა. ხანგრძლივი დაპირისპირების შემდეგ, ტასმაგამბეტოვმა ნდობის ვოტუმი მიიღო. მაგრამ, მან გადადგომის შესახებ განცხადება მაინც დაწერა.

თუ პრეზიდენტმა მისი განცხადება დააკმაყოფილა, კანონის თანახმად, პრემიერს მთელი კაბინეტი უნდა მიჰყვეს. **როიტერი**

### აფეთქება იერუსალიმში

13 ადამიანი დაიღუპა გუშინ საღამოს იერუსალიმში ავტობუსის აფეთქების შედეგად, სულ ცოტა, 65 დაიჭრა. აფეთქება ტერორისტმა კამიკაძემ განახორციელა. აფეთქების ორგანიზატორის გამოსავლენად, ისრაელის უშიშროებას დიდი თავისმტვრევა არ დასჭირვებია. მას შემდეგ, რაც გუშინწინ ისრაელის ვერტმფრენებმა ჰამასის ლიდერის მანქანა დაბომბეს, ჰამასმა განაცხადა, რომ იგი შურს იძიებდა.

შურისძიების პირველი აქტი გუშინწინვე განხორციელდა. პალესტინელებმა რაკეტა ებრაულ დასახლებას ესროლეს. ისრაელმა ამას ახალი დაბომბვით უპასუხა, რომელმაც სულ ცოტა, 6 პალესტინელის, მათ შორის - ჰამასის ერთ-ერთი ლიდერის, სიცოცხლე შეიწირა. ამას კი იერუსალიმში ტრაგედია მოჰყვა.

ტერორის ტალღა ახლო აღმოსავლეთში ახალი ძალით აგორდა. ამჟამად ვერავინ იტყვის, რა ბედი ეწევა "საგზაო რუკად" ცნობილ სამშვიდობო გეგმას.

# ორდენი მამის გამოგონილი ქვეყნიდან

## პირველად დამოუკიდებელი საქართველოსა და ლიტვის ისტორიაში



*ნანა დევიძეს ლიტვის უმაღლესი სახელმწიფო ორდენით აჯილდოებენ.*

*დღეს, პირველად დამოუკიდებელი საქართველოსა და ლიტვის ისტორიაში, ლიტვის უმაღლესი ორდენით დაჯილდოვდება საქართველოს მოქალაქე, ნანა დევიძე. ქართველმა მთარგმნელმა ლიტვის პრეზიდენტის განკარგულებით დაიმსახურა ეს ჯილდო ლიტვური კულტურის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის. დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი დღეს "კავკასიურ სახლში" გაიმართება.*

ვერა ნეფარიძე

“ეს ძალიან მნიშვნელოვანი დღეა საქართველო-ლიტვის ურთიერთობის ისტორიაში. დღეს ჩვენი უმაღლესი ორდენით პირველად ვაჯილდოებთ საქართველოს მოქალაქეს”, - გვითხრეს გუშინ “24 საათის” რედაქციიის სტუმრებმა, დღევანდელი დაჯილდოების ცერემონიალის ორგანიზატორებმა, სტრატეგიულ-კომუნიკაციათა სააგენტო SKA-ს წარმომადგენლებმა, რაიმონდას გაბულავიჩიუსმა და ლიტვის საპატიო კონსულმა საქართველოში, ირენ სლიზევიჩუტე-ჯიქიამ.

ვიტაუტას დიდის ორდენით დაჯილდოება მხოლოდ ლიტვაზე შეყვარებული ქართველი მთარგმნელისთვის არ არის მნიშვნელოვანი. როგორც ყველა სახელმწიფო ჯილდოს, ლიტველები ამ ორდენსაც განსაკუთრებულ პატივს მიაგებენ, რადგანაც ის დაკავშირებულია ლიტველების ყველაზე სამაყო წინაპრის, ვიტაუტას დიდის (1392-1430წწ.) სახელთან. მისი სახელმწიფო მმართველობის ხანაში ლიტვის საზღვრები ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე აღწევდა და მასში შედიოდა ყირიმიც. ქართული ანალოგიით თუ ვიმსჯელებთ, ვიტაუტას დიდი ისეთივე მნიშვნელობის ფიგურაა ლიტველებისთვის, როგორიც დავით აღმაშენებელი ჩვენთვის. ქართული სახელმწიფო ჯილდოებიდან ვიტაუტას დიდის ორდენთან შედარებას კი ჩემს თავზე ნამდვილად ვერ ავიღებ... ჩვენთან ხომ ორდენებს უფრო თამამად არიგებენ... ხოლო ლიტვის ამ უმაღლესი სახელმწიფო ჯილდოს მინიჭების პრესტიჟულობას ისიც ადასტურებს, რომ ამ ორდენით ლიტვისა და უცხოეთის სახელმწიფოების მეთაურებს და ლიტვის სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისთვის აჯილდოებენ. ორდენი 1930 წელს დაარსდა, ხოლო გარკვეული პაუზის შემდეგ, 1995 წელს აღადგინეს. ორდენით დღემდე დაჯილდოებული არიან მონარქები, პრეზიდენტები, სხვადასხვა ქვეყნების გამოჩენილი მოღვაწეები. წელს ლიტველებმა ამ ორდენით ორი უცხოელი დააჯილდოვეს.

ქართველი მთარგმნელი ამ ჯილდოს ლიტვური კულტურის სამსახურში გატარებული მრავალწლიანი ღვაწლის შემდეგ მიიღებს. სხვათა შორის, მთარგმნელობით მოღვაწეობის ხანგრძლივობის, ამ დარგში საკმაო გამოცდილებისა თუ დარგისადმი მისი ერთგულების მიუხედავად, ნანა დევიძის თარგმანების ნიგნად ჯერ არ გამოცემულა. 1-7 ივნისს ვილნიუსში, იუნესკოს ეგიდით გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე, სადაც ნანა დევიძე მოხსენებითაც გამოვიდა, დაიგეგმა ასეთი კრებულის გამოცემა. ნიგნი, სავარაუდოდ, გაისად გამოვა; ფინანსური ხარჯების გაღების ლიტვური მხარე საკუთარ თავზე იღებს.

“ჩემთვის ძალიან მოულოდნელი იყო ასეთი მნიშვნელოვანი ჯილდოს მიღება”, - გვითხრა ნანა დევიძემ, - როდესაც შემატყობინეს, მაშინ არც კი მქონდა სრული წარმოდგენა ამ ორდენზე. ამიტომ სხვადასხვა წყაროებში მოვიძიე ინფორმაცია მის შესახებ და გავიგე, თუ როგორი პრესტიჟულია ეს ჯილდო”. ქ-ნ ნანას დაინტერესება ლიტვური კულტურით ძალიან ადრე, მის ბავშვობაში დაიწყო. მაშინ, როდესაც ლიტვიდან დაბრუნებული, ომგამოვლილი მამა ბავშვებს უყვებოდა ზღაპარს პატარა ქვეყანაზე, რომელიც ძალიან შორსაა, სადაც არის თვალუწვდენელი ველები, ცამდე ნაძვები, გრძელი ზამთარი იცის..... და ამ ქვეყანას ლიტვა ერქვა. ზღაპრების თხრობას მეტ ეფექტს აძლევდა ლიტვური დაინები (ფოლკლორი), რაც ძალიან შთამბეჭდავად მოქმედებდა პატარებზე. კარგა ხანს, ვიდრე გეოგრაფიის მასწავლებელმა არ ახსნა ერთ-ერთ გაკვეთილზე ლიტვა, როგორც რეალური სახელმწიფო, სსრკ-ს ერთ-ერთი რესპუბლიკა, ნანა დევიძეს ლიტვა ზღაპრული, მამის გამოგონილი ქვეყანა ეგონა. მას შემდეგ, მომავალი მთარგმნელი ყველანაირ ინფორმაციას აგროვებდა, რაც კი ლიტვის შესახებ წვდებოდა საბჭოთა საქართველოს ცხოვრებაში. მაშინ ფიქრობდა, რომ ამ მწირი ცნობებით მამის ნოსტალგიას რაღაცნაირად კვებავდა, მოგვიანებით კი აღმოჩნდა, რომ ეს ინფორმაცია ყველაზე მეტად თავად მას სჭირდებოდა.



*ირენ სლიზევიჩუტე-ჯიქია*



*რაიმონდას გაბულავიჩიუსი*

დანარჩენი ნანა დევიძის ცხოვრებაში, თითქოს, თავისთავად მოხდა; ჩააბარა ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, თუმცა იმის მიუხედავად, რომ ძველ ქართულ ლიტერატურაზე მუშაობდა, მოხვდა ოთარ ბაქანიძის (უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის მაშინდელი დეკანი) დაარსებულ მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა კათედრის თარგმანის განყოფილებაში. “თავიდან წინააღმდეგი ვიყავი. მას შემდეგ გადაწყვიტე დარჩენა, რაც ბ-ნ ოთარს წამოსცდა, სტუდენტებს ბალტიისპირეთში გაგიშვებთო”, - გვიყვება ნანა დევიძე. ბ-ნ ოთარის პირობა შესრულდა და ისევე როგორც თარგმანის განყოფილების სხვა სტუდენტები ბალტიისპირეთის სხვადასხვა სასწავლებლებში, ნანა დევიძემ წელიწადნახევარი ვილნიუსის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაატარა. მას შემდეგაც იგი აქტიურად მონაწილეობდა ვილნიუსის უნივერსიტეტის ტრადიციულ ფოლკლორულ ექსპედიციებში. ლიტვური კულტურის შესწავლის პირველ ნაბიჯებს მოჰყვა მისი პირველი სერიოზული მუშაობა ლიტვური მცირე ბიბლიოთეკის მედგენაზე. მუშაობაში მას დიდ დახმარებას უწევდნენ ლიტველი კოლეგები. სადღეისოდ იგი ქართულ ენაზე ნათარგმნი ყველა ლიტვური კრებულის თუ ცალკეული თარგმანის ავტორი და თანაავტორია. მის ნაშრომებს შორის არის: კლასიკოსი და თანამედროვე ლიტველი მწერლების პოეტური კრებულები, ფოლკლორული ანთოლოგია, დრამები, რომანები... თავად ქართველი მთარგმნელის თქმით, იგი ამ მრავალწლიანი მუშაობით ცდილობდა, როგორმე მადლობა ეთქვა იმ ლიტველ მეგობრებისთვის, რომლებიც ცხოვრების მძიმე წლებში მას მორალურად და მატერიალურად ეხმარებოდნენ. დღეს ქართველი მთარგმნელი გაწეული ღვაწლისთვის ჯილდოსაც მიიღებს.

# ქუთაისს ეპიდემია ემუქრება!

ბექა სისაური
*ქუთაისიდან*

ორშაბათიდან ქუთაისს, გადაუხდელობის გამო, ელექტროენერგიის მიწოდება შეეზღუდა. ამჟამად ქალაქს მხოლოდ 15 მეგავატი ელექტროენერგია მიეწოდება, მოსახლეობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად კი 80 მეგავატია საჭირო. საგულისხმოა, ისიც რომ ქუთაისს გაზის მიწოდება დაახლოებით ერთი თვის წინ შეუწყდა. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე ქალაქი ფაქტობრივად ენერგეტიკულ ბლოკადაში იმყოფება. ყველაზე საგანგაშო კი ის არის, რომ დენი არც წყალსადენს მიეწოდება, რის გამოც, უკვე 4 დღეა რაც მოსახლეობა უწყლოდაა დარჩენილი. ამჟამად, ქუთაისის ყველა სასიცოცხლო ობიექტი წყლის გარეშეა დარჩენილი. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, გუშინ ქუთაისის სანიტარული სამსახურის ხელმძღვანელმა ტარიელ სვანაძემ განგაში ატეხა და ეპიდემიის საშიშროებასთან დაკავშირებით შესაბამისი შეტყობინებები ჯანდაცვის სამინიტროსა და კანცელარიაშიც გააგზავნა: **“მე როგორც მთავარი სახელმწიფო სანიტარული ექიმი ვაცხადებ, რომ ქუთაისში აღნიშნული მდგომარეობა კიდევ ერთი დღით თუ გაგრძელდა კატასტროფამდე მივალთ. ქუთაისში ნაწლავთა ინფექციის ეპიდემია იფეთქებს და ამაზე პასუხი ვიღაცამ აუცილებლად უნდა აგოს."**

იგი ეპიდემიის შემთხვევაში სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს.

## ღია წერილი

# საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს

ბატონო პრეზიდენტო!

ქალბატონო პარლამენტის თავმჯდომარევ!

ნება გვიბოძეთ, თქვენი ყურადღება მივაპყროთ ქვეყნის უსაფრთხოებისათვის ერთ უაღრესად საჭირბოროტო გარემოებას. წლების განმავლობაში, ხელისუფლების მხრიდან რელიგიის სფეროში გატარებულმა პროტექციონალისტურმა პოლიტიკამ, რაც ექსტრემისტული დაჯგუფებების მიერ ძალადობის გამოვლინებებისადმი წაყრუებითაც გამოიხატა, უკვე შეამზადა ნიადაგი ქვეყანაში რელიგიური ფუნდამენტალიზმის აღსაზევებლად. ახლა, როცა მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების წინ პოლიტიკური ძალები ცდილობენ, მაქსიმალურად გამოიყენონ თავიანთი პროპაგანდისტული პოტენციალი (რაც ბუნებრივია), შეშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ პოლიტიკური პარტიები, ერთგულებენ რა ხელისუფლების მიერ შერჩეულ ტაქტიკას, ამომრჩეველთა გადაბირების მიზნით მოურიდებლად სპეკულირებენ რელიგიური თემატიკით:

ეწევიან ფარისევლურ პროპაგანდისტულ კამპანიებს ზოგიერთი ისტორიული პირის წმინდანად შერაცხვისა და მათი ნეშტების საქართველოში გადმოსვენების თემაზე;

სატელევიზიო დებატებში ერთმანეთს უყენებენ ბრალდებებს რელიგიურ მიკუთვნებულობასთან დაკავშირებით;

ტეხენ პერიოდულ სკანდალებს რელიგიური სიმბოლოების გამოყენების უფლებამოსილების თაობაზე;

პოლიტიკური დივიდენდების დაგროვების მიზნით, რელიგიურ აურზაურში ერთვებიან ბიზნესის წარმომადგენლებიც, რომელთა საჩვენებელი ქველმოქმედება ფართოდაა ხოლმე რეკლამირებული და მისთანანი.

ეს ყველაფერი შემთხვევით არ დაწყებულა.

უკვე კარგა ხანია, რაც ჭეშმარიტი მართლმადიდებლების სახელს ამოფარებული რელიგიური ფანატიკოსები და ობსკურანტი სამღვდელოება, შუა საუკუნეების სოციალური სტანდარტების პროპაგანდირების მეშვეობით, ქვეყანას ფუნდამენტალისტური უფსკრულისაკენ მიაქანებენ:

სატელევიზიო ეთერში აჩვენებენ სპეციალურად ამ მიზნით შექმნილ პროპაგანდისტულ ფილმებს;

ავრცელებენ რელიგიური ფანატიზმის სულით გაჟღენთილ ლიტერატურას;

მალულად თუ აშკარად დევნიან რელიგიურ უმცირესობას და მიმართავენ ძალადობას;

ცრურწმენებით გაჟღენთილი ქადაგებებით ახდენენ მორწმუნე ადამიანთა შთაგონებას, მათში ვიწრო, აგრესიული ნაციონალიზმის გაღვივებას.

რელიგიური შეუწყნარებლობის პროპაგანდა და მისი თანამდევი პროტექციონალისტური პოლიტიკა ამზადებს უფართოეს სოციალურ ბაზას ანტიდემოკრატიული რეაქციისათვის, რაც გამოუსწორებელ შედეგებამდე მიგვიყვანს.

წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური პარტიების მიერ თავიანთი კონფესიური სიმპათიების დემონსტრირება, რაც უმრავლეს შემთხვევაში ფარისევლურია, ცეცხლზე ნავთს ასხამს. იქმნება ვითარება, როცა პოლიტიკური ძალები უკვე “მართლმადიდებლობაში" ეჯიბრებიან ერთმანეთს.

არაფერ სხვაში პარტიები და პოლიტიკოსები არ არიან ისე ერთსულოვანნი და შეხმატკბილებულნი, როგორც რელიგიის ფაქტორთან შეთამაშებასა და ლაციცში, - რელიგიური ექსტრემისტებისადმი ლოიალობაში, რითაც ხელს უწყობენ ანტიდემოკრატიული პროცესების გაღრმავებას. მსოფლიო ისტორიულმა გამოცდილებამ დაგვანახა, რომ ასეთ პოლიტიკას შედეგად სახელმწიფოს საფუძვლების რყევა, საზოგადოების დეგრადაცია და საერთო განვითარების საბედისწერო დამუხრუჭება მოსდევს.

ცნობილია, რომ ჩვენი სახელმწიფო ცივილიზაციური იდენტობის ნიშნით ე.წ. "გახლეჩილ ქვეყნებს" განეკუთვნება. იგი ცივილიზაციათა ურთიერთშეხვედრის იმ კრიტიკულ სეგმენტში მდებარეობს, რომელიც დამანგრეველი კონფლიქტების წარმოქმნის და ცივილიზაციათა შეხლის მაღალი რისკის ზონადაა მიჩნეული. პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო სპეკულაციები რელიგიურ თემაზე, სამღვდელოების გაუნელებელი ანტიდემოკრატიული შინაარსის პროპაგანდის ფონზე რეალურ საფრთხეს უქმნის ქვეყნის პოლიტიკურ მომავალს.

ბატონო პრეზიდენტო!

ქალბატონო პარლამენტის თავმჯდომარევ!

თქვენ, როგორც ქვეყნის უსაფრთხოების გარანტებს, მოგმართავთ თხოვნით:

1. მოუწოდოთ ქვეყნის პოლიტიკურ ისტებლიშმენტს, რათა შეთანხმდნენ რელიგიის თემაზე წინასაარჩევნო მორატორიუმის დაწესებაში.

2. სახელმწიფომ შეიმუშაოს გადაუდებელ ღონისძიებათა პაკეტი, რომლის განხორციელება სასურველ კალაპოტში მოაქცევს იმ რელიგიურ-პოლიტიკურ პროცესებს, რომლის თვითდინებაზე მიშვება ქვეყანას მომაკვდინებელ საფრთხეს უქმნის უკვე ახლო მომავალში.

*პატივისცემით:*
*ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია*
*ბიბლიურ-თეოლოგიური ინსტიტუტი*
*თავისუფალ ჟურნალისტთა კლუბი*
*თავისუფლებისა და განვითარების ცენტრი*
*თავისუფლების ინსტიტუტი*
*კავკასიის ხელოვანთა გილდია*
*კავკასიური სოლიდარობის ფონდი*
*კავშირი ბავშვთა თანაბარი უფლებებისათვის*
*კონფლიქტოლოგიისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრი*
*მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი*
*რელიგიური ექსტრემიზმის წინააღმდეგ მოძრაობა საქართველოში*
*საქართველოს რწმენის თავისუფლების ცენტრი*
*ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის*
*11.06.2003.*

# საქართველო საკუთარ შრომის კოდექსს ამუშავებს

*ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი მნიშვნელოვან შეხვედრებს მასპინძლობს. გუშინ იქ მსჯელობა დაიწყო საქართველოს შრომითი კოდექსის პროექტზე, რომელსაც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების დეპარტამენტი, ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ჯგუფის, გერმანიის ტექნიკური დახმარების პროგრამის წარმომადგენლებსა და შვეიცარიელ სპეციალისტებთან ერთად, თითქმის სამი წლის განმავლობაში ამუშავებდა. თავდაპირველად ავტორები პროფკავშირების გაერთიანებისა და მეწარმეების წარმომადგენლებს შეხვდნენ.*

მაკა ჭაიანი

XXI საუკუნის საქართველოში, გასული საუკუნის 70-იანი წლებში, უფრო ზუსტად, 1973 წელს - სოციალისტური მმართველობის პიკისას მიღებული შრომის კოდექსი მოქმედებს. 1993 წელს, ამ დოკუმენტის დაბადების ოცი წლისთავზე, დამოუკიდებელი საქართველოს უმაღლესი კანონმდებლები ძალიან ეცადნენ, ოფიციალურად ისევ ძალაშენარჩუნებული ეს კოდექსი საბაზრო ეკონომიკის ჩარჩოებში მოექციათ, მაგრამ “ძველ ტიკში ახალი ღვინო” არც ამ შემთხვევაში ჩაისხა. შედეგად კი მივიღეთ სამოქმედო დოკუმენტი, რომელში დატოვებული ხვრელებიც იურიდიული ინტერპრეტაციის ბევრ საშუალებას იძლევა და, უზოდიშოდ, ყოველ ფეხის ნაბიჯზე არღვევს როგორც დაქირავებულის, ისე დამქირავებლის უფლებებს.

ბალანსი, დაქირავებულისა და დამქირავებლის უფლებების დაცვას შორის, გახლავთ ის ძირითადი ფაქტორი, რომელიც შრომის ქართულ კოდექსს საბჭოურისგან გამოარჩევს. **“ეს ძალზე მნიშვნელოვანი რამ გახლავთ,** - განმარტავს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარე რევაზ საყვარელიძე. - **არათანაბარ პირობებს ამ შემთხვევაში, ან დასაქმებულთა მხარეს სასწორის გადახრას შეუძლია, საწარმოო პროცესების განვითარებას დაბრკოლებად ექცეს. მხარეებს შორის ურთიერთობებს ჩვენი პროექტი საბაზრო ეკონომიკის პირობების გათვალისწინებით, ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიაში მოყვანილი დებულებებით არეგულირებს. ამის გარეშე საქართველო მარტო საერთაშორისო კონტექსტიდან კი არ ამოვარდებოდა, არ მიეცემოდა შრომითი ურთიერთობების გამარტივების საშუალება. ამ თვალსაზრისით ძველი კოდექსი ძალზე სცოდავდა. რაც შეეხება განსახილველ დოკუმენტს, იგი შრომითი ურთიერთობების ისეთ მოდელს ამკვიდრებს, რომელსაც უცხოელი ინვესტორებიც ადვილად აღიქვამენ."**

აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შრომის ქართული კოდექსი უცხოელ ინვესტორებს კანონმორჩილებადაც აქცევს. არასრულფასოვანი შრომითი კანონმდებლობის ხარვეზებს დღეს ისინი მშვენივრად იყენებენ. თუ პროექტი დამტკიცდა, ამის შანსი, ფაქტობრივად, აღარ იარსებებს.

მორიგი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც შრომის ახალი კოდექსი მოაწესრიგებს, სასამართლო დავების საკითხია. პროექტის მიხედვით, უნდა ამოქმედდეს სპეციფიკური - შრომის სასამართლო, რომელიც მხოლოდ შრომითი დავების საკითხებით იქნება დაკავებული და ერთხელ და სამუდამოდ მოსპობს სასამართლო პროცესების დროში უსასრულოდ გაწელვის პრაქტიკას.

შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარე მომავლისთვის სრულიად ახალი ინსტიტუტის - შრომითი არბიტრაჟის შემოღების შესახებ აპირებს საუბარს. ეს იქნება დამოუკიდებელი, არასახელისუფლებო ორგანიზაცია, რომელიც მხოლოდ სახელმწიფოს ზედამხედველობით მომზადებული კადრებით დაკომპლექტდება. იგი განიხილავს კოლექტიური თუ სხვა სახის დავებს. მხარეებს არბიტრების შერჩევის საშუალება ეძლევათ - თითო არბიტრს ისინი აირჩევენ, ერთს არბიტრაჟი თავად დანიშნავს. ჯერჯერობით, ეს ვარიანტი კოდექსში არ არის, მიუხედავად იმისა, რომ დღეს, კოლექტიური დავების პროცესში, სახელმწიფო აქტიურად ერევა.

შრომის ქართული კოდექსის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი - იგი წერტილს უსვამს არჩევანის საბჭოურ შეზღუდვებს. გარდა იმისა, რომ შრომით ურთიერთობებში პრობლემების გაჩენის შემთხვევაში, დასაქმებულს სასამართლოსთვის პირდაპირი მიმართვის უფლება აქვს, მას ეძლევა შესაძლებლობა, საკუთარი უფლებების დამცველი თავად შეარჩიოს. პროექტში წერია, რომ დასაქმებულის უფლებებს დაქირავებულის წარმომადგენელი დაიცავს. ვინ იქნება ეს - კეძო იურიდიული პირი, კოლექტივის წევრი თუ პროფკავშირები, მისი გადასაწყვეტია.

ამ პრინციპს წინააღმდეგობა მოჰყვა პროფკავშირების გაერთიანების მხრიდან. გუშინ მისი წარმომადგენლები დაჟინებით მოითხოვდნენ, კოდექსში ჩაწერილიყო, რომ შრომითი ურთიერთობებისას გაჩენილი საკითხების რეგულირებას, დასაქმებულის მხრიდან, სწორედ პროფკავშირები მოახდენენ. იმ ორგანიზაციებში მაინც, სადაც პროფკავშირიაო, - აზუსტებდნენ ისინი, როგორც ჩანს, საკუთარი მოთხოვნის შესარბილებლად. არადა, ეს ხაზგასმა, პირიქით, ამძიმებს ვითარებას. იგი არჩევანს არ უტოვებს დასაქმებულს, რომელიც არ არის პროფკავშირის წევრი, მუშაობით კი ისეთ საწარმოში მუშაობს, სადაც პროფკავშირი ჰყავთ.

მიუხედავად იმისა, რომ პროფკავშირს მეტი შანსი აქვს, გახდეს კოლექტივის წარმომადგენელი კოლექტიური დავების შემთხვევაში, გამორიცხული არ არის, კოლექტივმა პრობლემის მოგვარება სულ სხვას, ვთქვათ, მათივე რიგებიდან შერჩეულ წევრებს დაავალოს. ამის უფლებას ადამიანებს ვერავინ წაართმევს. შესაბამისად, კოდექსით იმის დაკანონება, რომ საკუთარი წევრების საკითხებს ყველა შემთხვევაში პროფკავშირები წყვეტს, არც მეტი არც ნაკლები, დასაქმებულის უფლების დარღვევად შეიძლება ჩაითვალოს.

გაერთიანებული პროფკავშირების წარმომადგენლები გუშინდელი მსჯელობისას მსუბუქად დაიმუქრნენ კიდეც, სჯობს, აქ გაითვალისწინონ ჩვენი ინტერესები, თორემ, მაღალ ეშელონებშიც მიგვესვლებაო. როგორც ჩანს, მათ ის ჰქონდათ მხედველობაში, რომ გაერთიანების თავმჯდომარე ირაკლი ტუღუში მთავრობის სხდომების უცვლელი მონაწილეა. საქართველოში ჯერ ისევ ჰგონიათ: საქმე ალჩუზე რომ დაგიდგეს, მთავარია, პრეზიდენტის ფავორში დაფიქსირდე. სად დგას ირაკლი ტუღუში და რა უფლებით, ცალკე საუბრის თემაა. მისივე განცხადებით, გაერთიანებას სულ 600 ათასი წევრი ჰყავს. ოთხმილიონნახევრიანი საქართველოსთვის ეს ის რაოდენობა არ გახლავთ, ვინმეს დასაქმებულთა სახელით საუბრის უფლებას რომ აძლევდეს. რაც შეეხება პრეზიდენტის ორბიტაზე ტრიალს, ეს “წყალობა” (რაც ამ პროფილის ორგანიზაციისთვის, რბილად რომ ვთქვათ, კარგ ტონად ვერ ჩაითვლება) პროფკავშირების გაერთიანების თავკაცმა ხელისუფლებისადმი განსაკუთრებული ლოიალობის პასუხად დაიმსახურა.

# ინციდენტი წიგნის ფესტივალზე

ზაზა ფარუაშვილი

ერთმა ამერიკელმა რუთ ბელმა დაწერა ვრცელი წიგნი სახელწოდებით - “ცვლილებები სხეულში, ცვლილებები ცხოვრებაში”, რომელიც წელს გამომცემლობა “დიოგენემ” მშობლიურ ენაზე დაბეჭდა. წინა ყდაზე, საიდანაც ბედნიერი ბავშვები შემოგვციცინებენ, აწერია, - აუცილებელი წიგნი ყველა მოზარდისთვისო. უკანა ყდა უფრო ვრცელ განმარტებას იტევს იმის თაობაზე, რომ წიგნი საჭიროა თინეიჯერებისთვის. იქვეა მოცემული სიტყვა “თინეიჯერის” მნიშვნელობაც - 13-დან 19 წლამდე ასაკის მოზარდები.

წიგნი ისეთი შინაარსისაა, რომ ერთი თვის წინათ გაატარეს არასრულწლოვნებზე მავნე ზეგავლენის მომხდენი ფილმებისა და ნაბეჭდი პროდუქციის რეესტრში.

ამასთან დაკავშირებით, საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის, საქართველოს ახალგაზრდობის პრობლემების კვლევის ცენტრის დირექტორი გნოლიძე იტყობინება: "ამერიკელი მწერლის, რუთ ბელის წიგნი “ცვლილებები სხეულში, ცვლილებები ცხოვრებაში” გატარებულია არასრულწლოვნებზე მავნე ზეგავლენის მომხდენი ფილმებისა და ნაბეჭდი პროდუქციის რეესტრში და 2003 წლის 14 მაისს, “არასრულწლოვნებზე მავნე ზეგავლენის მომხდენი ფილმებისა და ნაბეჭდი პროდუქციის განმსაზღვრელი კრიტერიუმების” მეექვსე მუხლის “ბ” ქვეპუნქტის საფუძველზე, მიენიჭა “არასრულწლოვნებზე მავნე ზეგავლენის მომხდენი კატეგორია”.

“მავნე ზეგავლენისგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის მე-11-ე მუხლის საფუძველზე, აიკრძალა არასრულწლოვანთათვის აღნიშნული წიგნის მიყიდვა და სარეალიზაციოდ გადაცემა. სრულწლოვანთათვის მისი მიყიდვა დასაშვებია მხოლოდ შეფუთული სახით და გარეკანზე წარწერით: “აკრძალულია 18 წლამდე”.



*თამარ ლებანიძეს თანაფესტივალელები გამოესარჩლნენ.*

ამის მიუხედავად “დიოგენე” წიგნს ყოველგვარი შეფუთვისა და შეზღუდვის გარეშე ყიდის, რის გამოც მის დირექტორს, თამარ ლებანიძეს უსიამოვნო ინციდენტი მოუვიდა მშობელთა ერთ ჯგუფთან.

ამ ჯგუფმა “დიოგენეს” ხელმძღვანელობას წიგნის ფესტივალის დაწყებამდე სთხოვა, რომ რუთ ბელის ნაწარმოები გასაყიდად არ გაეტანა, მაგრამ სასტიკი უარი მიიღო. გუშინ მშობლები ფესტივალზე მივიდნენ, ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის შესაბამისი ცნობა მიიტანეს და ჯერ ფესტივალის ორგანიზატორს გააცნეს, შემდეგ - თამარ ლებანიძეს და კანონის აღსრულება მოითხოვეს. ორგანიზატორმა, - ეს ჩემი საქმე არ არისო, ლებანიძემ კი მშობლებს შავრაზმელები უწოდა და ტერიტორიის დაუყოვნებლივ დატოვება მოსთხოვა: წადით, სადაც გინდათ იქ მიჩივლეთო.

ვნახოთ, რა იქნება სასამართლოზე. მშობელთა ჯგუფი ჩივილს აპირებს. თამარ ლებანიძე კი აცხადებს, - კი, ბატონო, ეს ჩემთვის მუქთა რეკლამა იქნებაო.

## მოკლედ

**თბილისი.** დღეს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია წმინდა დავით გარეჯელის ხსენების დღეს აღნიშნავს. ამასთან დაკავშირებით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ქაშვეთის ეკლესიაში სადღესასწაულო ლიტურგიას შეასრულებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ახალციხე.** წალკისა და ახალციხის რაიონში კვირის ბოლოს არქეოლოგიური გათხრები განახლდება. ამის შესახებ განცხადება გააკეთა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დირექტორის მოადგილემ, ვახტანგ ლიჩელმა. ლიჩელის თქმით, უკვე ჩატარებული სამუშაოების შემდეგ წალკის რაიონში ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის 120-ზე მეტი სამარხი, ახალციხის რაიონში კი ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულის ნამოსახლარია აღმოჩენილი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** მერიის ადმინისტრაციული ინსპექცია მეტროპოლიტენის სადგურების მიმდებარე ტერიტორიების იერ-სახის მოწესრიგებას აგრძელებს. ადმინისტრაციული ინსპექციის ხელმძღვანელის, დათო მუმლაძის განცხადებით, ამ მიზნით კვირის ბოლოსთვის ინსპექცია გეგმავს სავაჭრო ჯიხურების აღებას მეტროსადგურების - "ახმეტელის", "გურამიშვილისა" და "სარაჯიშვილის" მიმდებარე ტერიტორიებიდან. მუმლაძის განცხადებით, ჯიხურებში მოვაჭრეებს, სანაცვლოდ, ბაზრობებზე შესთავაზებენ ალტერნატიულ ადგილებს ვაჭრობისათვის. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სატყეო დეპარტამენტის ტყის დაცვის სამმართველოს უფროსის, რომან მამალაძის განცხადებით, დასავლეთ საქართველოში წაბლის ხეებს სოკოვანი დაავადება გაუჩნდათ, რის გამოც, მათი გახმობის საშიშროება არსებობს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** მერიის შენობის წინ მრავალშვილიანმა დედებმა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ერთჯერადი დახმარების მიღების მოთხოვნით, საპროტესტო აქცია დღესაც გამართეს. ანალოგიური მოთხოვნით საპროტესტო აქცია ორი დღის წინაც გაიმართა. **ინტერ-პრესი**

# ადვოკატები ვეტერანი მეომრების გათავისუფლებას ითხოვენ

თამარ კაციტაძე

ამა წლის 24 მარტს აჯანყებაში ექვმიტანილი ვეტერანი მეომრები კრწანისი-მთაწმინდის რაიონის სასამართლოში, აღმკვეთ ღონისძიებასთან დაკავშირებით, გუშინ მეორედ მიიყვანეს. როგორც მოგეხსენებათ, მძიმე დანაშაულში ბრალდებულ 15 ვეტერან მეომარს: დავით მარტიაშვილს, ვალერი გალდავას, ჯუმბერ იაკობიძეს, დავით კოშკაძეს, ავთანდილ გიორგაძეს, გიორგი აბულაძეს, რომა დოდაშვილს, მამუკა ცისკარიშვილს, ოთარ სულთანიანს, თენგიზ როსტომიანს, თეიმურაზ როსტომიანს, ზაზა სარაჯიშვილს, გიორგი საჯაიას, გივი წიკლაურსა და ნიკოლოზ ლაზარაშვილს თავის დროზე სტრატეგიული და განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ხელში ჩაგდებისა და ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის და ფეთქებადი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლება-მისაკუთრებისთვის წარუდგინეს ბრალი. უკანასკნელი მუხლი მძიმე დანაშაულთა კატეგორიას, განეკუთვნება, იგი რვიდან თხუთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. სწორედ ამ მუხლის გამო, თხუთმეტივე პატიმარს კრწანისი-მთაწმინდის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარემ მამუკა სონღულაშვილამ სამი თვით წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

გუშინ სონღულაშვილი ვეტერანი მეომრების ადვოკატების შუამდგომლობას განმეორებით განიხილავდა. დამცველები მართლმსაჯულებისგან პატიმრებისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეცვლას მოითხოვენ. ამის მიზეზად კი, ახლად აღმოჩენილ გარემოებას ასახელებენ.

რამდენიმე დღის წინ გენერალურმა პროკურატურამ, სადაც საქართველოს ეროვნული გვარდიის №55099 სამხედრო ნაწილის ბლოკირებისა და ხელში ჩაგდების ფაქტს იძიებენ, ვეტერან პატიმრებს დანაშაული გადაუკვალიფიცირა.

**"თავდაპირველი დაკითხვისას ბრალდებულმა დოდაშვილმა აღიარა, რომ სამხედრო ნაწილის ბლოკირებისას სულთანიანს, წიკლაურს და ლაზარაშვილს ავტომატები ეჭირათ ხელში, რაც აღნიშნული მუხლებით პასუხისგებაში მიცემის საბაბი გახდა. მაგრამ გამოძიების პროცესში ბრალდება არ დადასტურდა",** – წერია გენპროკურატურის დადგენილებაში. სწორედ ამ დადგენილების თანახმად, ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალისა და ფეთქებადი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლება-მისაკუთრების მიზნით მუხლი იარაღის შეძენა-ტარების მუხლით გადაკვალიფიცირდა, ანუ სავარაუდო 15-წლიანი სასჯელი ხუთ წლამდე შემცირდა. აქედან გამომდინარე, შეიცვალა დანაშაულის სიმძიმეც – ამჯერად ე.წ. აჯანყებულ ვეტერანებს ნაკლებად მძიმე დანაშაულში ედებათ ბრალი. სწორედ ეს გახდა შუამდგომლობის ანუ აღმკვეთი ღინისძიების შეცვლის მოთხოვნის საბაბიც.

**"ის, რომ დანაშაულის სიმძიმე შეიცვალა, რა თქმა უნდა, ახალი გარემოებაა, მაგრამ ბრალდებულებს წინასწარი პატიმრობა მხოლოდ დანაშაულის სიმძიმის გამო არ შეფარდებიათ, იყო სხვა გარემოებებიც, კერძოდ: დანაშაულის განხორციელების ფორმა და მექანიზმი, ის, რომ მოსალოდნელია ბრალდებულთა მხრიდან მიმალვა და გამოძიებისთვის ხელის შეშლა და სხვა. ეს გარემოებები დღესაც არსებობს, ამიტომ მიგვაჩნია, რომ აღმკვეთი ღონისძიება არ უნდა შევცვალოთ",** - თვლის გენპროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილე ნუგზარ სადრაძე. თუმცა, სადრაძე არ გამორიცხავს, რომ თუ დაცვის მხარე პროცესზე შეძლებს იმის დასაბუთებას, რომ თავისუფლებაში მყოფი ბრალდებულები გამოძიებას ხელს არ შეუშლიან, შესაძლებელია, გარკვეული პიროვნებების მიმართ აღმკვეთი ღონისძიებების შეცვლას გენპროკურატურაც დაეთანხმოს.

ადვოკატები კი დარწმუნებულნი არიან, რომ ნაკლებად მძიმე დანაშაულში ბრალდებული ვეტერანი მეომრები, რომლებიც ქვეყანას ერთგულად ემსახურნენ, ციხეში არ უნდა იყვნენ. მით უმეტეს, რომ, დამცველთა თქმით, მეომრები დამნაშავეები საერთოდ არ არიან. ამასთან, ბრალდებულების მიმართ გამოძიების პროცესში უამრავჯერ დაირღვა კანონი, რასაც ადვოკატები ასევე გათავისუფლების საბაბად მიიჩნევენ.

თუმცა, ეს ყველაფერი მომავლის საქმეა, დღევანდელი პრობლემა აღმკვეთი ღონისძიების შეცვლაა. მიუხედავად იმისა, რომ კრწანისი-მთაწმინდის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარე გუშინ გვიან ღამემდე იხილავდა ცხრა ვეტერანი მეომრის საქმეს (დანარჩენს დღეს განიხილავს) გადაწყვეტილების გამოტანა არ უჩქარია. მამუკა სონღულაშვილი საკუთარ გადაწყვეტილებას დღეს 12 საათზე გამოიტანს.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*აჯანყებაში ეჭვმიტანილ ვეტერანებს მართლმსაჯულების ლმობიერების იმედი აქვთ.*

# „AES თელასის" ფინანსური მენეჯერი გაფლანგვისთვის დააკავეს

პირველი გვერდიდან

საეჭვო დოკუმენტი – ამიერკავკასიაში დისლოცირებული რუსეთის ჯარების შტაბისადმი "AES თელასიდან" მიწერილი წერილის ასლი, რომლითაც ენერგოგამანაწილებელი კომპანია საკუთარ მოვალეს, ჩათვლის სახით, ვალის ორი კერძო ფირმისთვის – "იბერია პრაიმ კაპიტალისა" და "ორლანდო ჰოლდინგისთვის" გადარიცხვას ავალებდა. წერილში მითითებული თანხა, არც მეტი, არც ნაკლები, 2,5 მილიონი ლარი გახლდათ. საბოლოო ჯამში კი აღმოჩნდა, რომ ფული გაქრა.

სამართალდამცველებმა მილიონების დაკარგვის გამო ცალკე სისხლის სამართლის საქმე აღძრეს და ამ კონკრეტული გამოძიების ფარგლებში დააპატიმრეს კიდეც "იბერია პრაიმ კაპიტალისა" და "ორლანდო ჰოლდინგის" დირექტორი მირიან ცხვარაძე, რომელსაც მანამდე, ერთი წლის მანძილზე, დიდი ოდენობით გადასახადების დამალვისთვის ეძებდნენ. გარდა ამისა, მკვლელობის საქმის გამოძიებისას გამოძიება რუსეთის ჯარების შტაბისთვის "AES თელასიდან" გაგზავნილი წერილის წარმომავლობითაც დაინტერესდა. თუმცა, "AES თელასმა" გამორიცხა ასეთი დოკუმენტის არსებობა, ხოლო კომპანიის კონკრეტულმა თანამშრომლებმა, რომელთა ხელმოწერებიც ამშვენებდა წერილს, კატეგორიულად უარყვეს მასთან კავშირი. შესაბამისად, დაინიშნა გრაფოლოგიური ექსპერტიზა, რომელსაც ხელმოწერის ნამდვილობა უნდა გაერკვია. როგორც გამოძიება ირწმუნება, დღესდღეობით უკვე დადგენილია, რომ ხელმოწერა ნამდვილად გიორგი გვიჩიანს ეკუთვნის.

გიორგი გვიჩიანი "თელასში" წლების მანძილზე მუშაობს. მას იქ მაღალი თანამდებობა ეკავა მანამდეც, სანამ კომპანიას ამერიკელები შეიძენდნენ. გუშინ კი ის, სამართალდამცველთა თქმით, დაკითხვაზე ეჭვმიტანილის სტატუსით დაიბარეს. დედაქალაქის პოლიცია-პროკურატურის მრავალსართულიან შენობაში მისულ ეჭვმიტანილს ჩხრეკისას უცხოური წარმოების პისტოლეტი უპოვეს – ყოველ შემთხვევაში, ასე ირწმუნება გამოძიება და ექსპერტიზის დასკვნის მიღებამდე იარაღის რაობაზე ლაპარაკს თავს არიდებს. უახლოეს მომავალში გიორგი გვიჩიანს ბრალი წარედგინება და მისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდების საკითხს სასამართლო გადაწყვეტს.

სამართალდამცველებს კი მასთან საკმაო მოცულობის საგამოძიებო მოქმედებები აქვთ ჩასატარებელი. კერძოდ, გარდა დაკითხვებისა, საუბარია მისი თითის ანაბეჭდების იდენტიფიკაციასა და დნმ-ის ანალიზზე. საქმე ის გახლავთ, რომ ნიკა ლომინაძის მშობლების ბინაში, სადაც მკვლელობა მოხდა, გამოძიებამ თითების ანაბეჭდებსა და საფერფლეში დარჩენილ სიგარეტის ნამწვებზე, თავად ლომინაძის გარდა, რამდენიმე ადამიანის დნმ-ს მიაგნო.

გუშინ თბილისის პროკურატურის გამომძიებლები თავს არიდებდნენ ნიკა ლომინაძის მკვლელობის საქმესთან გვიჩიანის დაკავების კავშირზე საუბარს. თუმცა, თუ დადასტურდა, რომ "AES თელასის" წერილზე ნამდვილად გვიჩიანის ხელმოწერა ფიგურირებს, კავშირი თავისთავად სახეზე იქნება. საქმე ის გახლავთ, რომ წერილს, გარდა ხელმოწერისა, "AES თელასის" მრგვალი ბეჭედიც ამშვენებს, რომელიც, ჩვეულებრივ, ნიკა ლომინაძესთან ინახებოდა. მეტიც, როგორც ირკვევა, ლომინაძე ზემოთ ნახსენებ ფინანსურ მაქინაციაში გარკვევას დამოუკიდებლად ცდილობდა:

**"მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე ნიკა ესაუბრა "AES თელასის" იმ პასუხისმგებელ პირებს, რომელთა ხელმოწერაც არის დაფიქსირებული შტაბში მისულ წერილებზე და რომლებიც ახლა ამბობენ, რომ ხელმოწერები გაყალბებულია",** - გვითხრა ნიკა ლომინაძის ოჯახის ადვოკატმა მამუკა ჭაბაშვილმა, რომლისთვისაც უცნობია, რითი დასრულდა ეს საუბარი. ამის შესახებ, ჯერჯერობით, არაფერი იცის არც გამოძიებამ, თუმცა, ვარაუდების გამოთქმისგან, გუშინდელისგან განსხვავებით, ორიოდე თვის წინ სამართალდამცველები თავს არ იკავებდნენ. მაგალითად, როცა "24 საათი" დაკარგული მილიონების მკვლელობასთან კავშირით დაინტერესდა, ლომინაძის მკვლელობის საგამოძიებო ჯგუფის უფროსმა გიორგი ყაჯრიშვილმა ვერსიები ასე ჩამოაყალიბა: **"თუ ნიკა ლომინაძე ფინანსურ მაქინაციებში თავად იყო გარეული, ცხადია, მისი მოკვლა არავის დასჭირდებოდა**, - განაცხადა ჩვენთან საუბრისას გიორგი ყაჯრიშვილმა, - **შესაბამისად, დაკარგულ მილიონებთან დაკავშირებით არსებობს რამდენიმე ვარიანტი, რის გამოც შეიძლებოდა ის მოეკლათ. მაგალითად, თუ მან ამ მაქინაციებში მონაწილე გამოააშკარავა, ან ვიღაცას თავის კანონსაწინააღმდეგო საქმიანობაში სჭირდებოდა მისი ჩართვა და ლომინაძემ უარი თქვა. ამ ვარიანტთან დაკავშირებით ჩნდება კიდევ ერთი მოსაზრება, რომ ვიღაცას "AES თელასის" ფინანსური მენეჯერის თანამდებობაზე ლომინაძის ყოფნა არ აწყობდა და სხვისი დანიშვნა სურდა. ყოველივე ამაში გასარკვევად დიდი სამუშაოა ჩასატარებელი".**

## ინფორმაცია

### ბილ კლინტონს სარატოვის რაიონული სასამართლო გაასამართლებს

სარატოვის საოლქო სასამართლომ ერთ-ერთ რაიონულ სასამართლოში ბილ კლინტონის გასამართლების შესაძლებლობა დაადასტურა.

სასამართლომ დააკმაყოფილა ხუთი სარატოველის საკასაციო სარჩელი. მოსარჩელეები ვოლჟსკის რაიონულ სასამართლოს იმ გადაწყვეტილებას ასაჩივრებდნენ, რომლის თანახმადაც, ამერიკის ყოფილი პრეზიდენტის, ბილ კლინტონის რუსეთში პასუხისგებაში მიცემა შეუძლებელია. საოლქო სასამართლომ ეს გადაწყვეტილება უკანონოდ ცნო და საქმე ხელახლა განსახილველად რაიონულ სასამართლოს დაუბრუნა.

საქმე ის გახლავთ, რომ ხუთი სარატოველი ბილ კლინტონს ბრალს სდებს იმაში, რომ 1999 წელს, იუგოსლავიის დაბომბვისას ამერიკის ავიაციამ მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა რუსეთს, კერძოდ, დააზიანა მილსადენები.

### ნიუ-იორკში რუსი მაფიოზები დააპატიმრეს

ნიუ-იორკში დააკავეს რუსული მაფიის წევრები, რომლებიც ნარკოტიკებით ვაჭრობაზე, გამომძალველობასა და რეკეტზე სპეციალიზდებოდნენ.

"ბრიგადა ბრაიტონ ბიჩიდან" ბრუკლინში 2000 წლის იანვარში ჩამოყალიბდა, ვარაუდობენ, რომ მათი დანაშაულებრივი მოღვაწეობა საფოსტო ყუთებიდან და ფოსტის მანქანებიდან ჩეკების მოპარვით დაიწყო და ჯგუფს ათასობით დოლარი მოუტანა. თუმცა, ბანდამ, რომელსაც რუსეთიდან ლეგალურად ემიგრირებული 39 წლის ზინოვი ბარი ხელმძღვანელობდა, თავისი ნიშა მალე იპოვა და, ინტერნეტ-კაფეების "მფარველობით", გამომძალველობით, "ექსტაზით" ვაჭრობითა და მოწმეთა მოსყიდვით დაკავდა. გამოძიების ცნობით, ისინი, ძირითადად, თავიანთ თანამემამულეებს – რუს ბიზნესმენებს ატერორებდნენ.

ბანდის რვა წევრს ბრუკლინის სასამართლომ ბრალი არა ერთი დანაშაულისთვის წაუყენა, მათ შორის ბრაიტონ-ბიჩზე მდებარე ინტერნეტ-კაფეების მფლობელთა იძულებისთვის, ეხადათ ყოველთვიური გადასახადი. ჯერჯერობით არც ერთი დაკავებული დანაშაულს არ აღიარებს.

ბარი თავის ოთხ თანამზრახველთან ერთად ფედერალური საგამოძიებო ბიუროს თანამშრომლებმა ნიუ-იორკში დააკავეს, ბანდის კიდევ ერთი წევრი - ფლორიდაში. ბრაიტონ-ბიჩელთა მეშვიდე წარმომადგენელი თავს ამჯერად რუსეთს უნდა აფარებდეს, მერვეს კი ამერიკელი სამართლადამცველები ეძებენ.

ბრალდების მხარემ ფედერალური მოსამართლე დაარწმუნა, რომ ზინოვი ბარის თავდებით გათავისუფლება მიზანშეუწონელია. ბრალის დადასტურების შემთხვევაში მას 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ელის. ამერიკელი იურისტები აღნიშნავენ, რომ ბარი იმ დაჯგუფების ლიდერია, რომელიც დანაშაულებრივ საქმიანობაში ძალადობის გამოყენებას არ ერიდებოდა და, ამდენად, ძალზე საშიშია. ამასთანავე, აღნიშვნის ღირსადაა მიჩნეული ის ფაქტი, რომ ფიზიკურ ძალადობას ბანდის წევრები "თერაპიას" უწოდებდნენ.

გამოძიებამ გამოაქვეყნა რამდენიმე შემთხვევა ბანდის დანაშაულებრივი მოღვაწეობიდან. მაგალითად, 2001 წელს მათ მსხვერპლს ყელზე თოკი გამოაბეს და მანქანის საბარგულში ჩატენეს. მას მანამდე აწამებდნენ, სანამ ყოველთვიური გადასახადის გადახდას არ დასთანხმდა.

## მოკლედ

**ქუთაისი.** შს იმერეთის სამმართველოს კორუფციასა და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილების წევრებმა ანტიმონოპოლიური სამსახურის იმერეთის ბიუროს მთავარი სპეციალისტი მამუკა ახალაძე ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, რომელსაც აღნიშნული განყოფილება იძიებს. ანტიმონოპოლიური სამსახურის იმერეთის ბიუროს უფროსი, ვასილ შალდაძე ჯერჯერობით კომენტარისგან თავს იკავებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** თერჯოლაში ნარკომანიასთან ბრძოლის საინიციატივო ჯგუფი შეიქმნა, რომელშიც საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები გაერთიანდნენ. პროგრამა მრავალფეროვანია, მაგრამ დაუფინანსებლობის გამო, პროექტი მხოლოდ ნაწილობრივ ხორციელდება.

როგორც რაიონის ექიმი-ნარკოლოგი, სოფიკო ბუსკილაძე აცხადებს, თერჯოლაში ნარკობიზნესის სერიოზული საფრთხე არ არსებობს, მაგრამ მთავარ პრობლემად რჩება ახალგაზრდებში "ანაშის" მოხმარების მაღალი მაჩვენებელი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს თბილისში, აბუსერიძე-ტბელის ქუჩაზე ქალთა მე-5 სასჯელაღსრულების დაწესებულების ახალი შენობა გაიხსნება. როგორც იუსტიციის სამინისტროს პრესსამსახური იტყობინება, დაწესებულების გარემონტება შარშან, ივნისში დაიწყო. 2002 წლის 25 აპრილის მიწისძვრისას დაზიანებული ქალთა დაწესებულებიდან მსჯავრდებულები ავჭალაში გადაიყვანეს. დაწესებულებაში ძველი შენობები მთლიანად დაინგრა და ახალი აშენდა. გარემონტდა საძინებელი, საშხაპე, სასადილო, მოეწყო სამკერვალო საამქრო და ა.შ. მშენებლობა და რემონტი იუსტიციის სამინისტროს სპეცსახსრებიდან დაფინანსდა. დაწესებულების სამედიცინო ნაწილი წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა გაარემონტა, სამედიცინო აპარატურის ნაწილი დაწესებულებაში შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შეიტანა, „თბილავიამშენმა" კი მსჯავრდებული ქალები საწოლებით მოამარაგა. საქართველოში ამჟამად 90-მდე მსჯავრდებული ქალია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსთა სამინისტროს საგანგებო ლეგიონმა დიდი ოდენობით გადასახადისათვის თავის არიდების ფაქტზე შპს „წყაროს" ხელმძღვანელის, დემიკო შალამბერიძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. საგანგებო ლეგიონის ინფორმაციით, შპს „წყაროს" ხელმძღვანელმა, რომელიც სამეწარმეო საქმიანობას ეწეოდა, თავი აარიდა ბიუჯეტში 13.588 ლარის გადახდას.

სისხლის სამართლის საქმე გამოძიების მიზნით, საგანგებო ლეგიონიდან, საქართველოს გენერალურ პროკურატურას გადაეგზავნა. შპს „წყაროს" კი, სანქცია-საურავების გათვალისწინებით, 26.031 ლარი დაერიცხა. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსთა სამინისტროს საგანგებო ლეგიონმა მოქალაქე კობა ჩოხელი დააკავა, რომელსაც „გაზელის" მარკის სატვირთო ავტომანქანით 2050 კგ ფქვილი გადაჰქონდა. როგორც საგანგებო ლეგიონიდან იტყობინებიან, კობა ჩოხელს ფქვილის ტრანსპორტირებისთვის სათანადო დოკუმენტაცია არ აღმოაჩნდა. დაკავებულ მძღოლს ჩამოერთვა ავტომანქანა და ის ამჟამად საგანგებო ლეგიონის სპეციალიზებულ სადგომში დგას. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსთა სამინისტროს საგანგებო ლეგიონის თანამშრომლებმა გასული დღე-ღამის განმავლობაში დააკავეს ორი ავტომანქანა, რომლებსაც დიდი რაოდენობით აღურიცხავი ხის მასალა გადაჰქონდათ. დუშეთის რაიონში ლეგიონის თანამშრომლებმა მოქალაქე გიმზერ სულხანიშვილი ამხილეს, რომელსაც სატვირთო ავტომანქანა „ურალით" სათანადო დოკუმენტაციის გარეშე ხის მორები გადაჰქონდა. თბილისის შემოსასვლელში კი ლეგიონის თანამშრომლებმა ხის ტრანსპორტირებისას ირემაშვილი დააკავეს. ირემაშვილს თან სათანადო დოკუმენტაცია არ აღმოაჩნდა. ორივე ავტომანქანა წარდგენილია საგანგებო ლეგიონის სპეციალიზებულ სადგომში და მიმდინარეობს მოკვლევა. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**ახალციხე.** ვალეს მცხოვრებმა, 29 წლის გიორგი ჩიტაშვილმა ახალციხის პოლიციის განყოფილებას ნებაყოფლობით ჩააბარა თვითნაკეთი პისტოლეტი. ლანჩხუთის რაიონში მცხოვრებმა, 32 წლის არკადი ციბენკომ პოლიციას ნებაყოფლობით ჩააბარა პისტოლეტად გადაკეთებული მცირეკალიბრიანი შაშხანა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის ისანი-სამგორის რაიონის თანამშრომლებმა დააკავეს თბილისში მცხოვრები გიორგი ცხოვრებაშვილი, რომელმაც მეტროსადგურ „ვარკეთილთან" თავში ბლაგვი საგანი ჩაარტყა თბილისში მცხოვრებ ბესიკ ბეგიაშვილს. **მედია-ნიუსი.**

# სასამართლო უკანონობაზე თვალს ხუჭავს

*უკანონო პატიმრების ყოლის ბრალდებას, ძირითადად, საგამოძიებო ორგანოებს უყენებენ ხოლმე. დღევანდელი ჩვენი რესპოდენტი - ადვოკატი ხათუნა სალუქვაძე, 60 წლის ჯანსუღ ლომაიას უკანონოდ დაპატიმრების გამო, პოლიციასთან ერთად მართლმსაჯულების წარმომადგენლებსაც სდებს ბრალს.*

თამარ კაციტაძე

თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, წელიწადნახევრის წინ, დიდუბეში ხვიჩა კოკაიასა და მამუკა მამფორიასთან ერთად მათი სტუმარი, ჯანსუღ ლომაიაც დააპატიმრეს.

ლომაიას ადვოკატის, ხათუნა სალუქვაძის მტკიცებით, კოკაია და მამფორია პოლიციამ შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების განკარგულებაში მყოფი სამადაშვილის ინფორმაციის საფუძველზე დააკავა.

**"მოგეხსენებათ, კადრების განყოფილებას დაქვემდებარებულ პოლიციელს სისტემაში დასაბრუნებლად გარკვეული ქულების დაწერა სჭირდება. ამიტომ, ისინი ცდილობენ, ხელმძღვანელობას გეგმა შეასრულებინონ, ამისთვის კი, ძირითადად, უდანაშაულო ხალხს იჭერენ. ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა - კოკაია და მამფორია ყალბი ფულის დამზადებაში იყვნენ ეჭვმიტანილები, მაგრამ მათ დანაშაული ვერ დაუმტკიცეს. საქმეში ერთადერთი პოლიციელის ჩვენება იყო – თითქოს, მან დაინახა, როგორ გადასცეს კოკაიამ და მამფორიამ უცნობ პიროვნებას ყალბი ფული. რა თქმა უნდა, ამგვარი ჩვენება მყარი მტკიცებულება ვერ იქნებოდა და ორივე "ეჭვმიტანილი" რამდენიმე დღეში გაათავისუფლეს. ლომია კი დღემდე ციხეშია,"** - აღნიშნა ჩვენთან საუბარში ლომაიას ადვოკატმა, ხათუნა სალუქვაძემ.

ადვოკატის მტკიცებით, პოლიციას ყალბი ფულის დამზადებაში ლომაიასადმი არანაირი სამხილი არ ჰქონდა, ამიტომ იგი უკანონო პატიმრად რომ არ ჩათვლოდათ, საბუთები "შეუკერეს" და დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა-შენახვაში დაადანაშაულეს. საქმე შემდეგი განხილვისათვის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სასამართლოში გადაგზავნეს.

**"პოლიციას დაკავების მომენტში ლომაიასთვის ჩხრეკა არ ჩაუტარებია. ჩხრეკის ოქმი მოგვიანებით პოლიციის განყოფილებაში შეადგინეს და მოწმეებიც იქვე მოძებნეს,"** – ამბობს სალუქვაძე. ამის დამტკიცება დაცვის მხარემ სასამართლოზე შეძლო.

ადვოკატის თქმით, ერთ-ერთმა მოწმემ – გოგიჩაიშვილმა, სასამართლო პროცესზე აღიარა, რომ იგი დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიციის თანამშრომელია, არადა, კანონით, პოლიციელს ეკრძალება ჩხრეკის დროს მოწმედ ყოფნა. მეორე მოწმემ, აბშილავამ კი განმარტა, რომ იგი არანაირ ჩხრეკას არ დასწრებია. ლომაიას დაკავების პერიოდში აბშილავა ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარებისთვის ყოფილა დაპატიმრებული. პოლიციამ აბშილავას ოქმზე მუქარით მოაწერინა ხელი. **"თავიდან ოქმზე არ ვაწერდი ხელს, მერე ვიღაც კაცი შემოიყვანეს, რომელმაც მითხრა, – მე ვარ ლომაია, მოაწერე ოქმზე ხელი, მე მაინც გაკეთებული მაქვს საქმე, გავდივარ და შენ საქმეს ნუ ირთულებო. ამის შემდეგ მოვაწერე ხელი,"** – უთქვამს აბშილავას ლომაიას სასამართლო პროცესზე.

მოწმეთა ამგვარი ჩვენებების შემდეგ, კანონით, სასამართლო ვალდებული იყო, ჩხრეკის ოქმი უკანონოდ გამოეცხადებინა და პატიმარი გაეთავისუფებინა, რადგან აღნიშნული ოქმი ლომაიას საქმეში ერთადერთი მტკიცებულებაა, მაგრამ დიდუბე-ჩუღურეთის მოსამართლე ტალიაშვილს, როგორც ჩანს, კანონის ეს მოთხოვნა არ გახსენებია და ლომაის საქმის განხილვას ზუსტად ათი თვე მოანდომა. ხათუნა სალუქვაძის თქმით, ამ ხნის განმავლობაში მოსამართლემ მხოლოდ და მხოლოდ ხუთი მოწმე დაკითხა და ათი თვის თავზე საქმე დამატებით გამოძიებაში დააბრუნა.

ტალიაშვილის გადაწყვეტილება ადვოკატმა საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა. ზემდგომმა სასამართლომ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა, გააუქმა ტალიაშვილის გადაწყვეტილება და საქმე კვლავ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სასამართლოში დააბრუნა.

საქმე ამჯერად მოსამართლე გიორგი საბიაშვილს დაეწერა.

**"ამასობაში 15 თვე გავიდა და ლომაიას განსასჯელის ვადა ამოიწურა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, რაიონული სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმის განხილვისას განსასჯელის პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს. განსაკუთრებულ შემთხვევაში კი ეს ვადა შეიძლება ექვს თვემდე გაგრძელდეს. ვინაიდან, ლომაიას საქმე ნამდვილად არ მიეკუთვნება განსაკუთრებულ შემთხვევას, საბიაშვილს შუამდგომლობით მივმართეთ და ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლება მოვითხოვეთ, მაგრამ - უშედეგოდ",** – ამბობს ადვოკატი სალუქვაძე.

ერთი სიტყვით, 60 წლის განსასჯელი ლომაია სამი თვეა, რაც უკანონო პატიმრობაში იმყოფება, მაგრამ პასუხი კანონის დარღვევაზე, როგორც ჩანს, არავის მოეთხოვება.

**"საბიაშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, - საქმე ჩემთან რომ მოვიდა, ვადები უკვე დარღვეული იყო, ამიტომ ვერც პასუხს მომთხოვთ და ვერც პატიმარს გავათავისუფლებო"** – გვითხრა სალუქვაძემ.

მართლმსაჯულების წარმომადგენლების გულგრილობით აღშფოთებულმა ადვოკატმა იუსტიციის საბჭოს მიმართა და მოსამართლეების - ტალიაშვილის და საბაშვილის საქციელის შეფასება სთხოვა. გაიზიარებენ თუ არა "მოსამართლეთა მსაჯულნი" სალუქვაძის არგუმენტებს და მოსთხოვენ თუ არა პასუხს მოსამართლეებს, მომავალი გვიჩვენებს.

# ომი ათასი წლის წინათ

## სამხედრო დანაკარგები შუა საუკუნეებში


არბალეტი

დანაკარგების შეფასების პრობლემა, უპირველეს ყოვლისა, წყაროების კრიტიკის პრობლემაა, მით უმეტეს, რომ XIV საუკუნემდე ერთადერთ წყაროებს მატიანეები წარმოადგენდა. უფრო ობიექტური საკანცელარიო ანგარიშები მხოლოდ გვიანდელ შუა საუკუნეებში გვხვდება (მაგალითად, 1361 წელს დანიელებსა და შვედებს შორის მომხდარი ბრძოლის ანგარიში იმით დადასტურდა, რომ გათხრების შედეგად ნაპოვნი იქნა 1185 ჩონჩხი). რაც შეეხება ქრონიკებს, ანუ მატიანეებს, მათი ინტერპრეტაცია შეუძლებელია, თუ იმ დროის ფსიქოლოგიას არ გავითვალისწინებთ.

პირველი ტიპის ომი, რომელსაც სცნობდნენ შუა საუკუნეებში, იყო ე. წ. "სამკვდრო-სასიცოცხლო ომი", როცა მტრის წინააღმდეგ ყველანაირი ხერხის გამოყენება იყო დასაშვები (სრული განადგურება, დაჭრილების ყლეტა, მაღალი ღირსების მქონე ტყვეთა წამება). ასეთი იყო ომი წარმართთა წინააღმდეგ. მეორე კონცეფცია იყო ე. წ. რაინდული, პატიოსანი ანუ ლოიალური ომი, რომელიც "რაინდული დისციპლინის" მიხედვით უნდა განხორციელებულიყო. რა თქმა უნდა ეს, უპირველეს ყოვლისა, იმით იყო განპირობებული, რომ რაინდის დატყვევება მის მოკვლაზე უფრო ხელსაყრელი იყო — გვამზე არავინ იხდიდა დიდ გამოსასყიდს.

რაინდული ომი წარმოადგენდა ძველგერმანული სამართლის ერთგვარ განზოგადებას: ომი საღვთო სამართალი იყო, რადგან ღმერთი მხოლოდ მართალს შეეწევა.

ქრონიკებში პირველი ტიპის ომის შედეგებს, ჩვეულებრივ, ძალიან აზვიადებდნენ რადგან "გმირი" ჟლეტდა "ურჩხულებს" და ამიტომ მსხვერპლთა რაოდენობა მხოლოდ გმირის სიძლიერეს ზრდიდა. რეკორდი, ამ მხრივ, ეკუთვნის 1341 წლის ე. წ. სალადის ბრძოლას (მავრების ესპანეთში შეჭრის უკანასკნელი მცდელობა), რომლის მატიანე ითვლის 20 მოკლულ ქრისტიან რაინდსა და 400 000 მოკლულ მუსლიმს. რა თქმა უნდა, არ უნდა ვიფიქროთ, რომ მუსლიმთა გვამებს ვინმე ითვლიდა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ორივე მხრიდან მოკლულთა ამგვარი შეფასება გარკვეულ აზრობრივ დატვირთვას ატარებს: ჯერ ერთი, მემატიანე ხაზს უსვამს ბრძოლის ისტორიულ მნიშვნელობას, მეორე მხრივ კი აღნიშნავს, რომ საქმე სწორედ სამკვდრო-სასიცოცხლო ომს ეხება.


შოტლანდიური მახვილი

ამის საწინააღმდეგოდ, რაინდულ ომში დაღუპული მოწინააღმდეგეთა დიდი რიცხვი ვერანაირად ვერ წარმოაჩენდა გამარჯვებულს როგორც გმირს. აქ გმირობა უფრო მოწინააღმდეგის უკუქცევა ან წარჩინებულთა დატყვევება იყო. საერთოდ, რაინდის სიკვდილი იმხანად იმას ნიშნავდა, რომ ცხენიდან ჩამოვარდნილს კომბლებით ულებდნენ ბოლოს ქვეითი მდაბიორები. ეს კი სამარცხვინო იყო. ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე, მატიანეები გამარჯვებულის განსადიდებლად განგებ ამცირებდნენ ომის მსხვერპლთა რიცხვს.

მაგალითად, 1214 წელს საფრანგეთში ბუვინთან მომხდარი ბრძოლა სამი საათის განმავლობაში გრძელდებოდა. ქრონიკა აღნიშნავს, რომ აქ სამი მხედარი დაიღუპა. მაგრამ ეს რიცხვი ისევე არ შეესაბამება რეალობას, როგორც დაღუპული 400 000 მუსლიმი.

უაზრობა იქნებოდა გაგვემტყუნებინა ამისათვის შუა საუკუნეების ისტორიკოსები: ობიექტურობის ცნება უბრალოდ არ არსებობდა და ჭეშმარიტების საზომები ჩვენი გაგებისაგან ძალიან განსხვავებული იყო.

მაგრამ რაინდული ბრძოლის შემთხვევაში ხანდახან მოწინააღმდეგეები შეგნებულად ინდობდნენ ერთმანეთს. თუმცა ასეთი რამ იშვიათად ხდებოდა: XII – XIII საუკუნის ევროპული ომების უმრავლესობა რაღაც საშუალოს წარმოადგენს სამკვდრო-სასიცოცხლო და რაინდულ ბრძოლას შორის. თანაც, ტიპის მიხედვით, ხან ერთს უახლოვდება, ხან მეორეს.

უეჭველია, რომ ეს "შერეული" ტიპის ომები განსაკუთრებით ახლოს დგას ეროვნული ტიპის ომებთან და მათში მონაწილეთა უმრავლესობა დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელია. გავიხსენოთ თუნდაც 1812 წლის სამამულო ომის დახასიათება ლ. ტოლსტოის რომანიდან "ომი და მშვიდობა". ამ დახასიათების მიხედვით, ნაპოლეონი ვერც კი წარმოიდგენდა, რომ იმდენად ღრმა შეურაცხყოფას მიაყენებდა ხალხის ეროვნულ გრძნობას, რომ ეს უკანასკნელი დაივიწყებდა ომის რაინდულ კანონებს, დააგდებდა კეთილშობილ დაშნას, აიღებდა მუხის კომბალს და იმით გაუსწორდებოდა მომხვდურს.

იგივე შეიძლება ითქვას იმ შემთხვევებზე, როცა საქმე ერეტიკოსთა წინააღმდეგ მიმართულ საბრძოლო მოქმედებას ეხებოდა. მაშინ რელიგიური ფანატიზმის წყალობით ომი სამკვდრო-სასიცოცხლოს უახლოვდებოდა. ამის ნათელი მაგალითია ე. წ. ალბიგლოელთა ომები საფრანგეთში, როცა თითქმის განადგურებულ იქნა კათართა ერესის მიმდევრები. ამ ომებიდან ისტორიას შემორჩა წმ. დომინიკის მიერ წარმოთქმული ფრაზა. როცა წმინდანს უთხრეს, რომ აურზაურში ძნელია ქრისტიანთა და ერეტიკოსთა გარჩევა, მან უპასუხა: "მოკალით ყველა, ზეცაში ღმერთი გამოიცნობს თავისიანებს".

სწორედ რელიგიური ფაქტორის განსაკუთრებულმა გაძლიერებამ, რაც პროტესტანტულმა რეფორმაციამ მოიტანა, საბოლოოდ ჩააბარა წარსულს რაინდული ომის თეორია და პრაქტიკა. დახოცილი მუსლიმების მითიური ნახევარი მილიონის მაგიერ რელიგიური მშვიდობის დამყარება შუა საუკუნეების დასასრულსა და ახალი დროის დასაწყისში ევროპას რეალური 55 000 მოკლული დაუჯდა. ხოლო როცა რელიგიური გრძნობები საბოლოოდ ჩაანაცვლა ნაციონალიზმმა, მსხვერპლთა რაოდენობამ პირველად გადააბიჯა მილიონს. მაგრამ ეს უკვე სხვა ეპოქის ისტორიაა.


რაინდის საბრძოლო ცული

*შუა საუკუნეების საზოგადოება თითქმის მუდმივი ომის ქარცეცხლში არსებობს. შეიძლება ითქვას, რომ ეს საზოგადოება ისევე გამოიმუშავებს ომს, როგორც ჯირკვალი — სეკრეტს. მართლაც, სოციალური იერარქიის თითქმის ყველა ფენა, მწვერვალიდან საფუძვლამდე, თუ სამღვდელო არაა, აუცილებლად მეომარია. ეკლესია, ერთი მხრივ, საგრძნობი შედეგის მიუღწევლად ცდილობს საომარ მოქმედებათა გარკვეულ ჩარჩოში მოთავსებას, მეორე მხრივ კი — აკურთხებს მათ.*
*მაინც რა საომარ მოქმედებებზეა საუბარი?*

### ომის ბუნება

რა თქმა უნდა, შუა საუკუნეებში, ყოველ შემთხვევაში, დასავლეთში მაინც, მიმდინარე შეიარაღებულ ბრძოლებს თითქმის ვერ ვუწოდებთ ეროვნულ ომებს. ამგვარი ომების დრო მხოლოდ მოგვიანებით, მოდერნის ეპოქაში დადგება, მანამდე კი მათ შეიძლება შევუსაბამოთ მხოლოდ სამეფოებს შორის შეიარაღებული კონფლიქტები.

მაგალითად, X საუკუნეში ამგვარი კონფლიქტი მხოლოდ ერთი იყო, 977 წელს, როცა მეფე ლოტარმა საფრანგეთის ქალაქი, ეზ-ლა-შაპელი აიღო, ხოლო გერმანიის იმპერატორმა, ოტონ II-მ ლამის მდინარე სენამდე მიაღწია, სანამ მისი ლაშქრის არიერგარდი ფრანგებმა სუასონთან არ ამოჟლიტეს.

ცოტა უფრო მნიშვნელოვანი, მაგრამ მაინც ეფემერული შედეგები ჰქონდა დანიის მეფის, სვენის მიერ ინგლისის ტახტის აღებას, მაგრამ ეს სამეფოთა შორის კონფლიქტზე უფრო მეტად დინასტიური გადატრიალება იყო, მით უმეტეს, რომ ინგლისის მეფემ, ეტელრედმა მალევე დაიბრუნა გვირგვინი და მშვიდობიანად მეფობდა 1035 წლამდე, ანუ სიკვდილამდე.

პარალელურად მუდმივად მიმდინარეობდა ომები აღმოსავლეთის წარმართთა წინააღმდეგ. ამ ომებს გერმანელი იმპერატორი სარდლობდა. იგივე გვირგვინოსანი პიროვნება არ ერიდებოდა სამხრეთ იტალიაში ჯერ კიდევ ბიზანტიის მმართველობის ქვეშ მყოფი ტერიტორიების წინააღმდეგ გალაშქრებასაც. სამხრეთ იტალიას ამ მხრივ ნამდვილად არ უმართლებდა: ნორმანდიის ჰერცოგთა ხარბი და თავგადასავლების მოყვარული ვასალები წამდაუწუმ ცდილობდნენ მის დაკავებას 1017 წლიდან, როცა ისინი რომის პაპმა, ბენედიქტე VIII-მ აკურთხა. თუმცა ეს ომები მხოლოდ წინაპირობა იყო იმ ხანგრძლივი და ვრცელი დაპყრობებისა, რომლებიც ნორმანდიელებმა ერთი საუკუნით გვიან განახორციელეს ხმელთაშუა ზღვის აუზში.

ასევე შეგვიძლია გავიხსენოთ ჩვენს მიერ უკვე მოთხრობილი საომარი ექსპედიციები ლა გარდ-გრენეში დაბანაკებულ სარკინოზთა ბანდების წინააღმდეგ, რომლებიც იქიდან 972 წელს გამორეკეს საბოლოოდ. 1020 წლიდან კი ესპანელებმა სერიოზულად შეუტიეს ბალეარის კუნძულებისა და სარაგოსას არაბულ სამეფოებს. ასე ვითარდებოდა 24 წლით ადრე დიდი ჯვაროსნული ლაშქრობების თუმც მცირემასშტაბიანი, მაინც სისხლიანი პროლოგი.

არ ვიცი, რამდენად შეგვიძლია ამგვარ ომებს ეროვნული ვუწოდოთ, მაგრამ ერთი კი ნათელია: შუა საუკუნეებისათვის ეს არაა ტიპიური სურათი. გაცილებით უფრო ხშირად ხდებოდა ფეოდალური ომები, რომელთაც მოგვიანებით შინაომებად მოიხსენიებდნენ ეროვნულ სახელმწიფოებში მცხოვრები ზომიერი პოზიტივისტი ისტორიკოსები. უფრო ნაციონალისტურად განწყობილნი კი ამ კონფლიქტებს ძმათა შორის სისხლისღვრას უწოდებდნენ. სისხლისღვრა უდავოა, მაგრამ საეჭვოა, რამდენად შეიძლება ვუწოდოთ ფეოდალ სენიორებს, მათ ვასალებს ან თუნდაც მეფეებს ძმები.

რა იყო ამ ომების მთავარი მიზეზი, ან როგორც მას აკადემიკოსები უწოდებენ — casus belli? გრძნობა, რომელსაც დღევანდელი ადამიანი ძალაუფლებისაკენ სწრაფვად განსაზღვრავდა. უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ამგვარი განსაზღვრების არარსებობისა, XI საუკუნეში ძალაუფლებისაკენ სწრაფვა უფრო წმინდა და მინარევეებისაგან შეურყვნელი, არასუბლიმირებული სახით არსებობდა, ვიდრე მოგვიანებით. საუკუნეთა განმავლობაში, სახელმწიფო აპარატმა შთანთქა და დაიმორჩილა ადამიანების ამბიციები, უსისხლო და ურისკო კარიერიზმად აქცია ისინი. სამაგიეროდ მეორე ათასწლეულის დასაწყისში ფეოდალური საზოგადოების ყველა წევრს ჰქონდა ძალაუფლების იარაღით მოპოვების შანსი. ეს მხოლოდ მის სიმდიდრეზე, ძალაუფლების ქვეშ არსებული ტერიტორიების სივრცესა და ვასალების რიცხვზე იყო დამოკიდებული.

აქედან გამომდინარე შეიძლება გავიხსენოთ დავით აღმაშენებლის ხანგრძლივი კონფლიქტი ბაღუაშებთან. ეს უკანასკნელნი თანამედროვე შეხედულებათა კვალობაზე არ უნდა წარმოვიდგინოთ სახელმწიფო მოღალატეებად — თუ მაინცდამაინც თანამედროვე ეკვივალენტი გვინდა, ეს ერისთავები, უბრალოდ, თანამდებობისთვის მებრძოლი სახელმწიფო ფუნქციონერების მსგავსნი იყვნენ. XI საუკუნეში ჯერ კიდევ ხმალს იქნევდნენ და სასიკვდილოდ მიერეკებოდნენ იარაღასხმულ და არისტოკრატიული ღირსების გრძნობით გამოლენჩებულ ქვეშევრდომებს, სატელეფონო ზარები და მონიშნული კუპიურებით სავსე კონვერტები ჯერ ხმარებაში არ იყო შემოსული.

ევროპაში სიმდიდრესა და ვრცელ ტერიტორიას ხშირად ფეოდალის ციხედარბაზის, მისი მთავარი ციტადელის სტრატეგიული მდგომარეობა ცვლიდა. თუ ეს ციხედარბაზი რომელიმე სავაჭრო გზის პირას იყო აღმართული, ამ შემთხვევაში, სიმდიდრის დაგროვება ყაჩაღობით შეიძლებოდა. არც ეს იყო საზოგადოებაში გაბატონებული წესების დარღვევა: ქართველთა მეფეც უსაფრდებოდა დილმის მიდამოებში


რაინდი და ეშმაკი (ალბრეხტ დიურერის გრავიურა)

სარკინოზთა სიმდიდრით დატვირთულ ქარავნებს.

სისხლის ნათესაობა ხშირად გამხდარა ომის მიზეზი: ხან იმიტომ, რომ ძმები ან სხვა ნათესავები წინაპართა მემკვიდრეობას ვერ იყოფდნენ და ერთმანეთის წინააღმდეგ იარაღით გამოდიოდნენ, ხანაც იმიტომ, რომ სხვებთან კონფლიქტში ერთმანეთს უჭერდნენ მხარს და ამის გამო კონფლიქტი მხოლოდ ფართოვდებოდა. ოჯახებს შორის შუღლი, ვენდეტა ხშირად მხოლოდ ვასალური ვალდებულებით შებორკილ და საქმეში უშუალოდ ჩაურეველ რაინდებსაც მოიცავდა.

### ომის რეალობა

ამ რეალობას შუა საუკუნეებში, სულ მცირე, ორი აღმწერი ჰყავდა: პოეტი და მემატიანე. პირველი ეპიკურ თხზულებებს ქმნიდა, მაგალითად ფრანგული Chansons de geste, სადაც ფეოდალური ომი წარმოდგენილი იყო როგორც უშიშარი და სიქველით შემოსილი რაინდების იგავთმიუწვდენელი მამაცობა, სასურველი და საამაყო რამ. ქრონიკებში სურათი ერთგვარად დამდაბლებულია.

რაინდი მკვიდრად ზის თავის საბრძოლო ბედაურზე, მშვენივრადაა გაწონასწორებული უზანგებით, რომელთა გავრცელება ევროპაში VIII საუკუნიდან იწყება. თავს კონუსური ფორმის მუზარადი უფარავს, რომლის წინა მხარეს, [illegible]

[illegible] ბენ, მაღლიდან დასცქერიან ქვეით ჯარს, რომელსაც შუასაუკუნეობრივ ომში მხოლოდ მეორადი მნიშვნელობა ენიჭება. თუმცა კი ქვეითთა როლი გაცილებით უფრო სახიფათოა, რადგანაც ისინი ნაკლებად არიან დაცულნი საჭურვლით. ქვეითებს სასროლი იარაღი უკვე აქვთ — მეორე ათასწლეულის დასაწყისში უკვე გამოგონილია. მაგრამ ქვეითი ჯარი არც პირისპირ შეტაკებას უფრთხის. სიცოცხლე დიდად დასაფასებელი საქონელი არაა შუა საუკუნეებში. თუმცა დღესაც მოიძებნებიან ისინი, ვინც ამას სიმამაცეს უწოდებს.

ეს ყოველივე წერილობითი წყაროებიდანაა ამოკრეფილი და შეადგენს იმას, რასაც ფიოდორ დოსტოევსკი მახვილგონივრულად უწოდებს "შუა საუკუნეების საოპერო ნაწილს". რეალობა კი, მოგეხსენებათ, ოპერა არაა.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ მთელი ეს საბრძოლო "ტექნიკა" (როგორც მატერიალური ასევე მეთოდოლოგიური თვალსაზრისით) შუა საუკუნეებში თუმც კი არსებობდა, არც თუ ისე ხშირად გამოიყენებოდა. ამიტომაც უნდა განვთავისუფლდეთ როგორც ეპიკური პოემების, ასევე ქრონიკების მიერ შექმნილი სურათის გავლენისაგან.

მიზეზი მარტივია: შუა საუკუნეებში ომის ყველაზე გავრცელებული მიზანი ციხესიმაგრის ან ქალაქის დაპყრობა იყო. აქედან გამომდინარე, ყველაზე ხშირად გამოყენებული ტექნოლოგია პოე- [illegible]


კონსტანტინოპოლის ალყა (შუა საუკუნეების მინიატურა)

სწორედ ასეთია XI საუკუნის ფეოდალური ომის ნამდვილი სახე.

### რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღთა ცხოვრებიდან

ქვემო ფლანდრიის ჰერცოგი კარლოსი, კარლოს დიდის ბოლოსწინა მემკვიდრის, ლოტარის ძმა და მისი დინასტიის ბოლო წარმომადგენელი, რომელიც 987 წელს ჰუგო კაპეტის მიერ იქნა გამოძევებული. ამ მარცხის შემდეგ არ დანებებულა.

988 წლიდან იგი ალყით შემოეწყო ლაონს, თავისი დამარცხებული დინასტიის ტრადიციულ დედაქალაქს. არავის ეგონოს, რომ ლაონის მცხოვრებნი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იცავდნენ თავიანთ მშობლიურ ქალაქს. გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტს, რომ მათ სიხარბისთვის ჭირივით სძულდათ ქალაქის ეპისკოპოსი, ალდაბერონი. ამიტომაც ბევრი დაპირდა კარლოსს, რომ ქალაქის კარებს გაუღებდა. ქრონიკის ავტორი რიშერი, როგორც ეტყობა მოვლენათა უშუალო მოწმე იყო, ამიტომაც ისტორიის წერისას ძველ ნიმუშებს კი არ ბაძავს, არამედ საკუთარ გამოცდილებას აღწერს, რაც იმ დროისათვის საკმაოდ იშვიათია.

კარლოსმა მზის ჩასვლისას ემისარები გაგზავნა ქალაქის მახლობლად განლაგებულ ვენახებში. ეს ხალხი მზად იყო ან ქალაქის მცხოვრებთა რიგებიდან გამოსულ მოღალატეებს შეხვედროდა (თუ ბედი გაუღიმებდათ), ან საკუთარი თავი აირაღით დაეცვა (თუ არ გაუმართლებდათ). მაგრამ ემისარებს გაუმართლათ და სულ მალე მოღალატე მოქალაქეებმა კარლოსს შეუთვალეს, რომ დაუყონებლივ მოეყვანა თავისი ჯარი.

სიბნელეში გალავნის თავზე მყოფმა ქალაქის დამცველებმა ჯერ იკითხეს, ვინ მოდისო და მერე უცებ ქვები დაუშინეს მომხვდურთ. მაგრამ მოღალატეებმა იყვირეს: "მოქალაქეებო! ჩვენც ამ ქალაქში ვცხოვრობთ". მოტყუებულმა გუშაგებმა ალაყაფის კარი გააღეს და ჯარიც გალავნის შიგნით შეიჭრა.

კარლოსის მეომრებმა საშინელი ხმაური ატეხეს: დასცეს ყიჟინა, აახმიანეს საყვირები. ღამის სიბნელეში დაბნეული მცხოვრებლები, რომლებმაც არ იცოდნენ, რა ხდებოდა, გარეთ გამორბოდნენ და საკუთარი სახლის ზღურბლზე პოულობდნენ სიკვდილს. ეპისკოპოსი ალდაბერონი ქალაქიდან გაიპარა, მაგრამ მახლობელ ვენახში დაიჭირეს. კარლოსმა ლაონის მთელი არისტოკრატია დაატყვევა.

ქალაქის ასეთი ადვილი დაპყრობის შემდეგ მან მისი აუღებელ ციხესიმაგრედ გადაქცევა განიზრახა. თავი მოუყარა ხორბლის უდიდეს მარაგს, მოაწყო ღამეული პატრულირება, ღრმა და ფართო თხრილები შემოავლო ქალაქს, ააშენა ლოდსატყორცნები და სხვა დამცავი მანქანები, მოიწვია შურდულის ისეთი დახელოვნებული მტყორცნელები, რომლებსაც ჰაერში დიდ სიმაღლეზე მფრინავი მერცხლის მოკვლაც შეეძლოთ. ეს სამზადისი არ ყოფილა ამაო.

ცოტა ხანში ქალაქის კედლებს თვით ჰუგო კაპეტი და მისი ვაჟი, რობერტი მიუახლოვდნენ. ისინი იქვე დაბანაკდნენ, ბანაკს დაბალი გალავანი და თხრილი შემოავლეს, თანაც ადგილი ისე აირჩიეს, რომ რელიეფის დახრილობა მათ სასარგებლოდ ყოფილიყო. მაგრამ მოდის შემდოგომა, მოაქვს წვიმები და ქალაქის შტურმი გაზაფხულამდე იცდის.

989 წლის გაზაფხულზე კაპეტებმა ლაონთან ჯარი მოიყვანეს. რიშერი ამბობს, რომ 8000 მეომარი იყო, მაგრამ ქრონიკების ციფრული მაჩვენებლები სერიოზულად მისაღები არაა. მაშინვე ააგეს კედლის სანგრევი მანქანა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ მისი გამოყენება გრუნტის დახრილობის გამო ლაონის მახლობლად შეუძლებელია. საქმე აგვისტომდე გაჭიანურდა. აგვისტოში კი, როცა ვახშმის შემდეგ გამომთვრალ მოალყეებს ეძინათ, ქალაქიდან გამოსულმა რაზმმა ბანაკს ცეცხლი მოუკიდა. კაპეტებმა უკანდახევა უბრძანეს თავისიანებს.

ერთი წლის შემდეგ კი კარლოსის მიერ ღალატით დაპყრობილი ლაონი კვლავ ღალატის წყალობით ჩაბარდა კაპეტებს. მაგრამ კაპეტებმა პოლიტიკური შეცდომა დაუშვეს: რეიმსის მთავარეპისკოპოსის ადგილზე დასვეს არნოლფუსი — ლოტარის უკანონო შვილი და, ესე იგი, კარლოსის ნახევარძმა. ნათესაურმა კავშირებმა იმძლავრა და კარლოსმაც ადვილად აიღო რეიმსი. განრისხებულმა ჰუგო კაპეტმა "ექვსი ათასი" რაინდი შეკრიბა, რათა "ან იარაღით, ან შიმშილით" დაეჩოქებინა ურჩი ქალაქი.

სინამდვილეში ახალი ფრანგული დინასტიის მეთაური მხოლოდ ირგვლივ განფენილ სანახებს წვავს და ულმობლად ტოვებს გარშემო მცხოვრებ გლეხებს. ამის შემდეგ რეიმსს უახლოვდება, სადაც ქალაქის გალავანთან დაწყობილ "ოთხი ათას რაინდს" ხედავს, რომლებიც კარლოსს ემორჩილებიან.

ერთი მხრივ, კარლოსი ატყობს თავის საბრძოლო სისუსტეს. მეორე მხრივ, ჰუგო ანგარიშს უწევს, რომ იურიდიულად მისი მოწინააღმდეგე მართალია, რადგანაც თავისი კუთვნილი ტახტისთვის იბრძვის. ბოლოს და ბოლოს, მხლებლები გონიერ რჩევას აძლევენ: დაელოდოს მოწინააღმდეგეს და იმოქმედოს შესაბამისად. მცირე ხნის გაურკვეველი დუმილის შემდეგ ორივე ლაშქარი თითქმის ერთდროულად უკუიქცევა. ყველაზე მეტად გადამწვარი ყანების პატრონი გლეხები იჩაგრებიან.

ასეა თუ ისე, რაინდობას ყოველთვის სისხლი და უბედურება მოჰყვება, ხოლო ყველაზე პოეტური გმირობის საბაბი და უკანა მხარე ყოველთვის პროზაული ძალადობაა...

ნოდარ ლადარია
ლეილა ბეჟარაშვილი

www.24hours.ge 24 B

ნომრის პერსონა

# არ მინდა, საქართველო ამბიციური და ძლიერი ქვეყანა-კრედიტორების წინაშე აღმოჩნდეს

*ერთი ფილმის და აბანოსი არ იყოს - ტრადიციულად, ყოველ წელს (ორჯერაც) საერთაშორისო სავალუტო ფონდი ჩამოდის. ტრადიციულად მთავრობა იკრიბება და სვამს კითხვას - "რა ვქნათ?". ფონდის რეკომენდაციების ნაცვლად ტრადიციულად ადგილობრივი ინტერეს-ჯგუფების მოთხოვნებია შესრულებული და მისიის ჩამოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე ტრადიციულად აღმოვაჩენთ, რომ ერთ-ერთი უპირველესი დონორის კეთილგანწყობას ვკარგავთ და ქვეყანას ეკონომიკური დეფოლტის საფრთხის წინაშე ვაყენებთ... ტრადიცია არც ამ ჯერზე დარღვეულა. სავალუტო ფონდის უმთავრესი მოთხოვნა ბიუჯეტის დაბალანსებისა და ენერგეტიკის საკითხებში არ შესრულებულა. რა მოხდება 3 ივლისს, როდესაც პაოლო ნეუჰაუსის ხელმძღვანელობით ჩამოსული სავალუტო ფონდის მისია საქართველოში ვიზიტს დაასრულებს, რა მოლოდინი აქვს მთავრობას, პრეზიდენტის ეკონომიკურ გუნდს - საუბრობს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე* ***გიორგი ისაკაძე.***

მაია ჭალაგანიძე

**- როდემდე უნდა იყოს მთავრობა ლოკალური ხანძრების ჩამქრობ მეხანძრის როლში? დარჩენილ დროში როგორ აპირებთ პრეზიდენტის დავალების შესრულებას და მდგომარეობის გამოსწორებას?**

- სავალუტო ფონდი წელიწადში ორჯერ ტოვებს რეკომენდაციებს, რომელსაც თვითონ არ იგონებს. ყველა რჩევა მთავრობასთან არის შეთანხმებული. მისია ყოველთვის კითხულობს ქართული მხარის აზრს - მიზანშეწონილად მიაჩნია თუ არა ამა თუ იმ რეკომენდაციის შესრულება და რეალურია თუ არა ბიუჯეტში წარმოდგენილი ციფრები. ეს ქმედება, როგორც წესი, ჩვენთან თარგმნილია ისე, თითქოს სავალუტო ფონდთან შეუთანხმებლად პარლამენტში არასდროს არ შედის ბიუჯეტი. ფონდი მარტივი, რეალისტური გათვლებით შედგენილ რეკომენდაციებს ტოვებს.

**- ამ რეკომენდაციებში სიახლეები ხშირად არის?**

- ფონდთან ჩემი წლინახევრის ურთიერთობით დავინახე, რომ რეკომენდაციები თანამიმდევრული და ლოგიკურია. ჩემთვის ეს არასდროს ყოფილა უცხო ხილი, ეს ხალხი პანაცეად არაფერს აქცევს. ბუად რომ წარმოვიდგენთ ხოლმე სავალუტო ფონდს - მსგავსი არაფერია.

**- ეს, ალბათ, საგანგებო პოლიტიკაა - უნდა არსებობდეს მითი იმის შესახებ, რომ რაღაცას გვაიძულებენ, გვიშლიან, გვაჩქარებენ...**

- გეთანხმებით.

სავალუტო ფონდი ჩვენთვის მიუღებელს არაფერს ითხოვს. ითხოვენ იმას, რასაც ჩვენით უნდა ვაკეთებდეთ - აჯამებენ გარკვეულ რეკომენდაციებს, რომელიც არ შეიძლება, მიბმული იყოს მხოლოდ ბიუჯეტზე.

**- რა დარგშია განსაკუთრებული მოთხოვნები?**

- საკმაოდ სერიოზული მოთხოვნებია ენერგეტიკის სფეროში. ტარიფთან დაკავშირებით მისიამ მარტივი რამ დაინახა - ტარიფის გადაანგარიშებით მხოლოდ ბიუჯეტი ზარალდებოდა. ის ბიუჯეტი, რომელიც ფინანსთა სამინისტრომ დაგეგმა, მაგრამ არ გაითვალისწინა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამო ტარიფიდან ამოვარდებოდა ენგურჰესის თანადაფინანსებისთვის გათვალისწინებული კომპონენტი. ამან სერიოზული პრობლემა შექმნა - 12-დან 20 მილიონ ლარამდე მოულოდნელად გამოჩენილი თანხა დააწვა ბიუჯეტს. მათ მოითხოვეს - ან ბიუჯეტში დაგვანახეთ ამ თანხის წყარო, ან ტარიფი ხელახლა უნდა გადაანგარიშდესო.

სერიოზული მოთხოვნაა, აგრეთვე, 2003 წლის დაუბალანსებელ ბიუჯეტზე. ყოველი თვის, კვარტლის, წლის ბოლოს ერთია ხაზინის მიერ მოწოდებული ფორმა, რომელიც ყველა ნორმალურ ქვეყანაში ერთადერთი აღრიცხვის ფურცელი უნდა იყოს და მეორე - არსებული რეალობიდან გამომდინარე ფორმა №412

**- რა განსხვავება ამ ორ მონაცემს შორის?**

- უზარმაზარი.

**- საერთო რა აქვთ?**

- იქიდან გამომდინარე, რომ ფონდს ქვეყანაში შექმნილი სრული ფისკალური სურათის დანახვა სურს, ყოველთვის ფორმა №412-ით სარგებლობს. ხოლო როცა საკითხი გაწეულ ხარჯებს, მის დინამიურობას, დავალიანების არდაგროვებას ეხება, ფონდს ხაზინის ინფორმაციასთან უწევს შეხება.

**- პრეზიდენტმა თქვენ, ეკონომიკურ გუნდს, დარჩენილ დროში ვითარების დაუყოვნებლივ გამოსწორება მოგთხოვათ. როგორ ასრულებთ ამ დავალებას?**

- დავალებას ჩვენი დახმარებით შეასრულებენ ის სამინისტროები, ვინც ამ საკითხებზეა პასუხისმგებელი - ფინანსთა, ენერგეტიკის, ეკონომიკის სამინისტროები.

მარტის ბოლოს საკმაოდ ღიად განვაცხადე მოსალოდნელი საშიშროების შესახებ. მაშინ ჩემი ნათქვამი სწორად ვერ გაიგეს. მე კი ის კაცი არ ვარ, პრეზიდენტთან და სახელმწიფო მინისტრთან სამუშაო შეხვედრის ოქმები ვაფრიალო. ფაქტია, რომ შედეგი არ ჩანს. დღეიდან მოყოლებული დარჩენილ ვადაში მოუწევთ იმ ვალდებულებების შესრულება, რისი გაკეთება აქამდეც შეეძლოთ.

**- ამ მოკლე დროში შესაძლებელია ბიუჯეტის რეალური დაბალანსება?**

- დიახ, მოსამზადებელია დოკუმენტი, ხარჯების ოპტიმიზაციის პროგრამა. ანუ, რა ხარჯები შეჩერდება, იქამდე, სანამ არ შემოვა თანხები პრივატიზაციიდან, გრანტებიდან, დახმარებებიდან. ეს თანხები ტრანსფარანტული უნდა იყოს არა ფონდისთვის, არამედ, პირველ რიგში, საზოგადოებისთვის.

**- თუკი მთავრობა მისიის ჩამოსვლამდე მოახერხებს ბიუჯეტის დაბალანსებას, რა ობიექტური ხელისშემშლელი მიზეზებია ამის მშვიდ ვითარებაში გასაკეთებლად?**

- ფინანსთა სამინისტრომ 85 მილიონიანი სეკვესტრის დოკუმენტაცია წარმოადგინა. ის მუხლები, მათ შორის, დაცული მუხლები და საგარეო დავალიანებების დაფარვა, რომლის შეჩერებაც სამინისტრომ, რეალობიდან გამომდინარე, მიიჩნია მიზანშეწონილად, არც ჩვენთვის და არც ფონდისთვის არ იყო მთლად მისაღები. კანონმდებლობით, ფინანსთა სამინისტროს ხარჯების 10 პროცენტიანი კორექტირების უფლება აქვს. თუ ეს პროცენტი პირდაპირპროპორციულად არ გადანაწილდა, საკანონმდებლო პრობლემები შეიქმნება. დავალიანებების გაზრდა გარკვეულ ზღვარს რომ გადასცილდება, სეკვესტრი გარდაუვალია. სეკვესტრს და ხარჯების კორექტირებას ზღვარი აქვს. როდესაც კორექტირება 10 პროცენტიანი მოცულობის ფარგლებში კეთდება, ამას პარლამენტში გატანა არ სჭირდება.

სხვა პრობლემა შეიქმნა - 85 მილიონიანი სეკვესტრი არც შინაარსით და არც მოცულობით საკმარისი აღარ არის. ეს ჩემი აზრია და თუ ვტყუი, გამეხარდება. დარჩეს 85 მილიონი და ღმერთმა ქნას, საერთოდ ნულამდე შემცირდეს.

**- ეს უკმარისობა, ალბათ, ბიუჯეტის დაგეგმვის დროსვე ცხადი უნდა ყოფილიყო, მით უფრო დანაკლისი წინა წლების ბიუჯეტიდან მოდის...**

- 2003 წლის ბიუჯეტში თავიდანვე ამბიციური ციფრები ჩაიდო. ყოველთვის სასიხარულოა, როცა 100, 200, 500 მილიონით გაიზრდება ბიუჯეტი, მაგრამ ამას გვერდიდან უნდა შეხედო - რეფორმები დაუსრულებელია, საგადასახადო ბაზა იმ დონეზე არ არის მომძლავრებული, რომ ჩვენი ფისკალური სამსახურები კორუფციის მინიმალური დონით, უანგაროდ მიმართავდნენ გადასახადებს ბიუჯეტისკენ. ეს რომ ასე იყოს, ამ ამბიციურ ციფრებს დავთანხმდებოდი.

**- პრობლემები პრივატიზებიდან შემოსულ თანხებთანაც აშკარა იყო.**

- დიახ, მაგრამ, რადგან ეს გადაწყვეტილება მიიღეს - ბიუჯეტი უნდა შესრულდეს. პრივატიზაციის 45 მილიონიანი მაჩვენებლის წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ, პრივატიზაციას ასე ვერ დაგეგმავ. ეს ციფრი იმის გამო ჩაიდო, რომ ბიუჯეტში შემდგომ ჩადებული დამატებითი ხარჯები დაბალანსებულიყო.



გიორგი ისაკაძე

**- ამიტომ განსხვავდება სეკვესტრის თქვენი ვერსია ფინანსთა სამინისტროს ვერსიისგან?**

- ჩემი აზრით, სეკვესტრი 113-დან 115 მილიონ ლარამდე მერყეობს.

ფინანსთა სამინისტროს 85 მილიონთან დაკავშირებით თავისი მოსაზრებები აქვს და, ალბათ, ამ კვირის ბოლომდე ფონდის წარმომადგენლობასთან ერთად საბოლოოდ შეჯერდება. რეალისტური სქემა გამოჩნდება.

**- როგორი შეხვედრა იქნება ფონდთან?**

- მისიასთან შეხვედრა იოლი არასდროს არის.

**- ყველა ქვეყანაში ასეა?**

- იქ, სადაც ასეთი დაძაბული პროგრამით მუშაობს, ასეა. მაგრამ, არიან ქვეყნები, რომლებიც ფონდის რეკომენდაციებს სრულყოფილად ასრულებენ.

**- სავალუტო ფონდი თითქმის 10 წელია, საქართველოში მუშაობს. ამ ხნის განმავლობაში ყველაზე მკაცრი სანქცია რა იყო?**

- ჩვენს მიმართ ყველაზე მკაცრი სანქცია პროგრამის შეჩერებაა.

**- ამას რა მოჰყვება?**

- წელს ჩვენს ქვეყანას ძალზე ძვირი დაუჯდება - პარიზის კლუბზე უარის თქმა, საგარეო ვალდებულებების არგადაფორმება და მინიმუმ, 50 მილიონი დოლარის გადახდა კრედიტორი ქვეყნებისათვის. პრობლემას ისიც ქმნის, რომ ბიუჯეტში არც ეს ფულია გათვალისწინებული. როდესაც ბიუჯეტს გეგმავდნენ, არ გაითვალისწინეს, რომ პროგრამას შეაჩერებდნენ. საფრთხე დღეს მართლა რეალურია და სავალუტო ფონდის პროგრამის შეჩერება იმას ნიშნავს, რომ ქვეყანა, დაახლოებით, 80 მილიონ დოლარამდე გრანტს ვეღარ მიიღებს - საგრანტო სუბიექტები - ევროკავშირი თუ სხვა დონორები - თავიდან ბოლომდე არიან მიბმულნი იმ დადებით გადაწყვეტილებებზე, რომელსაც ფონდის დირექტორატი გამოიტანს. ეს ყველაფერი იმდენად ერთიან ჯაჭვშია გადამბული, რომ ლავირების საშუალებაც არ არის. ბიუჯეტი უნდა შესრულდეს.

**- საერთოდ, რა გსმენიათ, მისიის გადაწყვეტილებები ულმობელია?**

- რაც მეტ პირობას შევასრულებთ, დადებითი გადაწყვეტილების, ფონდის პროგრამის აღდგენის მეტი შანსი ჩნდება. დადებითი გადაწყვეტილება კი პარიზის კლუბში ჩვენი ღირსეული წარდგენაა.

ეს გზა ჯერ კიდევ ნოლაიდელის დროიდან არის გაკვალული და პროგრამის აღდგენის შემთხვევაში განსაკუთრებული სამუშაო აღარ რჩება.

მინდა სწორად გამიგონ - ჩემთვის გაცილებით მეორეხარისხოვანია 30 მილიონიანი ტრანში და ამის გამო მსაყვედურობენ კიდეც. სავალუტო რეზერვები მართლაც მნიშვნელოვანია, მაგრამ გაცილებით მნიშვნელოვანია საგარეო ვალდებულებების შესრულება.

არ მინდა, საქართველო აღმოჩნდეს ისეთი ამბიციური ქვეყანა-კრედიტორების წინაშე, რომელიც არად დაგიდევენ ვალის არგადახდას და ყველანაირად შეეცდებიან პრობლემების წარმოქმნას.

**- რატომ არის ბიუჯეტი მუდმივი პანაცეა?**

- ორი სიმართლე და, მით უმეტეს, ბიუჯეტთან დაკავშირებით, არ არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტის კანონის გარკვეული მომენტები ლავირების საშუალებას იძლევა, სიმართლე ერთია და როდესაც საქმე სეკვესტრამდე მიდის, ეს პრობლემები ხელის გულზე დევს.

**- სად არის შემოსავლები? რატომ არ შედის ბიუჯეტში?**

- შემოსავლები ნავთობპროდუქტებსა და თამბაქოშია.

არ შემოდის რეფორმის არარსებობის გამო, რომელიც საბაჟო სისტემას არც კი შეხებია. ყველაზე ულმობელი სტატისტიკაა: რამდენიმე წლის წინ ეს ყველაფერი სერიოზულად იბეგრებოდა. თითოეული აქციზური ჯგუფიდან 7-8 მილიონი შემოდიოდა. დღეს კი – 2-3 მილიონი, ან 21-22 ათასი ტონა ბენზინი მიაჩნიათ მაჩვენებლად.

**- რეალობა რა არის?**

- ყველა საერთაშორისო თუ ქართველი ექსპერტის გამოკვლევის მიხედვით, ნავთობპროდუქტებიდან მინიმუმ 120-დან 130 მილიონი დოლარის რეზერვი არსებობს.

რაც შეეხება თამბაქოს - ყოველი სამი კოლოფი სიგარეტიდან ორი კონტრაბანდულია. გასაგებია, შეიცვალა სამეწარმეო სუბიექტი, იმპორტმა იკლო... ადგილობრივი წარმოებიდან რატომ არ შემოდის შემოსავალი? აქციზური სამსახური, მონიტორინგი, ლეგიონი, ძალოვანი სტრუქტურები ხომ ადგილზე არიან?!

**- რა მოსაზრებები აქვს მსოფლიო ბანკს იმის თაობაზე, რომ მის მიერ ჩადებული თანხების მიუხედავად არანაირი რეფორმა არ კეთდება?**

- თუ მსოფლიო ბანკი თავის პარტნიორად აღარ მიგვიჩნევს და უარს ამბობს შეღავათიანი კრედიტების გაცემაზე - 30 წლიანი დაბალპროცენტიანი კრედიტებისა, რომლის ნახევარი გრანტელემენტი, ანუ საჩუქარია - რა გითხრათ, წითელ შუქს ვუნთებთ სერიოზულ ინვესტორებს. წამყვანი კომპანიები, რომელთა უკან მილიარდები და პოლიტიკა დგას, არ შემოდიან ისეთ ქვეყანაში, რომლის შესახებაც მსოფლიოს წამყვანი საფინანსო ბერკეტები - სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი დადებით დასკვნას არ იძლევიან.

**- საქართველოს ხელისუფლებას რამდენ ხანს ეყოფა "შემართება", რომ ლოკალურად, ბოლო წამებში გამოასწოროს მდგომარეობა. ამ აჟიოტაჟებს ფონდიც ხომ ხედავს? სადამდე მიგვიყვანს ასეთი საფინანსო პოლიტიკა?**

- რა თქმა უნდა, მაქვს მოსაზრებები, თუ რა შეიძლება ამას მოჰყვეს, მაგრამ, ამ ეტაპზე ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია ფონდის პროგრამის აღდგენა.

**- თქვენ თქვით, რას გააკეთებს ფონდი. ქართული მხარე რაღას მოიმოქმედებს?**

- ყველაფერი მშვიდ პერიოდში უნდა გავაკეთოთ და მეხანძრეების პრინციპით მუშაობას თავი დავანებოთ.

ვალდებულებების შესასრულებლად ყველაფერს გავაკეთებთ. ცეცხლთან თამაში არ შეიძლება. თუ ვინმემ არ იცის, რას ნიშნავს სიტყვა დეფოლტი - ეკონომიკური ლექსიკონი გადაშალოს.

**- რამდენად კოორდინირებულად მუშაობთ მთავრობის ეკონომიკურ მინისტრებთან?**

- ვმუშაობთ ხშირად და დაძაბულად.

**- რას ცვლის თქვენი სამუშაო შეხვედრები?**

- ვფიქრობ, რომ შენიშვნებსა და რეკომენდაციებს ითვალისწინებენ. მინდა, საბოლოო ვერდიქტს დავუცადოთ. მაინც მგონია, რომ ბიუჯეტის ბალანსი საბოლოოდ უნდა აღდგეს. ფონდმა, პარალელურად, დავალიანების შემცირების ტენდენცია უნდა დაინახოს და ქვეყნის მიმართ ნდობა აღიდგინოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველაზე ცუდ სიზმარშიც ვერ წარმოვიდგენ იმას, რაც მოხდება...

**- ბიუჯეტი არჩევნებს იგრძნობს. 85/113 არჩევნებს არ გულისხმობს?**

- არ მინდა პოლიტიკური განცხადებების გაკეთება, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, პოლიტიკა ეკონომიკას ყლაპავს.

**- თუ ესწრებით სახელისუფლო ბლოკის საარჩევნო შეხვედრებს და რაიმე დავალებას გაძლევენ?**

- პრეზიდენტ შევარდნაძის აპარატში ვმუშაობ. შეხვედრებს იშვიათად, მაგრამ ვესწრები. განსაკუთრებული დავალებები არ მაქვს.

**- თქვენს სამუშაო ადგილს რაც შეეხება, მინისტრობის კანდიდატად წარდგენის სტაჟი გეზრდებათ. მშენებლობის სამინისტრო გაუქმდა თუ არა?**

- რამდენადაც ინფორმაცია მაქვს, ამ სამინისტროს გაუქმება გადაიდო. დღემდე იურიდიულად წარდგენილი ვარ მშენებლობისა და ურბანიზაციის მინისტრობის კანდიდატად. დეფაქტო კი, არანაირი პროცედურა არ გამივლია და ამგვარი რამ არც მემუქრება...

**- რა ლოგიკით არ სრულდება ბიუჯეტი?**

- არათანმიმდევრულობით. საფუძველი ყოველთვის დაგეგმვაში უნდა ვეძიოთ. დაგეგმვაში, სამწუხაროდ, მონაწილეობას არ ვიღებ. კანცელარიას გარკვეული მონიტორინგის ფუნქცია აქვს და თუ თავს მკვეთრი განცხადებების უფლებას ვაძლევ, ეს არ მომდინარეობს ჰაერიდან. ვარ ანტიკორუფციული საბჭოს წევრი და არც ვაპირებ ამის არგამოყენებას. დიდ პატივს ვცემ ყველას, ვინც ბიუჯეტზე მუშაობს, მაგრამ თუ ჩემი აზრი მაქვს და რადიკალურად განსხვავდება სხვისი აზრისგან, ამას ყოველთვის ვიტყვი.

**- თქვენ ანტიკორუფციულ საბჭოში დარჩენა გერგოთ. რამდენჯერ შეათავსეთ თქვენი ეს ორი სამუშაო ადგილი, რა გამოიძიეთ, თქვენ, როგორც საბჭოს წევრმა?**

- კონტრაბანდასთან, არასაგადასახადო შემოსავლებთან დაკავშირებით.

**- კონკრეტული გვარები დაასახელეთ?**

- რა თქმა უნდა - მინისტრის მოადგილეები, დეპარტამენტის უფროსები და ა.შ. 24 უწყებაა. არასაგადასახადო შემოსავლები, რომელიც ბიუჯეტის გარღვევის ერთ-ერთი სერიოზული მიზეზია, არავის მოუკითხავს, ვინ ავსებს ამას და ამ უპასუხისმგებლო სივრცეში პასუხისმგებელი აღმოჩნდა 24 უწყება, დაწყებული შსს-დან - ვეტერინარული დეპარტამენტით დამთავრებული.

**- რა ზომები მიიღეს?**

- ანტიკორუფციული ვალდებულებები მხოლოდ სამმა უწყებამ შეასრულა - შსს-მ, ჯანდაცვისა და საგარეო საქმეთა სამინისტროებმა. დანარჩენების შესახებ მთავრობის სხდომაზე ვისაუბრეთ.

**- ვინმეს პასუხისმგებლობის საკითხი დადგა?**

- დიახ, ეს მასალები დევს. 22 არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად კანცელარიამ თამბაქოს ბაზრის ანალიზი გააკეთა. სურათი უმძიმესია - 1999 წლიდან, აქციზური მარკების შემოსვლიდან მოყოლებული, შემოსავლებში კლება 10 მილიონზე მეტი ლარია. კონტრაბანდის წილი და მოცულობა არანორმალურად გაზრდილია.

**- პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება, ხშირ შემთხვევაში, ადგილმონაცვლეობასთან არის გაიგივებული.**

- ანტიკორუფციულმა საბჭომ კონკრეტული პროგრამით დაიწყო მუშაობა. ქვეყნის მთავარი დოკუმენტი, რომელზეც ჩვენი დონორები სერიოზულ იმედს ამყარებდნენ, საჯარო მოხელეების ყურადღების მიღმა დარჩა.

**- როდესაც თანამდებობაზე ამტკიცებდნენ, სახელმწიფო მინისტრმა პარლამენტში განაცხადა, რომ ბიუჯეტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, გადადგებოდა. 2002 წლის ბიუჯეტი გაირღვა და 2003 წლის ბიუჯეტსაც იგივე პირი უჩანს. რამდენად სწორად მიგაჩნიათ ამავე ეკონომიკური გუნდით მუშაობის გაგრძელება?**

- გარკვეულ კორექტივებს არ გამოვრიცხავ. არც პროგნოზისტი და არც გადაწყვეტილების მიმღები არ ვარ. პრეზიდენტი მინისტრებს - თავის დარგში პრემიერ-მინისტრებს უწოდებდა და ეს რაღაცას ნიშნავს. დღეს არ არის მინისტრთა კაბინეტი და არც ვერტიკალია...

**- გინდათ თქვათ, რომ რისხვა მხოლოდ მინისტრებს დაატყდებათ?**

- საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობები აქვთ ცალკეულ სამინისტროებს.

**- რა იქნება მისიის განაჩენის შემდეგ, იგივე განმეორდება?**

- განმეორებას არ გამოვრიცხავ, მაგრამ დავალიანების შემცირების ტენდენცია უნდა გამოჩნდეს.

**- სეკვესტრის თქვენი გაანგარიშება - 113 მილიონი ლარი - როგორ მიიღეს 85 მილიონის ავტორებმა?**

- ამას ბევრი არ ეთანხმება. მაგრამ ურთიერთობებს თავად მივხედავ. დარწმუნებული ვარ, ისეთ ციფრზე შევთანხმდებით, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდისთვის იქნება მისაღები.







# ჯაზ-ფესტივალის დაწყებამდე დარჩა ცხრა დღე

TBILISI JAZZ FESTIVAL
თბილისის ჯაზ-ფესტივალი

ვერა ნეფარიძე

ცხრა დღის შემდეგ თბილისს ტრადიციული საზაფხულო ჯაზის ვნებათაღელვა შეიპყრობს. ხუთი დღის განმავლობაში "აჭარა მიუზიკ ჰოლში", ფილარმონიაში და ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სცენაზე ჯაზის ადგილობრივი და მსოფლიოში აღიარებული შემსრულებლები გამოვლენ. დღეს "შერატონ-მეტეხი პალასში" ორგანიზატორები ფესტივალის დეტალებს პირველად გაახმაურებენ.

წლევანდელი ფესტივალის მონაწილეთა შორის აღარ გვხვდება ისეთი ხმაურიანი და მომხიბლავი სახელები, როგორებიც შარშან იყვნენ: ელ ჯერო, ტანია მარია... თუმცა, ესეც სადავოა – რომელი უფრო მნიშვნელოვანი მოვლენაა, ფესტივალში ტანია მარიას მონაწილეობა თუ მსოფლიოში აღიარებული ვოკალური ჯგუფი Take 6-ის. ეს, შესაძლოა უფრო გემოვნების საკითხს განეკუთვნებოდეს; აი, ორგანიზატორებს თუ დავუჯერებთ, მათი ბიუჯეტისთვის წლევანდელი ვარსკვლავების მოწვევა დიდი შეღავათი არ ყოფილა. უფრო მეტიც, როგორც ამბობენ, ისინი ერთად თავს ვერასდროს მოუყრიდნენ კენი გარეტს, Take 6-სა და Incognito-ს, რომ არა რამდენიმე სერიოზული კომპანიის მხარდაჭერა, ანუ სპონსორობა. თუ გსურთ წარმოდგენა შეგექმნათ სპონსორთა რაოდენობაზე, საკმარისია თვალი შეავლოთ ფესტივალის სარეკლამო რგოლებს, ან ვარაზის ხევში ჩამწკრივებულ ლაითბოქსებს...

ფესტივალი წელს "აჭარა მიუზიკ ჰოლში" 21 ივნისს დაგეგმილი ბრიტანული ეისიდ-ჯაზ ჯგუფის, Incognito-ს კონცერტით გაიხსნება. თუმცა, ძნელია ჯგუფი უწოდო ამ არასტაბილური შემადგენლობით გამორჩეულ მუსიკალურ კოლექტივს, რომელიც თბილისს თავისი უკანასკნელი შემადგენლობით, ცამეტი მუსიკოსით ესტუმრება. ჯგუფის მუსიკალურ სტილთან ერთად თუ თბილისის მეგა-კლუბის მასშტაბებსაც გავითვალისწინებთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წლევანდელი ფესტივალი საკმაოდ შესაფერისი, ამაღლებული განწყობით გაიხსნება.

"აჭარა მიუზიკ ჰოლის" პომპეზურობასა და საყოველთაო მხიარულებას ფესტივალის შემდეგი სტუმარი, კენი გარეტი კარდინალად შეცვლის. ამერიკელი საქსაფონისტი თავის პირველ კონცერტს თბილისში ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე გამართავს. არ იფიქროთ, რომ ეს გადაჭარბებულად აკადემიური გადაწყვეტილებაა – კენი გარეტის დონის მუსიკოსებისთვის მსგავსი დარბაზები სულაც არაა უცხო. თუკი მის შემოქმედებას არ იცნობთ, ვფიქრობ, საკმარისი უნდა იყოს ის, რომ 43 წლის საქსაფონისტი მაილს დევისის საყვარელი მუსიკოსია; ჯაზის სხვადასხვა ავტორიტეტული შემსრულებლები კი მას ლეგენდარულ საქსაფონისტად აღიარებენ. კენი გარეტს ნამუშევარი აქვს მსოფლიო ჯაზის ისეთ მეტრებთან, როგორებიც არიან: არტ ბლეიკი, დიზი გილესპი, მაილს დევისი. თანამედროვე პოპ-როკ სცენის თანავარსკვლავედიდან კი თანამშრომლობს სტინგთან, პიტერ გებრიელთან და ბრიუს სპრინგსტინთან. დაბოლოს, წლევანდელ ჯაზ-ფესტივალს კიდევ ერთი ამერიკული კოლექტივი, ვოკალური ჯაზის თანამედროვე ვარსკვლავები - Take 6 დახურავს.



თბილისის მე-7 საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალს "ინკოგნიტო" ხსნის

ფესტივალის უცხოელ და ქართველ შემსრულებლებზე დაწვრილებით უახლოეს ნომრებში გვექნება მასალები. ახლა კი მოკლედ იმასაც გეტყვით, რომ ფესტივალზე ერთი დღე, 24 ივნისი მხოლოდ ადგილობრივ შემსრულებლებს დაეთმობათ. მათ შორის ყველაზე სასიხარულო მოულოდნელობა იქნება ახალი ჯაზ-ბენდის Ethno 10-ის გამოჩენა. აქამდე სხვადასხვა მუსიკალური რადიოგადაცემებით ცნობილი ირინე ებრალიძის მუსიკალური კოლექტივის პრეზენტაცია სწორედ თბილისის მეშვიდე საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალზე გაიმართება. ამავე დღეს "აჭარა მიუზიკ ჰოლში" ქართულ თანამედროვე ჯაზს წარმოადგენენ: ოთარ მაღრაძის "თბილისის დიქსილენდი და დინი ვირსალაძის ჯგუფი; მერაბ "სანო" სანოძისა და დი-ჯეი ედგარ სებისის ჯაზ-ჰაუს "ფართი" კი საგანგებოდ ამ ფესტივალისთვის მზადდება.

დაბოლოს, რაც მთავარია, წლევანდელ ფესტივალზე თბილისელი მელომანები მოულოდნელ უსიამოვნებებს, რაც, ძირითადად, ჩვენს შემთხვევაში, გასტროლების გადადებით გამოიხატება ხოლმე, არ უნდა ელოდნენ. ყველა სტუმრის თბილისური კონცერტი უკვე გამოქვეყნებულია მათ ინტერნეტ-საიტებზე 2003 წლის ტურნეს განრიგში. ყველანაირ ინფორმაციას ფესტივალის შესახებ კი ჩვენი გაზეთის გარდა, ფესტივალის ორგანიზატორის "ისთერნ პრომოუშენის" ინტერნეტ-გვერდიდან (www.easternpromotion.com) შეიტყობთ. სხვათა შორის, ამავე საიტიდან შეგიძლიათ ბილეთების შეკვეთაც.

# სიცოცხლე სიცოცხლის შემდეგ



ბიძო ნიშნიანიძე

აბა, სიკვდილი რაღაა? - იკითხავს კაცი.

სიცოცხლის ბოლო საიდუმლოო - ამბობენ.

ქართველი კაცი კი საერთოდ არ ახსენებს მას და "სიკვდილს" – "გარდაცვალებას" ეძახის.

სააქაოს კარის გამოხურვამდე ორი დღით ადრე შენი კარის მეზობელმა და ჩვენი თაობის მშვენებამ რეზო თაბუკაშვილმა შვილებს ანდერძად დაუტოვა უკანასკნელ ამოსუნთქვასთან ერთად ამოთქმული სტრიქონი, რომლითაც შენი სათქმელიც ითქვა: "... და თუმცა ჩემი გამგზავრება ჰგავდა წვალებას, სიკვდილი მაინც არ დაარქვათ გარდაცვალებას".

ვიცი, გლოვის სიტყვა ათასჯერ ასაწონია, მაგრამ გამოსათხოვარი სიტყვის მოუთოკავობა როდი მალაპარაკებს!

თბილისის სასაფლაოებს შორის, რომელსაც ჩვენი წინაპარი საგოდებელს ეძახდა – ერთ-ერთი ყველაზე ძველი და ახალი ვერის სასაფლაოა, სადაც სიკვდილს სიჭაბუკით მოსწონს თავი, გაივსო უასაკო საფლავებით. შენმა თანამეცხედრემ მითხრა: "ამდენ ბიჭებში ლამის მრცხვენია ამ ხნის კაცის ტირილიო". არაფერი არ ვუპასუხე, გულში კი გავიფიქრე: სიბერე სულაც არ არის ასაკის ფენომენი, ვერაზე ბიჭები გვიან, ან სულაც არ ბერდებიან, როგორ პარადოქსალურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ ან მოგეთქმევინოთ ეს სიტყვები. პატარა თიკა ჯამბურიას სიმღერა ხომ მოგისმენიათ!.. მას უთქვამს, ჩვენ ვცელქობთ, რომ არ დავბერდეთო.

მეცა მაქვს ვერელობის ასახსნელი ჩემი "ალგორითმი".

ღმერთმა არ მომცა სიბერის ნიჭი
და ვრჩები ასე ბებერი ბიჭი!

ბიჭობაში, ვერის სასაფლაოზე ვმეცადინეობდით ბიჭები და სწორედ მაშინ წავაწყდი ერთი საფლავის ქვას, რომლის წარწერამ გამაოცა. რუსული სტროფი დაახლოებით ასე ჟღერდა ქართულად: "გუშინ საფლავის ქვაზე წარწერას ვკითხულობდი და ვფიქრობდი ამ ცხოვრების ანა-ბანაზე... ერთ-ორს ვუთხარი რისთვის წახვედი, დანარჩენებს კი – რა გინდოდათ ამ ქვეყანაზე?"

აი, სწორედ იმ თითო-ოროლა კაცში ხარ ჩემო თენგიზ, რომლის საფლავს თბილისელი კაცი გულგრილად ვერ ჩაუვლის.

"საფლავშიც, აქაც, იქაც" – მღერის შენი ხავერდოვანი ხმა და მახსენდება ზაურ ბოლქვაძის სიტყვები:

"...მიწა ვარ, ცა ვარ!
... სივრცე ვარ, დრო ვარ!
მომენატრება სიკვდილი – წავალ,
მომენატრება სიცოცხლე – მოვალ!"

შენს კეთილ გულს რა გააჩერებს, შენს ლამაზ ხმას რა მოკლავს. ერთხელ უკვე ვთქვი და ვიმეორებ: ისეთი ხმა გქონდა რიკოთის უღელტეხილზე რომ დაესვით – აღმოსავლეთ საქართველოსაც ეყოფოდა შენი ბანი და დასავლეთ საქართველოსაც!!!

და მაინც აქ, სასაფლაოზე ყველაზე დიდი მუსიკა სიჩუმეა. რადგან დოსტოევსკისა არ იყოს – სასაფლაო სიჩუმისა და მოწყენილობის ზეიმის საუფლოა და ვერის სასაფლაო – ელისიონის კუნძულს ჰგავს, სადაც მართალნი, ნეტარნი განისვენებენ.

ვიკიგები ჩრდილოეთის ქარებმა შექმნესო. თუ ასეა, მაშინ საქართველო მრავალჟამიერის ქვეყანაა! ამ უკვდავი ჰიმნების – ქართული ჰიმნოგრაფიული სახარების ერთი ავტორი – კლასიკოსი, შენი ღვიძლი ძმა და მეგობარი ჯანსულ კახიძეა. მისი "მრავალჟამიერი" პირველად თქვენმა პირველმა "შვიდკაცამ" შეასრულა, ოქროს ბიჭებად რომ დაგვიბრუნდნენ საერთაშორისო მუსიკალური ასპარეზიდან.

რა დრო მოერევა ამ მრავალჟამიერს!

შენ დანატოვარ ხსოვნასა და შთამომავლობას ღმერთი არ მიატოვებს. შენისთანები თბილისს დასავიწყებლად არ ემეტება.

ჩემო თენგიზ! ხვალ 13 ივნისს ვერის ეკლესიის წინამძღვარი მამა გიორგი, ვერელი მგალობელი ბიჭები, შენი კაიკაცობისა და სიმღერის ვალში, პანაშვიდს გადაგიხდიან ერთი სულითა და ხორცით ლამაზი კაცის სულის მოსახსენებლად.

ეკლესიასტეში წერია: "ყოველივეს თავისი დრო აქვს და ყველაფერს თავისი ჟამი ამ ცისქვეშეთში...
ჟამი გლოვისა და ჟამი ლხენისა."

თენგიზ კორინთელო! ადრე წასული კიდევ ერთი ჩვენი თაობის გენიალური კაცის – კაკო ბაქრაძის საფლავის ქვის წარწერის პერიფრაზით გეტყვი: შენ ის კაცი ხარ, ვისაც სულის უკვდავებისა სჯერა და ამიტომ ისე წახვედი, არც დაგვემშვიდობე!

თენგიზ კორინთელო! ხვალ – 13 ივნისს შენი დაბადების დღეა, 70 წლისთავი!

კაი კაცის მოგონება პატივს მიაგებს არა მარტო მას, ვისაც იხსენებენ, არამედ მასაც ვინც იხსენებს.

ჭირის სუფრაზე შენი შესანდობარი შევსვით, ახლა – 70 წლისთავზე შენს სადღეგრძელოს ვსვამთ. გაგიმარჯოს ორთავ სოფელში!

# რამდენიმე რეცეპტი ხელოვნების მოყვარული დიასახლისებისათვის

ნინო ჭანიშვილი

ჩვენი ცხოვრების უმეტეს ნაწილს დიზაინერები განაგებენ. ბოლო წლებია ისინი უკვე ყველგან ბატონობენ – ყველანაირ რეკლამებში, ჩვენს ოფისებში და ბინებშიც კი. დიზაინერთა ექსპანსიის თავიდან ასაცილებლად, მით უმეტეს, როცა საშუალება არ გვაქვს მათი დახმარება მივიღოთ, გარემო თავად უნდა მოვიწყოთ. თუმცა, რიგ შემთხვევებში ხელს არ შეგვიშლის, თუ მათ მიერ წლების განმავლობაში შემუშავებულ პრინციპებს გამოვიყენებთ.

დღეს კი იმის შესახებ, თუ როგორ შევურჩიოთ სურათებს ჩარჩო და როგორ ჩამოვკიდოთ კედლებზე. სურათებმა ხომ სხვა ნივთებთან ერთად ჩვენთვის სასურველი განწყობა უნდა შეგვიქმნან.

პირველ რიგში, ჩარჩო სურათს უნდა მივუსადაგოთ და არა ინტერიერს ან კედლის ფერს. თუ ასე მოიქცევით, როცა კედლებს გადაღებავთ ან სურათს სხვაგან გადაკიდებთ ახალი ჩარჩოს შეკვეთა აღარ მოგიწევთ. ყველა ტიპის ნამუშევარს შესაბამისი ჩარჩო ესაჭიროება.

დიზაინერები მიიჩნევენ, რომ ქაღალდზე შესრულებულ ნამუშევარს უდავოდ პასპარტუ უხდება. პასპარტუ შეიძლება სხვადასხვა ფერის იყოს. მაგალითად მუქი პასპარტუ ნამუშევრის თბილ ან ცივ ტონალობას კიდევ უფრო გამოკვეთს. ნამუშევრის მკრთალი სილამაზე რომ არ დაიჩრდილოს, აკვარელს ღია ფერის ან სულაც თეთრი პასპარტუ ესაჭიროება. გარდა ამისა, პასპარტუზე ორნამენტების გამოყენება, გამომსახველობითი ხერხია, რამაც ნამუშევართან ერთად შეიძლება ერთიანი ანსამბლი შექმნას.

ქაღალდზე შესრულებული ნამუშევარი ყოველთვის მინის ქვეშ უნდა მოვათავსოთ. საშიშროებას არა მარტო მტვერი და ჭუჭყი წარმოადგენს, არამედ შუქიც. ულტრაიისფერი სხივები ქაღალდს აყვითლებენ, ფერები კი უფერულდება. ამიტომ საჭიროა სპეციალური დამცავი მინები, ამასთან ქაღალდი მინას არ უნდა ეხებოდეს.

ნახშირის და ტუშის ნახატები ყველაზე კარგად მკაცრ, მუქი ფერის ჩარჩოებში გამოიყურება. ამ შემთხვევაში უმჯობესია ვიწრო ჩარჩოს გამოყენება, რადგან ფართო ჩარჩო, მით უფრო მორთულობით, ნახატის დინამიკას ჩაახშობს.

ძველ სურათებს ასევე ძველი ჩარჩოები უხდება. რა თქმა უნდა მოდერნისტულ სურათს მოოქროვილი, მასიური ჩარჩო არ მოუხდება. მინიმალისტურ სურათებს სადა და მკაცრი ჩარჩოები ესჭიროებათ. თუმცა, გამონაკლისებიც არსებობს და შეიძლება თანამედროვე სურათს ძველი მოჩუქურთმებული ჩარჩოც მოუხდეს ანუ შეიქმნას გარკვეული კონტრასტი. მაგრამ უმეტეს შემთხვევაში, ამ ორი განსხვავებული სამყაროს შეერთება კრახით სრულდება. რაც შეეხება ძველი ხის ჩარჩოებს, ისინი თითქმის ყველა დროის და სტილის ნამუშევარს წარმატებით ერგება.

სურათის დაკიდებისას, პირველ რიგში, თავიდან უნდა ავიცილოთ შეცდომა, როდესაც თავიანთ შედევრებს პატრონები ძალიან მაღლა კიდებენ. არ უნდა დაგვავიწყდეს - სურათს იმისთვის ვკიდებთ, რომ მოხერხებულად ვუმზიროთ. უნდა გაითვალისწინოთ თავად ოთახის პროპორციები. თუ თქვენს სახლში მაღალი ჭერია და სურათები პატარა ზომისაა, უმჯობესია ისინი რიგებად ჩამოკიდოთ, რომლებიც თავმოყრილი იქნება ყველაზე დიდი ექსპონატის გარშემო. ყველა დიზაინერი იმ აზრისაა, რომ თუ სურათებს დივანის თავზე კიდებთ, ჯობია მათ შორის დიდი თავისუფალი ადგილი არ დატოვოთ. თუ დიდი სურათები არ გაქვთ, კარგი იქნება დივანის თავზე რამდენიმე პატარა სურათის განთავსება.

საერთოდ "ჯგუფური" დაკიდება ყოველთვის ეფექტური და მომგებიანია. ჯგუფური დაკიდებისას სურათები ერთი სტილის უნდა იყოს; ვთქვათ: რამდენიმე აკვარელი, ან სურათების სერია ერთ თემაზე, შავ-თეთრი ფოტოები ან გრავიურები.

თუკი ერთ კედელზე სხვადასხვა მხატვრული დონის ნამუშევრებს ჩამოჰკიდებთ, მაშინ სუსტი ნამუშევრები შედევრებთან მეზობლობით უფრო მოიგებენ. თუ სახლში ბუხარი გაქვთ, მის თავზე შეიძლება დიდი ზომის სურათი ჩამოკიდოთ და ის მაშინვე კომპოზიციურ ცენტრად იქცევა. თუმცა, ზოგიერთი დიზანიერის აზრით, პირიქით, ბუხრის თავზე უმჯობესია პატარა სურათი განათავსოთ.

რაც შეეხება განათებას, თითქმის ყველა დიზაინერი იმ აზრისაა, რომ უმჯობესია ოთახს ერთიანი, კარგი განათება ჰქონდეს, ვიდრე ყოველ სურათს დამოუკიდებელი. თუმცა, ძალიან მნიშვნელოვანი, დიდი ზომის სურათისთვის, როცა სინათლის წყარო არასაკმარისია - რეკომენდირებულია დამატებითი განათების გამოყენება. ასეთ დროს იდეალური ვარიანტია, როცა განათება სურათის ჩარჩოშია ჩამონტაჟებული.

სურათების შერჩევის და განლაგების საქმეში დიზაინერებთან ერთად ასტროლოგებიც ერთვებიან. მაგალითად ლომის ნიშნით დაბადებულ ადამიანებს ურჩევენ საკუთარი პორტრეტი დაიკიდონ ბუხრის თავზე; ტყუპებისთვის აუცილებელია ექსტრავაგანტული სურათი და ისიც ცოტა ირიბად ჩამოკიდებული. მშვილდოსნებს, თავისუფლების მოყვარულ ადამიანებს ურჩევენ მაინცდამაინც არ გადატვირთონ თავიანთი კედლები. მერწყული თუ როდესმე ასეთ ნაბიჯს გადადგამს, მაშინ სუპერთანამედროვე ნახატს ან სულაც ჰოლოგრამას ჩამოიკიდებს. თხის რქას კი სავსებით დააკმაყოფილებს იმპრესიონისტული სურათები ან სოფლის პეიზაჟები.

# ბლიოტკინიანა თბილისში

## პეტრე ბლიოტკინის 100 წლის იუბილეს თბილისის სამხატვრო გალერეები აღნიშნავენ

თეონა ჯაფარიძე

თბილისში ნამდვილი "ბლიოტკინიანა" დაიწყო. "ბლიოტკინიანა" – ამ გამოთქმამ დიდი მხატვრის საიუბილეო გამოფენის გახსნაზე გუშინ N გალერეაში მხატვარ ჯოვანი ვეფხვაძის მეტად ემოციურ გამოსვლაში გაიჟღერა. და ეს დღეები, ალბათ, მართლაც სერიული ხასიათის იქნება თბილისელ მხატვართა წრეებისათვის, იმიტომ, რომ 11, 12 და 13 ივნისს პეტრე ბლიოტკინის ტილოები N გალერეაში, გალერეა "ვერნისაჟსა" და ბაიას გალერეა "არტ ორიენტში" გამოიფინება. შესაბამისად "24 საათი" კვალდაკვალ გაჰყვება ამ გამოფენათა ციკლს მხატვრების, გალერისტების, ხელოვნებათმცოდნეების, კოლექციონერებისა და მხატვრის ახლობელთა თანხლებით.

მხატვრის ახლობლები ვახსენეთ: - გაცნობებთ, რომ სამივე გალერეაში წარმოდგენილი ნამუშევრები მხატვრის ოჯახის კუთვნილებაა, განსხვავებით ამ ერთი კვირის წინ, გალერეა "ჰობში" გამოფენილი ბლიოტკინის ტილოებისა, რომელიც გივი ფარასტაშვილის კერძო კოლექციას ეკუთვნოდა. გუშინ N გალერეაში პატივი გვქონდა მხატვრის შვილს - ბატონ ნიკა ბლიოტკინს გავცნობოდეთ. სწორედ მისგან შევიტყვეთ რამდენიმე საინტერესო შტრიხი დღეს უკვე კლასიკოსად ქცეული მხატვრის ცხოვრებიდან: "ჩვენი წინაპრები თბილისში მე-16-ე, მე-17-ე საუკუნეში ჩამოსულან რუსეთიდან. "მალაკნები" იყვნენ. გვარი შეიცვალეს. ბლიოტკინი – ეს ხელოვნურად გამოგონილი გვარია. საერთოდ, სისხლში რუსული, გერმანული და რუმინული გენები გვირევია." – მიხსნის ოდნავ აქცენტიანი დიქციით ბატონი ნიკა, რომელიც პროფესიით ენერგეტიკოსია და რომელიც სახლში მამის ტილოების უზარმაზარ კოლექციას უვლის: "ნამუშევრები იშვიათად გამომაქვს გასაყიდად. მათი გაყიდვა მამასაც არ უყვარდა. არ ემეტებოდა. მინდა მისი საუკეთესო ნამუშევრების ორიგინალები მისმა შთამომავლებმაც ნახონ. მუზეუმებში, კერძო კოლექციებში აქ თუ დასავლეთში, ისინი უკვე ისედაც ინახება" – ამბობს მხატვრის ვაჟი. პეტრე ბლიოტკინს პრინციპული ხასიათი ჰქონია: ერთხელ მისი ორი ტილო ტრეტიაკოვის გალერეას შეუძენია. მხატვარს არ მოსწონებია გალერეის ექსპოზიციაში მისი განთავსების ადგილი, ტილოები ჩამოუხსნია და სახლში დაუბრუნებია.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

ავტოპორტრეტი

N გალერეაში წარმოდგენილი ნამუშევრები (ისევე როგორც ბლიოტკინის შემოქმედება) თემატურად შეზღუდული არ არის: აქ გამოფენილია მხატვრის მიერ შექმნილი ნატურმორტები, პეიზაჟები, მისი ცნობილი ნიუები და აბსტრაქციები. ბატონი ნიკა ერთდროულად რამდენიმე აბსტრაქციაზე (უფრო კონკრეტულად კი მათი შექმნის თარიღზე) მიმითითებს: ეს 1932, 1933 და 1937 წლებია. "იმ პერიოდში ცენტრალური პრესა ამ აბსტრაქციების გამო მას ფორმალიზმში ადანაშაულებდა" – იხსენებს ის.

როგორც გალერისტმა და ხელოვნებათმცოდნე ნინო მეტრეველმა აღნიშნა, N გალერეაში მხატვრის ოთხმოცამდე ტილო, ერთი თვის მანძილზე იქნება გამოფენილი და თქვენ შესაძლებლობა გექნებათ 21-ე საუკუნიდან თვალი გადაავლოთ მხატვრის უკვე კლასიკად ქცეულ მონასმებს. მან ხომ გასული საუკუნის 20-იან წლებში, აქ ჩვენთან, თბილისში, დიდი ოსტატების – შმერლინგის, ლანსერეს, შარლემანის, თათევოსიანისა და ნიკოლაძის სკოლა გაიარა მისი პედაგოდები ხომ მხატვრობას პეტერბურგში, პარიზსა და მიუნხენში ეზიარენ. (გავიხსენოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ იაკობ ნიკოლაძემ ერთი წელი როდენის სახელოსნოში დაჰყო). სწორედ ეს ადამიანები დახვდნენ 20-იან წლებში მომავალ მხატვარს ახლად დაარსებულ სამხატვრო აკადემიაში და სწორედ ამიტომ სუნთქავს მისი ფერწერა დასავლური ჰაერით.

დღეს ჩვენ გალერეა "ვერნისაჟში" გადავინაცვლებთ, სადაც მხატვრის ნამუშევართა კიდევ ერთი ახალი ექსპოზიცია გველოდება. რიგში კი ბაიას გალერეა "არტ ორიენტი" დგას, რათა ბლიოტკინის თაყვანისმცემლებს უმასპინძლოს.

# თბილისის წიგნის ფესტივალი ხუთი წლისაა

### ახალი წიგნები, ახალი ამბები და ახალი მემარჯვენეები

პირველი გვერდიდან

ეს არის შეხვედრა იმ ადამიანებთან, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს, ჩვენ წიგნთან რომ დავრჩენილიყავით. ეს იქნება პროექტი, რომელსაც არასოდეს ექნება დასასრული," – ამბობს დავით გამყრელიძე, წლევანდელი ფესტივალის ერთ-ერთი თანაორგანიზატორი. ფესტივალზე სიახლეა, მას ორგანიზატორის – საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის გარდა, თანაორგანიზატორიც ჰყავს "ახალი მემარჯვენეების" სახით.

ფესტივალის გახსნაზე მიხეილ სააკაშვილის (ეს ის მიშაა, რომლის გამოჩენასაც ელოდნენ) გამოსვლა მის სატელევიზიო პოლიტიკურ გამოსვლებს ჰგავდა. მან ჯერ იმაზე ისაუბრა, რომ ასეთ გაჭირვებულ პირობებშიც კი არ უნდა დაზოგო თანხები ასეთი საქმისთვის, მერე მწერლებს მიესალმა, მისალმებას კი პოლიტიკური ლოზუნგები მოაყოლა: "როცა ასეთი მზარდი რაოდენობაა გაბრაზებული, არაკვალიფიცირებული და განათლებას მოკლებული ხალხისა (თუმცა ეს მათი ბრალი არ არის), ქვეყანაში ყველაზე დიდი საფრთხე გაუნათლებელთა დიქტატურაა." მიხეილ სააკაშვილმა ის მზა რეცეპტიც შემოგვთავაზა, რომლის გათვალისწინების შემთხვევაში საქართველო არც ლუკაშენკოს ბელარუსს დაემსგავსება და არც თურქმენეთს, და გვითხრა, რომ მთავარია ცოდნა და მოქალაქეობრივი პოზიციის გამოხატვა, და თუ არაფერს ვილონებთ, ყველანი გავხდებით შევარდნაძის ხნის და ისევ შევარდნაძე იჯდება ქვეყნის სათავეში. თქვა და წიგნების დახლებს დაუყვა ამ სიტყვებით: მე აქ მოვედი, როგორც ერთ-ერთი მკითხველი და არა როგორც პოლიტიკოსიო.

კულტურის მინისტრი სესილი გოგიბერიძე მშვენიერი ინიციატივით გამოვიდა, კარგი იქნება, თუ ამ დარბაზში ისეთი სპონსორებიც გამოჩნდებიან, ვინც წიგნებს უპოვარი ბიბლიოთეკებისთვისაც შეიძენენო. ეს ინიციატივა მაშინვე აიტაცა დავით გამყრელიძემ, რომელმაც გადაწყვიტა, წიგნები საქართველოს რაიონების ბიბლიოთეკებისთვის შეიძინოს და ფესტივალის მონაწილეებსაც მოუწოდა – გამოგვეხმაურეთო.

წიგნის ფესტივალი თბილისში წელს უკვე მეხუთედ იმართება. დამეთანხმებით, ხუთწლიანი იუბილე საკმაოდ სოლიდური თარიღია და უკვე შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ წიგნის ფესტივალი ჩვენს დედაქალაქში ტრადიციად იქცა, კარგ, კეთილშობილურ, წიგნიერ ტრადიციად.

თბილისის წიგნის ბაზრობებზე წლიდან წლამდე იზრდება მონაწილეთა, დამთვალიერებელთა და მყიდველთა რიცხვი. შარშან 69 მონაწილე იყო, წელს მონაწილეთა რიცხვმა უკვე 80-ს გადააჭარბა და გუშინ საღამოსთვის კიდევ მოდიოდნენ და მოდიოდნენ მონაწილეობის მსურველები. შესაბამისად, წელს გაიზარდა ნაბეჭდი პროდუქციის რაოდენობა. რამდენიმე ორგანიზაცია უკვე ითვლის 2003 წელს გამოცემული წიგნების დასახელებებს, გამომცემლების წინასწარი მონაცემებით, შარშანდელი მაჩვენებელი თითქმის გაორმაგებული უნდა იყოს. ამასთან, საგრძნობლად გაუმჯობესებულია გამოცემათა ხარისხი და გამრავალფეროვნებულია შინაარსობრივი მხარე. წელს უკვე მნიშვნელოვანი ძვრები შეინიშნება ელექტრონულ გამოცემებში: პირველმა ელექტრონულმა გამომცემლობამ მესამე წიგნი გამოსცა – ვაჟაფშაველას ელექტრონული ვერსია, რომლის პრეზენტაციაც 13 ივნისს გაიმართება; აქტიურად მუშაობს "ტექინფორმი" და ახლად გამოჩენილი "ნეომედია". გაიზარდა იმ მონაწილეთა რიცხვიც, რომლებიც გამომცემლები არ არიან, მაგრამ საგამომცემლო საქმიანობას ეწევიან - ესენია NGO-ები, ფონდები და სხვა ორგანიზაციები, მათ შორის "რუსთავი 2 პრინტი", რომელმაც სამი ახალი გამოცემა წარმოგვიდგინა. ამ გამოცემების პრეზენტაცია 13 ივნისისთვის არის დაგეგმილი.


ამდენი მუქლუგუნი პურის რიგშიც არ მომხვედრია

წლიდან წლამდე იზრდება ფესტივალის განფენილობის მასშტაბებიც. პირველი ფესტივალი ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩატარდა, მეორე – ეროვნულ გალერეაში, მესამე ფილარმონიის ფოიეს ერთ მონაკვეთში, მეოთხე - ფილარმონიის მთელ ფოიეში, მეხუთემ კი ფილარმონიის ორივე სართული მოიცვა. ეს წიგნის კიდევ ერთი გამარჯვებაა.

V ფესტივალის კიდევ ერთი სიახლე არის ისიც, რომ წელს ეს მთლიანად ქართული პროექტია, ეს ნიშნავს, რომ მას მხოლოდ ქართული მხარე აფინანსებს. ორგანიზატორები: წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია, თანაორგანიზატორი: "ახალი მემარჯვენეები", გენერალური სპონსორი: "ჯორჯია ონლაინი", სპონსორები: თბილისის საკრებულო და თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახური, საინფორმაციო მხარდაჭერა: "რუსთავი 2" და გაზეთი "24 საათი". "ეს ძალიან სერიოზული ფაქტორია, აქ გაერთიანებულნი არიან პოლიტიკური, სახელმწიფო, არასამთავრობო და ბიზნესსექტორების წარმომადგენლები," – გვეუბნება წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის პრეზიდენტი მერაბ ქათამაძე და საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის: ამ დღეებში წიგნის გამომცემლები, წიგნით მოვაჭრეები ხელს მოაწერენ პროფესიულ კოდექსს, რომელიც მათ მუშაობას დაარეგულირებს, კერძოდ, აქ გათვალისწინებულია ურთიერთობის წესები სუბიექტებს შორის – გამომცემლებს, გამომცემელსა და წიგნით მოვაჭრეს შორის; ვაჭრობის წესები; ფასების სისტემა და სტანდარტები; კეთილსინდისიერი კონკურენციის წესები; დავის გადაჭრის წესები... "ჩვენს სფეროში მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანო არ არსებობს, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენი საქმიანობა თავის ნებაზე იყოს მიშვებული. ჩვენი ასოციაცია ორი წლის განმავლობაში მუშაობდა გერმანელ და პოლონელ ექსპერტებთან ერთად, კოდექსს საფუძვლად დაედო გერმანული მოდელი და ჩვენი გამოცდილება," – განმარტავს მერაბ ქათამაძე.


სპონსორები და ავტორები, მამუკა ხაზარაძე და ლაშა თაბუკაშვილი

კიდევ? – კიდევ ორიოდე სიტყვით საბაზრო ფასებზეც გეტყვით. წელს მნიშვნელოვანი, მასობრივი ფასდაკლებები წიგნის ფესტივალზე არ იქნება. როგორც ორგანიზატორებმა გვითხრეს, წიგნის ბაზრობებზე, ჩვეულებრივ, ასეთ ფასდაკლებებს არ აცხადებენ. გამომცემლებმა ერთმანეთში მოილაპარაკეს და ფასდაკლებით ვაჭრობის, წიგნის ჩუქების და შეწირვის დღედ, ისე როგორც მთელ მსოფლიოში, 23 აპრილი გამოაცხადეს. ეს დღე საქართველოში უკვე ოფიციალურადაც დაწესდა. სხვა შემთხვევებში, მათ შორის ფესტივალზეც, ფასდაკლება უკვე კონკრეტული გამომცემლების ნებაა: უნდა დააკლებს ფასს, უნდა – არა. თუმცა, გარკვეული ფასდაკლება ფესტივალზე მაინც შეინიშნება. მართალია, ძირითადად, მაღაზიის ფასებთან სხვაობა 1 ლარი ან 50 თეთრია, გაჭირვებული მკითხველისთვის ესეც რაღაცას ნიშნავს.

ხშირი ფასდაკლება წიგნის გამოცემა-გავრცელების საქმეს ვნებს კიდეც, - მარტივად აგვიხსნეს გამომცემლებმა, - როდესაც მკითხველმა იცის, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეუძლია წიგნი იაფად შეიძინოს, ის ამ დღეს დაელოდება და, შესაბამისად, წიგნის ბიზნესზე უარყოფით გავლენას იქონიებს, რაც, თავის მხრივ, საგამომცემლო საქმეზე იქონიებს გავლენას. ამიტომ ყველა იმ ქვეყანაში, სადაც წიგნის ბაზრობა ტარდება, ფასდაკლება ხანმოკლე დინამიკური პროცესია, რომელიც არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდესო. "წიგნის ფესტივალი, უპირველეს ყოვლისა, კულტურული ღონისძიებაა, წიგნისა და საავტორო უფლებების დღე კი სოციალური აქციაა", - ამბობენ ორგანიზატორები.


დავით გამყრელიძე: ამ პროექტს დასასრული არასოდეს ექნება

წელს წიგნის ფესტივალზე წიგნი ასეთნაირადაც დააფასეს: ფილარმონიის ფოიეში შესვლა ფასიანია, ბილეთის ფასი უაღრესად სიმბოლური გახლავთ: სულ რაღაც 20 თეთრი, თანაც უამრავი შეღავათია სკოლის ასაკის ბავშვებზე, ინვალიდებზე, ომის მონაწილეებზე, სამხედროებზე, ჟურნალისტებზე, სპეციალურ სტუმრებზე. "ბილეთი იმიტომ შემოვიტანეთ, რომ ყველა ადამიანის შრომა დაფასდეს და ამ შრომას პატივი ვცეთ, უფასო ხომ არაფერი არსებობს, თანაც უცხოეთში ამის პრაქტიკა არის და საკმაოდ ძვირიც ღირს წიგნის ბაზრობებზე შესვლა," – გვიხსნიან ორგანიზატორები. ამ 20 თეთრს, რა თქმა უნდა, არავინ დაუფრთხია, პირიქით, ბილეთის ყიდვა და შესასვლელად პატარა რიგში დგომა დამთვალიერებლისთვის თითქოს უფრო დიდ მნიშვნელობასაც ანიჭებდა ამ ღონისძიებას.

გუშინ ფილარმონიაში ხალხის ნაკადი გვიანობამდე არ წყდებოდა, აქ მოდიოდნენ მწერლები, მეცნიერები, სტუდენტები, მოხუცები, მოდიოდნენ ოჯახებით, მოდიოდნენ განუსაზღვრელი დროით, დაუყვებოდნენ წრეზე ფოიეს, ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, მარცხნიდან მარჯვნივ, მერე მარჯვნიდან მარცხნივ. დაიღლებოდნენ და მეორე სართულზე გადაინაცვლებდნენ, სადაც უკრავდნენ კლასიკურ მუსიკას, სვამდნენ ჩაის ან ყავას და საკუთარ შენაძენს ათვალიერებდნენ. გუშინვე გაიმართა რამდენიმე პრეზენტაცია, მათ შორის, წარადგინეს ოთარ ჭილაძის კრებული "კიბე", რომელიც გამომცემლობა "სანიმ" დასტამბა და ბონდო მაცაბერიძის გამომცემლობის "მითოლოგიური ენციკლოპედია"...

პირველი წიგნის მოყვარული, რომელსაც შესვლისთანავე მოვკარი თვალი, მწერალი და მთარგმნელი გიორგი ლობჟანიძე იყო, აღტაცებას ვერ მალავდა და ერთ-ერთმა ბოლომ დატოვა ფილარმონიის ფოიე: "მივესალმები ფესტივალს. უკვე მეხუთე ბაზრობაა და, რაც მთავარია, სულ უფრო და უფრო იხვეწება, როგორც გამოცემების თვალსაზრისით (ეს ერთი შეხედვისთანავე საგრძნობია), ასევე ორგანიზაციის თვალსაზრისითაც. უბრალოდ, სასურველი იქნებოდა, რომ წიგნის ფესტივალზე უფრო იაფი იყოს წიგნები, მე ვიცი, რომ ეს ძვირი ჯდება, მაგრამ ვფიქრობ, ასეთი კეთილშობილური აქციით უფრო პოპულარული გახდება წიგნი საქართველოში."

წიგნის ფესტივალზე "კმარას" მიმდევრებიც გამოჩნდნენ, ახალგაზრდებს ორივე ხელში ჩაებღუჯათ ფერადი სანიშნეები მსხვილშრიფტიანი წარწერით: "უწიგნურობა კმარა", და დაუზარელად ურიგებდნენ ყველას, ვინც კი გზად შემოხვდებოდათ. მათი პირველივე "მსხვერპლი" ბატონი ვახუშტი კოტეტიშვილი აღმოჩნდა. რა აღარ ხდება?! ბატონმა ვახუშტიმ სანიშნეს დახედა და მხრები აიჩეჩა...

ყველაზე ძალიან ის გამიხარდა, "მარშრუტკაში" რომ ავედი და წიგნებით დატვირთული მგზავრებით გატენილი რომ დამხვდა, თავჩარგულები კითხულობდნენ. ერთი პატარა გოგონაც იყო ბებიასთან ერთად, საბავშვო წიგნს ჩაჰკირკიტებდა და ბებიას ენამოჩლექით ეკითხებოდა: ამ წიგნში ზაფხულის ლექსები წერია თუ ზამთრისო?

თბილისის წიგნის V ფესტივალი გრძელდება და ამ დღეებში უამრავ სიურპრიზს გვთავაზობს.

# ვყიდი წიგნებს!

ანა კორძაია-სამადაშვილი

როცა სტენდთან აღმოვჩნდი, გამახსენდა ერთი ძალიან ცხელი ზაფხულის ძალიან ცხელი შუადღე, როცა მზისგან გავარვარებულ ქუჩაზე გამწარებული "პონჩიკის" გამყიდველი შემომეყარა. ქუჩაში ჩვენს გარდა არავინ იყო, და მან მხოლოდ ჩემს გასაგონად სასოწარკვეთილი ხმით დაიწყო ძახილი: "აუ, რა პონჩიკი მაქვს! აუ, რა ცხელია!" ალბათ, ასევე ჟღერდა გუშინ, თბილისის წიგნის ბაზრობის გახსნაზე ჩემი მოძახილი: "აბა, წიგნები! ყველაზე მაგარი წიგნები!" იმიტომ, რომ მწერალმა დათო ტურაშვილმა მითხრა, ახლავე მოვალო, და მე ვენდე, და ის კი გაუჩინარდა და მეგობარმა მითხრა, თავის ახალ წიგნებთან დგასო. ჰოდა, ვიდექი დახლთან და ძალიან ვცდილობდი დაკისრებული მისიის ღირსეულად შესრულებას.

მართლაც, საპატიო მისია მქონდა: ახალი ქართული გამომცემლობის პირველი წიგნები უნდა გამეყიდა. ამ გამომცემლობის შესახებ არაფერი გსმენიათ, თუმცა სახელწოდება ნაცნობივით ჟღერს - "რუსთავი 2 პრინტი". ის ერთბაშად სამი წიგნით წარდგა თბილისელი მკითხველის წინაშე. მათი ოფიციალური პრეზენტაცია მხოლოდ ხვალ გაიმართება, მანამდე კი ჩემი საქონლის შესახებ ორიოდე სიტყვით მოგახსენებთ.

ესენია კრებული "დღეს", ოთარ ჭილაძის "გოდორი" და ნიკოლოზ რურუას "თავისუფლების კანონი". სამივე წიგნის რედაქტორი მამუკა ხერხეულიძე გახლავთ, და მე არასოდეს დავუვიწყებ, როგორ შევიდა ჩემს მდგომარეობაში – სულ მიღიმოდა და მამხნევებდა.

"დღეს" რედაქტორის მიერ დართული წინასიტყვაობა მოკლე, მაგრამ მრავლისმთქმელია:

"ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ.

ვკითხულობ, ანუ ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ და, რაღა თქმა უნდა, ვცოცხლობ. ქართველ მკითხველს ვულოცავთ არსებობას და ვუსურვებ ოცნებას, მესამე ათასწლეულში, ესე იგი – დღეს".

"დღეს" ჩვენთვის კარგად ცნობილი ავტორების ნაწარმოებების წაკითხვის საშუალება გვაქვს. კრებულში შეტანილია რატი ამაღლობელის, გიგი სულაკაურის და დათო მაღრაძის ლექსები, ლაშა ბუღაძის პიესა "Moralite ანუ რა ესიამოვნა ზაზა კოშკაძეს?", აკა მორჩილაძის "ცეცხლისმფრქვეველი", დათო ტურაშვილის მოთხრობები – მოკლედ, მშვენიერი კრებულია, და მისი რეკლამირება ნამდვილად არ გამჭირვებია, არც სინდისი მქენჯნიდა (ოდესღაც ასეთიც მომსვლია) და არც არაფერი.


მეხუთე ფესტივალს "რუსთავი 2 პრინტიც" შეემატა

მეორე წიგნს, პირველად გამოცემულ ოთარ ჭილაძის რომან "გოდორს", ჩემი კომენტარები და თავდადებული ღიმილი არ დასჭირვებია: ისედაც დაიტაცეს. ყველაზე აქტიურად ეს წიგნი იყიდებოდა, და მთელი იმ დროის განმავლობაში, რომელიც "რუსთავი 2 პრინტის" სტენდთან გავატარე, მასთან დაკავშირებით კმაყოფილი თავის კანტურის გარდა არაფერი შემინიშნავს. საქმე ის გახლავთ, რომ წიგნებით ვაჭრობის დიდი გამოცდილება მაქვს და ვიცი, რომ თბილისელი მუშტარი აუცილებლად თვლის, წიგნი ან ამპარტავნულ-იქედნური სახით და საკმაოდ უდიერად ფურცლოს, ან ფასის გამო აღშფოთდეს: "რა ამბავია!" რა ამბავია, გეთაყვა? "გოდორი" გამონაკლისი აღმოჩნდა.

მესამე წიგნის ამბავი ცოტა სხვანაირი იყო. ნიკოლოზ რურუას კრებულის, "თავისუფლების კანონის" სახელწოდება, როგორც ჩანს, ძალიან მიმზიდველად ჟღერს – მისი ხელში აღება, ფურცვლა (როგორც მოგახსენეთ, არცთუ აკურატულად) და იქვე, დახლთან ჩამოსკუპებით, ერთი-ორი ესსეს გადაკითხვა ჩვეულებრივი ამბავი იყო, რაც ბაზრობის გახსნის აურზაურში, ცოტა არ იყოს, მანერვიულებდა – ისედაც ჩემი გამჭირვებოდა, ხურდა მელეოდა და გამომცემელ მამუკა ხანთაძის მიერ ფულის გადასახურდავებლად გაგზავნილი კეთილმოსურნე ახალგაზრდები ძალიან ნელა ირჯებოდნენ. თავად "თავისუფლების კანონი" ისეთი წიგნი არ გახლავთ, რომელსაც რიგითი მოქალაქე ფუჭი ცნობისმოყვარეობის გამო, უაზრო სნობიზმის კარნახით ან უბრალოდ დროის მოსაკლავად იყიდის, რადგან უფლებათა ბილის მოკლე ისტორია, მესამე ტალღის მომავალი თუ ინდივიდუალურ უფლებათა იურისპრუდენცია, ალბათ, საკმაოდ ვიწრო წრეს აინტერესებს. ჩემს სიტყვებს თავად ავტორის წინათქმა საუკეთესოდ განმარტავს:

"ჩვენი მოკრძალებული სურვილია, რომ წინამდებარე გამოცემამ შეძლოს მისი უმთავრესი სტრატეგიული მიზნის მიღწევა, რაც მდგომარეობს მოქალაქეთა შორის იმ ფუნდამენტური იდეის დანერგვასა და განმტკიცებაში, რომ კანონი არა მარტო ის მექანიზმია, რომელიც მოქალაქეთ რამეს უკრძალავს, არამედ ის ინსტრუმენტი, რომელიც მათ მოქმედებასა და განვითარებას რაოდენობრივად მეტსა და ხარისხობრივად უფრო ღირებულ თავისუფლებას ანიჭებს". მე სრულიად აღტაცებული ვარ ბატონი ნიკოლოზის ოპტიმიზმით, და თუ ჩემს მიერ რამდენიმე წიგნის გაყიდვის ფაქტი ამ საქმეში იოტისოდენა წვლილს მაინც შეიტანს, ძალიან ამაყი ვიქნები.

ამაყი ისედაც ვიყავი, რადგან სტენდთან მოსულებმა "რუსთავი 2 პრინტის" წიგნები აშკარად მოიწონეს. მე რატომ ვამაყობდი, უცნობია, არც ავტორი ვიყავი, არც გამომცემელი, მაგრამ მაინც! საერთოდ, წიგნის გაყიდვისას ეს ბრიყვული სიხარული ყოველთვის მიპყრობდა ხოლმე – ჩემი მეგობრების თქმით, შარშანწინდელ ბაზრობაზე ისეთი სახით ვყიდდი მამუკა ლეკიაშვილის კრებულს, თითქოს ავტორი ჩემი გაზრდილი ყოფილიყო, ხოლო თუ ჩემს საკუთარ პროდუქციას წარვადგენ ხოლმე, ხომ მთლად აუტანლად მებადრება სახე... მაგრამ ცუდი გამყიდველი ნამდვილად არ ვარ. თუ ამ დღეებში ფილარმონიაში, თბილისის წიგნის ბაზრობაზე მობრძანდებით, ამაში თავადაც დარწმუნდებით.

## ინფოთეკა

### ბლატერი სამხრეთამერიკელებს არ ეთანხმება

ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი სამხრეთ ამერიკის კონფედერაციის წინადადების წინააღმდეგია. სამხრეთამერიკელები მსოფლიო ჩემპიონატზე მონაწილე გუნდების 36-მდე გაზრდის წინადადებით გამოდიოდნენ.

"პირადად მე 32 გუნდის შენარჩუნების მომხრე ვარ. ამგვარი წინადადება თავად მსოფლიო ჩემპიონატის გამართვას უქმნის საფრთხეს, - "Frankfurter Allgemeine Zeitung" -თან საუბარში განაცხადა ბლატერმა. გარდა ამისა, დასძინა, ფიფას პრეზიდენტის რანგში მესამე ვადითაც ვიყრი კენჭსო: "როდესაც ვაცხადებდი, რომ პრეზიდენტის პოსტის მიტოვებას ვაპირებდი, მაშინ ბევრად მშვიდი ვითარება იყო. ახლა კი მსოფლიოში ატიპური პნევმონია მძვინვარებს, ისევე როგორც ომი და კრიზისი გლობალურ ეკონომიკაში. ასეთ ვითარებაში თანამდებობიდან წასვლა უკან დახევის ტოლფასი იქნება".

### სტენლის თასის ტრანსლაციით პროცენტები გაიზარდა

სტენლის თასის გათამაშების ადრეულ ეტაპებზე მთავარი ფავორიტების - დეტროიტის", "კოლორადოსა" და "დალასის" გამოვარდნის შემდეგ ამერიკულ ტელეკომპანიათა მოხელეები სინანულით აღნიშნავდნენ ტრანსლაციებზე რეიტინგის დაცემას. მეტიც, შიშით შეჰყურებდნენ ფინალში გასულ "ნიუ ჯერსისა" და "ანაჰაიმსაც". თუმცა, პირიქით მოხდა. ვითარება არცთუ ისე დრამატული აღმოჩნდა.

ფინალური სერიის მეშვიდე დაპირისპირებამ ტელეკომპანია ABC-ის რეკორდიც კი დაამყარა. ფინალური სერიის გადამწყვეტ შეხვედრას ქვეყნის მოსახლეობის 4,6 პროცენტმა უყურა. მანამდე ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 4,2 პროცენტი იყო. ასეთი მაჩვენებელი კი შარშან ფინალური სერიის მეხუთე მატჩში "დეტროიტსა" და "კაროლინას" შორის, 2001 წელს მეშვიდე ფინალურ მატჩში "კოლორადოსა" და "ნიუ ჯერსის" და ფინალური სერიის მეექვსე შეხვედრაში 2000 წელს "დალასსა" და "ნიუ ჯერსს" შორის დაფიქსირდა.

### შესაძლოა, ფორმულა 1 დივიზიონებად დაიყოს

ახლო მომავალში სავსებით შესაძლებელია ფორმულა 1-ში ორი – უმაღლესი და პირველი დივიზიონები გაჩნდეს. ასეთი რამ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (ფია) პრეზიდენტის მაქს მოსლის იდეა განხორციელდება.

"შემიძლია წარმოვადგინო ისეთი სისტემა, როგორიც, მაგალითად, ფეხბურთში არსებობს", - გერმანულ ჟურნალ "Auto Motor und Sport"-თან საუბრისას აცხადებს მოსლი.

საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტის თქმით, ბევრად გონივრული იქნება, თუ დავუბრუნდებით ფორმულა 2-ს, რომელიც ამჟამად არსებულ ავტორბოლათა ოთხ სერიას შეცვლის: "ამ შემთხვევაში მეორე დივიზიონის საუკეთესო გუნდებს საშუალება მიეცემათ, ფორმულა 1-ში იასპარეზონ, ხოლო უარესები ფორმულა 2-ში ჩამოქვეითდებიან".

### ტოტის ტრანსფერში ბერლუსკონიც ჩარიეს

ფრანჩესკო ტოტის "მილანში" გადასვლის საკითხს უმაღლეს დონეზე განიხილავენ.

"შავ-წითლების" ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი დარწმუნებულია, რომ "რომასთან" იტალიის ნაკრების წევრის თაობაზე მოლაპარაკების დრო დადგა. ასევე აცხადებს, რომ გასარკვევია, თუ რამდენს ითხოვს ტოტის სანაცვლოდ "რომას" პრეზიდენტი ფრანკო სენსი. თუმცა, ბევრს საეჭვოდ მიაჩნია, საერთოდ შესაძლებელია კი, გალიანიმ სენსისთან მოლაპარაკება დამოუკიდებლად აწარმოოს, რადგან საკმაოდ ცუდი ურთიერთობა აქვთ ერთმანეთშიო. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სენსისთან მოლაპარაკებაში მონაწილეობას მიიღებს "მილანის" პრეზიდენტი და, იმავდროულად, იტალიის პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი.

რაც შეეხება თანხას, ჩემპიონთა ლიგის მომგები კლუბი მზადაა, ტოტის სანაცვლოდ 20 მილიონი ფუნტი სტერლინგი გადაიხადოს და, ამასთან, "მზითევში", ორი მოთამაშე - რუი კოშტა და დალ ტომასონი (ან რიკე ჟუნიორი) გაატანოს.

### ყირგიზეთში ფრანგი ექსტრემალი დაიღუპა

მულტისპორტში მსოფლიო ჩემპიონატის პირველი დღე საფრანგეთის გუნდისთვის ტრაგიკულად დასრულდა. ყირგიზეთში მიმდინარე ასპარეზობაში საფრანგეთის გუნდის ENDURANCE-AGF 46 წლის წევრმა დომინიკ რობერმა კანოე ვერ დაიმორჩილა და, ამოტრიალებულმა, თავი ქვას დაარტყა. თვალის დახამხამებაში გაჩენილი სასწრაფო დახმარების პერსონალის დიდი მცდელობის მიუხედავად, სპორტსმენი ქალის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

აღსანიშნავია, რომ ექსტრემალურ-სათავგადასავლო რბოლა "რეიდ გალუაზისთვის" აქამდე დსთ-ს არც ერთ ქვეყანას არ უმასპინძლია. მსოფლიოს მე-12 ჩემპიონატში მონაწილეობას იღებს 18 ქვეყნის 36 გუნდი. ასპარეზობის მარშრუტი ყირგიზეთის მთელ ტერიტორიას - ჩრდილოეთიდან სამხრეთით 950 კილომეტრს მოიცავს. ორგანიზატორები ვარაუდობენ, რომ ამ მანძილს შეჯიბრების მონაწილეები 7-10 დღეში გადალახავენ. ამ ხნის განმავლობაში ისინი ურთიერთობას გაარკვევენ როგორც რაფტინგში, ისე ნიჩბოსნობაში, ველორბოლაში, ცხენოსნობაში, მეკლდეურობასა და სხვა ექსტრემალურ სახეობებში.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ნიუკასლის" 32 წლის კაპიტანს ალან შირერს იმედი აქვს, რომ ახალი სეზონის დაწყებამდე დაშავებულ ტერფს მოიშუშებს: "თანაგუნდელებს 3 ივლისს შევუერთდები, თუმცა, კლუბის ფიზიოთერაპევტი მირჩევს, კიდევ ცოტა ხანს მოვიცადო".

■ ■ ■

**ფეხბურთი.** არგენტინელმა კლაუდიო კანიჯამ "რეინჯერსის" მწვრთნელს ალექს მაკლიშს ცრუ და ორპირი უწოდა. კანიჯას თქმით, მწვრთნელი რეინჯერების გაჩემპიონების შემთხვევაში მას გუნდში დატოვებას შეჰპირდა, მაგრამ მერე რატომღაც გადაიფიქრა და თავდამსხმელი ტრანსფერზე დააყენა. არგენტინელი არც ამას დასჯერდა და შეცდომად ჩათვალა ის, რომ მაკლიში ქვეყნის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს: "ჩემპიონობას "რეინჯერსი" "სელტიკს" უნდა უმადლოდეს. მეტოქემ დიდი ძალა დახარჯა ევროთასებზე ბრძოლაში და ამიტომაც ვერ შეძლო ჩემპიონობა, თორემ "სელტიკი" გაცილებით უკეთესი კლუბია. ამიტომ შეცდომად მიმაჩნია საუკეთესო მწვრთნელად მაკლიშის დასახელება".

■ ■ ■

**ფეხბურთი.** გლაზგოს "სელტიკის" ერთ-ერთმა უდიდესმა აქციონერმა, ირლანდიელმა დერმოტ დესმონდმა მწვრთნელს, მარტინ ონილს ფულის ეკონომიურად ხარჯვისკენ მოუწოდა. მისი თქმით, "სელტიკი" ფინანსურად სტაბილური გუნდი ახლახან გახდა და შემადგენლობის გასაძლიერებლად დიდი ფულის ხარჯვა შესაძლოა კლუბისთვის ძალიან საზიანო გამოდგეს. ონილი მომავალი სეზონისთვის შემადგენლობის გაძლიერებას აპირებს და საამისოდ დაახლოებით 20 მილიონი გირვანქის გამოყენება სურდა, მაგრამ დესმონდმა განაცხადა, რომ მწვრთნელს მოთამაშეთა ყიდვა მხოლოდ სხვათა გაყიდვით შემოსული თანხებით შეეძლება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ინგლისელი პოლ გასკოინი კარიერას კვლავაც ჩინეთის მეორე დივიზიონის კლუბში, "ჰანსუ ტიანმაში" გააგრძლებს. ჩინელებს ფეხბურთელის დაკარგვისა მაშინ შეეშინდათ, როცა შვებულებაში გასული გაზა კლუბს არ დაუბრუნდა, თუმცა, კლუბის ხელმძღვანელობას ფეხბურთელის აგენტი დაუკავშირდა და აცნობა, რომ გასკოინი თამაშს კვლავაც მათთან გააგრძელებს.

## TV-პროგრამა

### ხუთშაბათი. 12 ივნისი

**НТВ + ФУТБОЛ**

06:15 ბრაზილიის თასი. ფინალი. "კრუზეირო" - "ფლამენგო". საპასუხო მატჩი.
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ლიბერტადორესის თასი. ნახევარფინალი.
15:00 რუსეთის ჩემპიონატი. "სპარტაკ-ალანია" - "ზენიტი"
16:45 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
17:15 "FUTBOL MUNDIAL"
17:55 "ტორპედო-მეტალურგი" - "ტორპედო". პირდაპირი ტრანსლაცია
19:55 თავისუფალი დარტყმა
20:10 სახვალიო ტელეპროგრამა
20:15 ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. ნორვეგია - რუმინეთი
22:00 რუსეთის ჩემპიონატი.
23:00 მიმოხილვა. ევრო-2004
23:30 ბრაზილიის თასი. ფინალი "კრუზეირო" - "ფლამენგო". საპასუხო მატჩი
01:15 ლიბერტადორესის თასი. ნახევარფინალი. "ბოკა ხუნიორსი" - "ამერიკა კალი"
03:00 03:00-დან 12:00-მდე შესვენება
04:05 ლიბერტადორესის თასი. ნახევარფინალი. "ბოკა ხუნიორსი" - "ამერიკა კალი". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ + СПОРТ**

11:00, 14:15, 17:30, 21:00 "პრეს-ცენტრი"
11:15, 21:15 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. ფინალი. მე-4 თამაში
13:45 "Power week-NHL-ის კვირა"
14:30 მაგიდის ჩოგბურთი. რუსეთის ღია ჩემპიონატი
16:25 წყალბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
17:55 წყალბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
19:00 ისტორია. რუსეთის ჩემპიონატები ჰოკეიში. 96/97 სეზონი
19:55 წყალბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ვაჟები. მეოთხედფინალი. საბერძნეთი - რუსეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
21:20 სახვალიო ტელეპროგრამა
21:25 წყალბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ვაჟები. მეოთხედფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
22:30 საკალათბურთო მიმოხილვა. NBA
23:00 კალათბური. NBA-ს ჩემპიონატი. ფინალი. "ნიუ ჯერსი ნეთსი" – "სან ანტონიო სფურსი". მე-4 თამაში
01:00 საჩოგბურთო მიმოხილვა. ATP
01:30 ახალი ამბები
01:45 "ჩქაროსნული სამყარო"
02:15 საკალათბურთო მიმოხილვა. NBA
02:45 02:45-დან 10:00-მდე შესვენება
05:30 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. ფინალი. მე-4 თამაში. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**

11:30 აფროსნობა
12:00 ცხენოსნობა. ნაციის თასი. პორტუგალია
13:00 ფეხბურთი. ევრო-2004
14:00 ფეხბურთი. ევრო-2004
15:00 ფეხბურთი. ევრო-2004
16:00 ფეხბურთი. ევრო-2004
17:00 ჩოგბურთი. ATP ტურნირი. დიდი ბრიტანეთი
20:00 ფეხბურთი. ევრო-2004
21:00 ფეხბურთი. ახალგაზრდული ფესტივალი საფრანგეთში
22:45 ახალი ამბები
23:00 ფეხბურთი. ახალგაზრდული ფესტივალი საფრანგეთში
00:45 მძლეოსნობა. სუპერ გრან-პრი IAAF
02:30 ახალი ამბები
02:45 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი
04:15 ახალი ამბები

## EURO 2004

# ჩვენი დრო ჯერ არ დამდგარა

### ირლანდია - საქართველო 2:0







*1:0 - დოჰერტი (43), 2:0 - კინი (59) მსაჯი: ედუარდო იტურალდე გონსალესი (ესპანეთი)*

კახა ფაჩუაშვილი

"ლენსდაუნ როუდზე" მატჩის წინ ჩვეულებრივ საზეიმო განწყობილება სუფევდა. ქვეყნის პირველი პირი ბერტი აჰერნი მერაბ ჟორდანიას თანხლებით მინდორზე გავიდა და ყველა ფეხბურთელს ხელი ჩამოართვა. სამყურების ყოფილმა ფორვარდმა ნეილ ქუინმა კი, რომელიც ამჟამად ტელეკომენტატორია, მოიბოდიშა და "აუცილებლად მოვიგებთო" - გვისახსოვრა ორი სიტყვა.

ირლანდიელები საბრძოლველად განეწყვნენ. ეს მატჩი მათთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო. მთავარმა მწვრთნელმა ბრაიან კერიმ განაცხადა, რომ თუ ამ თამაშს მოვიგებთ, ჯგუფში პირველი ადგილისთვის ბრძოლაც ძალიან რეალური გახდებაო. საქართველოს ნაკრებს კი საკუთარი შესაძლებლობების შემოწმება და ახლად აღდგენილი ღირსების დაცვა მართებდა, მაგრამ... სამწუხარო რეალობა ის არის, რომ როგორც აღმოჩნდა, ჩვენს ახლად შექმნილ გუნდს ძალიან ბევრი მოვთხოვეთ.

წავაგეთ! - იმიტომ, რომ ირლანდიას გამარჯვება უფრო სწყუროდა. იმიტომ, რომ ირლანდიას სწამს, რომ ჯგუფიდან გასვლისთვის იბრძვის. იმიტომ, რომ ეს რწმენა მათგან გამარჯვებას ითხოვს. იმიტომ, რომ ჩვენი გუნდი ახლა ყალიბდება. იმიტომ, რომ საქართველოს ნაკრებს ამხანაგური თამაშები აკლია. იმიტომ, რომ ხუთი წამყვანი მოთამაშე გვაკლდა. იმიტომ, რომ ნახევარდაცვა აბსოლუტურად მოწყვეტილი იყო თავდასხმისგან. იმიტომ, რომ ირლანდიას ჰყავს რობი კინი, რომელმაც აიკლო შეტევის მარცხენა ფრთა. მეორე გოლის დროს კი ხელით გაიჩერა ბურთი და დასარტყმელ პოზიციაზე ამ ხიმანდრობით გავიდა. იმიტომ, რომ ირლანდიის ნაკრები კლასით აშკარად აღემატება საქართველოს. იმიტომ და იმიტომ...

საერთოდ საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ილუზიებით კვება ადამიანის ცნობიერებისთვის მავნებელია და ბევრად უკეთესი იქნება, თუ ციდან დედამიწაზე დავეშვებით. საქართველოს ნაკრები აბსოლუტურად ახალი გუნდია და ჩამოყალიბების პროცესს განიცდის. ეს პროცესი კი, მოგეხსენებათ, ნებისმიერი, თუნდაც უმაღლესი კლასის გუნდისთვისაც მტკივნეულია. ივო შუშაკის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის ნაკრებმა მეორე შეხვედრა ჩაატარა და ისიც ირლანდიაში - გუნდთან, რომელსაც უზარმაზარი გამოცდილება და ჯგუფიდან გასვლის სერიოზული ამბიცია გააჩნია.

მაშ რატომ უნდა მოგვეთხოვა დაუღვინებელი გუნდისთვის ირლანდიაში, მასპინძელთათვის ასეთ პრინციპულ შეხვედრაში გამარჯვება? ეს ჩვენი ოპტიმიზმი, რომელიც ფეხბურთელებსაც გადაედოთ, მომავალი გამარჯვებებისთვის სასარგებლო იქნება, ახლა კი რეალურად სულ სხვა სურათი გამოიკვეთა.

დუბლინის "ლენსდაუნ როუდზე" საქართველოს ნაკრები ხუთი წამყვანი ფეხბურთელის გარეშე ჩავიდა - ნემსაძე, კობიაშვილი, ცქიტიშვილი, კვირკველია, აშვეთია. აქედან ნემსაძე, როგორც აღმოჩნდა, ნახევარდაცვის ცენტრში შეუცვლელია. მასზე უკეთესი საყრდენი ნახევარმცველი, რომელსაც შემოქმედებითი უნარი გააჩნია, საქართველოში არ ჩანს. ალექსანდრე რეხვიაშვილი უდავოდ სასარგებლოა შეტევების ჩაშლის დროს. შეუდარებელია ბურთის ართმევისას, მაგრამ შეტევის წარმოება არ ეხერხება. არადა, ნემსაძის არყოფნაში რეხვიაშვილის ფუნქცია სწორედ შეტევის ორგანიზებაში მალხაზ ასათიანის დახმარება იყო და რადგანაც ეს არ მოხერხდა, საქართველოს ნაკრების ნახევარდაცვა თავდასხმისგან აბსოლუტურად მოწყვეტილი აღმოჩნდა.

ახალგაზრდა და ჯერაც გამოუცდელმა მალხაზ ასათიანმა მარტომ ვერ იტვირთა შეტევების ორგანიზება. თუმცა, ჩვენი გუნდის შემადგენლობაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. აშკარაა და ეს ირლანდიასთან შეხვედრაშიც გამოჩნდა, რომ მალხაზ ასათიანი ამ დროისთვის უფრო ინდივიდუალური მოთამაშეა, ვიდრე გუნდური და როცა კოლექტიური თამაშის დროს მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი მოიმატებს, ეს საქართველოს ნაკრებსაც აუცილებლად დაეტყობა. გუშინ კი შოთა არველაძე და გიორგი დემეტრაძე ზუსტი გადაცემებით ვერ მარაგდებოდნენ და ეს ორი ფეხბურთელი, ფაქტობრივად, გამოუყენებელი დარჩა.



*რობი კინი ვერაფრით შევაჩერეთ*

საწყენია, რომ ჩვენი ნაკრების გადაუჭრელი პრობლემა და, თუ გნებავთ, აქილევსის ქუსლი, ირლანდიელთა შეტევის მარცხენა ფრთა იყო, სადაც ჯონ ოშიმ, კილბეინმა და რობი კინმა პირდაპირ აიკლეს ხიზანიშვილი-ბურდული-დიდავას ტრიო. ყველა სახიფათო მომენტი მარცხენა ფრთიდან იწყებოდა და ეს ხიფათი ორჯერ გოლითაც დასრულდა. არადა, ჩვეულებრივ ამ ფრთაზე საიმედოდ გამოიყურება ცქიტიშვილი, რომელიც კობიაშვილთან ერთად აშკარად დააკლდა გუნდს.

**გიორგი დემეტრაძე:** "ახლა ძნელია იმის თქმა, რა მოხდებოდა, სხვა ფეხბურთი რომ გვეთამაშა. ფაქტი ის არის, რომ ირლანდიის ნაკრებმა აშკარად გვაჯობა. მეორე ტაიმში, ბუნებრივია, თამაშის შეცვლა ვცადეთ, მაგრამ საბოლოო ჯამში ამის გაკეთება ვერ მოვახერხეთ. ირლანდიის ნაკრები უკეთესად გამოიყურებოდა".

**შოთა არველაძე:** "ვცდილობდით, ბურთი ერთი შეხებით სწრაფად გაგვეთამაშებინა. ვარჯიშებზეც აქცენტს ამ კომპონენტზე ვაკეთებდით, მაგრამ არ გამოგვივიდა. გადამწყვეტი მომენტი პირველი ტაიმის ბოლოს იყო, როცა დოჰერტიმ გოლი გაგვიტანა. ვფიქრობ, მეორე ნახევარი უკეთ ჩავატარეთ. უპირატესობასაც ვფლობდით, მაგრამ თამაშში გარდატეხის შეტანა ველარ მოვახერხეთ".

**ივო შუშაკი (საქართველოს ნაკრების მწვრთნელი):** "ირლანდიის ნაკრების ასეთი თამაში ჩემთვის დიდი სიურპრიზი იყო. დღეს ირლანდიელებმა ბევრად უკეთ ითამაშეს, ვიდრე ალბანეთის წინააღმდეგ. არ მოველოდი, რომ ისინი ასეთ მოკლე დროში თამაშს მკვეთრად გააუმჯობესებდნენ. მინდა, ჩემს ფეხბურთელებს მადლობა გადავუხადო. მათ მებრძოლი სული წარმოაჩინეს, მაგრამ მეტოქე მუდმივ წნეხში გვამყოფებდა და ჩვენც უხეში შეცდომები დავუშვით. სამწუხაროდ, ორი მათგანი გოლად დაგვიჯდა. ირლანდიის ნაკრები ძალიან კარგი გუნდია, მაგრამ მას შვეიცარიისა და რუსეთის ნაკრებების სახით სერიოზული მეტოქეები ჰყავს, ამიტომ გადაჭრით იმის ვარაუდი, რომ ამ ჯგუფიდან აუცილებლად ირლანდია გავა, არ შემიძლია".

**ბრაიან კერი (ირლანდიის ნაკრების მწვრთნელი):** "უმძიმესი ბრძოლა გადავიტანეთ. მეტოქემ დიდი წინააღმდეგობა გაგვიწია, მაგრამ ჩვენი გუნდი უკეთესად თამაშობდა და გაიმარჯვა კიდეც. ახლა ყველაფერი ჩვენს ხელთაა. ძალ-ღონეს არ დავიშურებთ იმისთვის, რომ ჯგუფიდან სწორედ ჩვენ გავიდეთ".

**მე-2 ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ნორვეგია - რუმინეთი | 1:1 |
| ლუქსემბურგი - დანია | 0:2 |

**მე-3 ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ჩეხეთი - მოლდოვა | 5:0 |
| ავსტრია - ბელორუსი | 5:0 |

**მე-4 ჯგუფი**

| | |
|---|---|
| შვედეთი - პოლონეთი | 3:0 |
| სან-მარინო - უნგრეთი | 0:5 |

**მე-5 ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ფარერები - გერმანია | 0:2 |
| ლიტვა - ისლანდია | 0:3 |

**მე-6 ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ჩრდ. ირლანდია - ესპანეთი | 0:0 |
| საბერძნეთი - უკრაინა | 1:0 |

**მე-7 ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ინგლისი - სლოვაკეთი | 2:1 |
| თურქეთი - მაკედონია | 3:2 |

**მე-8 ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ესტონეთი - ხორვატია | 0:1 |
| ბელგია - ანდორა | 3:0 |

**მე-9 ჯგუფი**

| | |
|---|---|
| აზერბაიჯანი - სერბეთი | 2:1 |
| ფინეთი - იტალია | 0:2 |

**მე-10 ჯგუფი**

| | |
|---|---|
| შვეიცარია - ალბანეთი | 3:2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 6 | 3 | 3 | 0 | 12:7 | 12 |
| ირლანდია | 6 | 3 | 1 | 2 | 9:8 | 10 |
| რუსეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 11:9 | 7 |
| ალბანეთი | 6 | 1 | 2 | 3 | 8:11 | 5 |
| საქართველო | 5 | 1 | 1 | 3 | 3:8 | 4 |

ფეხბურთი

# წადი ან "მანჩესტერში" დალპი!

ინგლისი თავის საყვარელ ფეხბურთელს ყიდის. ბოლო დღეების მანძილზე ლამის მთელი ქვეყანა ამ თემაზე საუბრობს. საჭიროა ბექჰემის გაყიდვა? შეელევა კი მას "მანჩესტერ იუნაიტედი"? ვინ მოიგებს ბექჰემის გაყიდვით - გამყიდველი თუ მყიდველი?

ბრიტანული მედიის ინფორმაციით, ინგლისის ჩემპიონმა მიიღო ესპანეთის "ბარსელონას" წინადადება, რომელიც დევიდ ბექჰემის 30 მილიონ გირვანქად გაყიდვას ითვალისწინებს. აქედან 24 მილიონს ინგლისური კლუბი ფეხბურთელის გაყიდვისთანავე მიიღებს, დანარჩენ 6 მილიონს კი - მოგვიანებით. ამ გარიგების ავტორი და ინიციატორი კატალონიური კლუბის პრეზიდენტობის კანდიდატი ხუან ლაპორტაა. წინასაარჩევნოდ ლაპორტამ "მანჩესტერის" ხელმძღვანელობის ნდობა მოიპოვა - ბექჰემს თქვენ მოგყიდითო, ათქმევინა და პრეზიდენტად გახდომის ისედაც დიდი შანსი კიდევ უფრო გაიზარდა. ერთი სიტყვით, ყველაფერი 15 ივნისს, "ბარსელონას" პრეზიდენტის არჩევნებზე იქნება დამოკიდებული, მაგრამ, ესპანური და ინგლისური პრესის აზრით, ლაპორტას გამარჯვება ეჭვს არ იწვევს, ამიტომაც, - ბექჰემი ცალი ფეხით უკვე "ბარსელონაშიაო", - გაიძახიან.

თავად ინგლისის ნაკრების კაპიტანი მოვლენების ასეთი განვითარებით მაინცდამაინც კმაყოფილი არ არის. ის იმ მცირერიცხოვან ფეხბურთელებს მიეკუთვნება, რომელთაც "ბარსელონაში" გადასვლა დიდად არ ხიბლავთ. თუმცა, კლუბისთვის



სად გადავა დევიდ ბექჰემი?

წინააღმდეგობის გაწევას, ალბათ, ვერ შეძლებს. არც იმის განცხადება უშველის, რომ "კლუბმა მას ზურგში მახვილი ჩასცა". კლუბის გულშემატკივართა უმეტესობა მიიჩნევს, რომ თუ ბექჰემის გაყიდვა კლუბს ფინანსურ მოგებას მოუტანს, ფეხბურთელი იძულებულია, დატოვოს კლუბი.

თეორიულად ბექჰემი, შესაძლოა, არც გადავიდეს "ბარსელონაში". ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ "ბარსელონას" პრეზიდენტად სხვას აირჩევენ ან ესპანური მხარე ვერ შეძლებს ბექჰემთან ფინანსურ თუ სხვა საკითხებზე მოლაპარაკებას. შანსი, რა თქმა უნდა არსებობს, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, ასე მოხდეს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, "მანჩესტერში" დარჩენა ბექჰემისთვის სათადარიგოთა სკამზე დალპობას ნიშნავს. ასეთი პერსპექტივა კი მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს არ უნდა ხიბლავდეს. ალექს ფერგიუსონს არაერთხელ უთქვამს, რომ არ მოსწონს ის ვარსკვლავური აურა, რომელიც ბექჰემის გარშემოა შექმნილი. ამის და სხვა მიზეზების გამოც, მწვრთნელსა და ფეხბურთელს შორის ბოლო დროს გახშირებულმა კონფლიქტებმა მათ შორის ნორმალური ურთიერთობა თითქმის შეუძლებელი გახადა. ბექჰემის გაყიდვის უმთავრესი მიზეზიც ესაა.

რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, ნახევარმცველის გაყიდვასთან დაკავშირებულმა ამბებმა კლუბს ფინანსური მოგება მოუტანა - დღის განმავლობაში ბირჟაზე "მანჩესტერის" აქციები 7 პენსით გაიზარდა და 158 პენსს მიაღწია. უახლოეს მომავალში კი კლუბი კიდევ რამდენიმე მილიონი გირვანქით გამდიდრდება, თანაც, ხელმძღვანელთა თქმით, არაფერს კარგავს - კლუბს ბექჰემის გარეშეც რომ შეუძლია მოგება, წლევანდელმა მატჩებმა გვიჩვენაო.

რაგბი

# ჭიქი იზრდება

პაატა თოთაძე

რამდენიმე წლის წინ ორი მშობლის საუბარს შევესწარი. ერთი ბავშვზე წუხდა - ძალიან უჭმელი და სუსტია, რა ვუყო, არ ვიციო. მეორემ ურჩია, რაგბიზე მიიყვანე, ფიზიკურადაც გაძლიერდება და კაცად ჩამოყალიბდებაო. ის კლუბებიც ჩამოუთვალა, სადაც ბავშვის მიყვანა შეეძლო. ჩანს, დიდად თვითონაც ვერ ერკვეოდა სარაგბო საქმეებში, მხოლოდ ორი კლუბი დაუსახელა - "ყოჩები" და "ლელო". თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, იმ პერიოდში, ძირითადად, ამ კლუბების სახელი იყო ცნობილი. მერე და მერე ვითარება შეიცვალა, ბოლო დროს კი ქართული რაგბის წარმატებამ სპორტის ამ სახეობის პოპულარობა ერთიორად გაზარდა. ამის შედეგია ის, რომ ბავშვთა კლუბებიც მომრავლდნენ. შარშან მათ რიცხვს კიდევ ერთი შეემატა - "ჯიქი".

"მოქმედი მორაგბე ტრავმებმა გამაწამა. ერთხანს ექიმები იმასაც მეუბნებოდნენ, ხელოვნური, პლასტმასის მუხლი დაგჭირდებაო. ასეთ მდგომარეობაში მყოფმა ვარჯიშის დაწყება გადავწყვიტე - დილაობით ვძუნძულებდი. ცოტა ხანში რამდენიმე მეზობელი ბავშვი შემომიერთდა, მერე და მერე მათმა რიცხვმა იმატა", - კლუბის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მწვრთნელი დათო გოცაძე იხსენებს იმ პერიოდს, როცა კლუბის შექმნის იდეა წარმოიშვა. ისე მოხდა, რომ ერთ კორპუსში ოთხმა მორაგბემ მოიყარა თავი და, ამდენი ბავშვის შემყურეს, სხვა რა მოუვიდოდათ თავში, თუ არა რაგბის კლუბის შექმნა. მოკლედ, გაჩნდა იდეა, რომლის გარშემო



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

"ჭიქი" ახალ მოედანს იშენებს

ეს ხალხი შეიკრიბა - გოჩა აბაშიძე, გიორგი გიგაშვილი, კახა ალანია და დათო გოცაძე. მეხუთე წევრად გოჩა სვანიძე შეიამხანაგეს და "ჯიქიც" ჩამოყალიბდა. ეს შარშან, მაისში მოხდა. დაწყებულ საქმეს გაგრძელება და გაფართოება სჭირდებოდა და...

იქვე, სახლთან ახლოს, პატარა მოედანი იყო ასფალტის საფარით. ბავშვებმა თავდაპირველად იქ დაიწყეს ვარჯიში. შემდეგ, რაკი ასფალტის სტადიონზე ვარჯიში შეუძლებელი იყო, საკუთარი ძალებით საფარი მოხსნეს და გრუნტისა გააკეთეს. სამი თვის შემდეგ კი გუნდმა პირველი მატჩი გამართა - "ხულიგანა" დაამარცხა. ენთუზიაზმი კარგი რამ არის, მაგრამ დახმარების გარეშე, მხოლოდ საკუთარი ძალებით, ამხელა საქმის გაკეთება ძალიან გაჭირდებოდა. დამხმარეებად კი ისევ მეზობლები მოევლინენ - რეზო ფოცხვერია, ბიძინა გიორგაძე, ბადრი ყიფიანი. ვისაც რითი შეეძლო, იმითი ეხმარებოდა. აღსანიშნავია "ნაციონალური მოძრაობის" გვერდში დგომაც - მისი ერთ-ერთ წევრი, გიორგი არველაძე იქვე ცხოვრობს. სხვათა შორის, პირველ ეტაპზე ახალშექმნილ კლუბს "აღორძინებაც" დაეხმარა. მოედნის ტერიტორია, რომელზეც ბავშვები ვარჯიშობენ, გეოფიზიკის ინსტიტუტს ეკუთვნის. ბავშვთა რიცხვის მატებასთან ერთად მოედნის გაფართოებაც დადგა დღის წესრიგში. საამისოდ კავშირის დამფუძნებლებმა ინსტიტუტის საბჭოზე გაიტანეს ეს საკითხი და თანხმობაც მიიღეს. ამჟამად სტადიონის კეთილმოწყობა მიმდინარეობს. კონსულტაციას "ჯიქს" ქართულ სარაგბო წრეში კარგად ცნობილი ალან მაიო უწევს. მისი წყალობით, მწვრთნელებს თანამედროვე ფრანგული სარაგბო ლიტერატურა არ უჭირთ, ამასთან, მაიო ფინანსური მხარდამჭერის თხოვნით თანამემამულეებს მიმართავს და მათი დახმარების იმედიც აქვს.

კლუბის წინსვლაზე ისიც მეტყველებს, რომ დღეს "ჯიქს" უკვე სპონსორი ჰყავს "კვარციტის" სახით. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ბავშვები ყველანაირი გადასახადისგან გათავისუფლდნენ. დღეს გუნდში 40-მდე ბავშვი ვარჯიშობს. მათ დათო გოცაძე, კახა ალანია და ზაალ აბაზაძე წვრთნიან. ერთ-ერთი მათგანი რუსთავიდან დადის. ადრე უპატრონო ბავშვთა სახლის აღსაზრდელებიც ვარჯიშობდნენ. ამჟამად ისინი ვერ ახერხებენ ვარჯიშს, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელებს იმედი აქვთ, რომ მათი ტრანსპორტირების საკითხი მოგვარდება და ვარჯიშსაც წინ არაფერი დაუდგება. კავშირის შემქმნელებს დიდი სამომავლო გეგმები აქვთ, რომლის განხორციელებასაც ფინანსები სჭირდება. ახლო მომავალში კი ბოლნისში შეიქმნება კლუბის ფილიალი, რომელსაც წარსულში ცნობილი მორაგბე ზურაბ რეხვიაშვილი (რემბო) ჩაუდგება სათავეში.

კრივი

# კოსტია ცზიუს საწვავი ჰქონია

ბიგა ბურასაშვილი

*კრივის ევროპის კავშირის ესპანელი პრეზიდენტი რუბენ მარტინესი კრივის მსოფლიოს საბჭოს მექსიკელი კოლეგის ხოსე სულეიმანის ქმედებით უკმაყოფილოა. ესპანელმა საბჭოს მამებს შეუთვალა, ბიჭს ნუ მიჩაგრავთ, როგორც წესი და რიგია, ისე მოიქეცითო. მან საკუთარი პოზიცია კავშირის გენერალურ ასამბლეაზეც გაახმოვანა. და მაინც, რა უნდა მარტინესს, რას ერჩის საბჭოს. საქმე ის არის, რომ ესპანელი იტალიელი ჯანლუკა ბრანკოსთან რუს-ავსტრალიელის კონსტანტინ ცზიუს ორთაბრძოლას ითხოვს.*

ბრანკო საბჭოს ვერსიით მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონთან ცზიუსთან შებმის ნომერ პირველ პრეტენდენტად იყო მიჩნეული. მათ ორთაბრძოლასაც თითქოს არაფერი ედგა წინ, მაგრამ რუს-ავსტრალიელის ბანაკმა იტალიელთან ჩხუბი იუარა. ცზიუს მხარე დაიჭირა საბჭომაც. კერძოდ, მისმა ხელმძღვანელობამ ეგრეთ წოდებული დროებითი სატიტულო ორთაბრძოლა დათქვა - ბრძოლის მთავარი მოქმედი პირებით ბრანკოსა და ბრიტანელი რიკი ჰატონის მონაწილეობით. ანუ, მათ შორის გამარჯვებულს ცზიუსთან ბრძოლის უფლება უნდა მინიჭებოდა. ამის მიუხედავად, შექმნილი ვითარების გამო ევროპის კრივის კავშირის უკმაყოფილო ხელმძღვანელი კვლავაც დაჟინებით მოითხოვს ბრანკოს საქმის გადახედვას.

"ვალდებული ვარ, ჩემი მოკრივის ინტერესები დავიცვა. ვთვლი, რომ ბრანკო ღირსია, მოიპოვოს უფლება, იბრძოლოს მსოფლიო ჩემპიონობისთვის. იგი იმსახურებს ამას არა მარტო რეიტინგის გამო, არამედ დონითაც", - აღნიშნავს მარტინესი.



კონსტანტინ ცზიუს მოცდა მოუწევს

მაშინ, როდესაც მარტინესი მტყუან-მართლის ძიებაში იყო, მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა ვარჯიშისას ფეხზე ტრავმა მიიღო. ცზიუს ტრავმაზე ინფორმაცია გუშინ მენეჯერმა მეტიუ უოტმა გაავრცელა. ვარჯიშით კი ამერიკელ შარმბა მიტჩელთან 27 სექტემბრის ორთაბრძოლისთვის ემზადებოდა. უოტისვე განცხადებით, მომხდარის გამო ცზიუსა და მიტჩელის მატჩი ნოემბერ-დეკემბრისთვისაა გადატანილი.

კრივის მსოფლიოს საბჭოს ვიცე-პრეზიდენტის ედმუნდ ლიპინსკის განცხადებით, რომელიც ხსენებული ორთაბრძოლის ერთ-ერთი ორგანიზატორია, მოკრივეს გაუკეთეს ოპერაცია, რომელმაც წარმატებით ჩაიარა.

"კოსტიას ხშირად დაუშავებია ხელი, მაგრამ პირველი შემთხვევაა, როდესაც ფეხზე მიიღო ტრავმა", - ვითარებაში გვარკვევს ლიპინსკი.

აღსანიშნავია, რომ 33 წლის მოკრივე, რომელიც სამ - WBC (საბჭოს), WBA (ასოციაციის) და IBF (ფედერაციის) საჩემპიონო სარტყელს ფლობს, მიტჩელს 2001 წლის თებერვალში შეხვედრია და ასოციაციის ტიტულიც აურთმევია. ორი წლის წინანდელ დაპირისპირებაში ამერიკელმა მუხლი დაიშავა და მეშვიდე რაუნდში იძულებული გახდა, ბრძოლა შეეწყვიტა.

სხვათა შორის, მიტჩელთან ბრძოლის შემდეგ, რომლისთვისაც მოსკოვს უნდა ემასპინძლა, ცზიუს მეორე საშუალო წონით კატეგორიაში აბარგება და შესაბამის წონაში ფედერაციის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონთან კორი სპინკსთან ჩხუბი ჰქონდა განზრახული.

"მომდევნო წონით კატეგორიაში გადასვლა იმიტომ მინდა, რომ დიდ მებრძოლებს შევხვდე, - ტრავმამდე ცოტა ხნით ადრე აცხადებდა რუს-ავსტრალიელი. - სულაც არ ვაპირებ პროფესიონალური კარიერის დასრულებას. ჯერ კიდევ საკმარისად მაქვს საწვავი იმისთვის, რომ ზევით და წინ ვიარო".



ნინო I

# სტრიპტიზი - რეკლამის ახალი ფორმა და წონაში დაკლების საშუალება

ოდესმე დაფიქრებულხართ იმაზე, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი რიტუალია ტანსაცმლის გახდა და რა ძნელია ამ, ერთი შეხედვით, სრულიად უბრალო პროცესის სწორად შესრულება? სამოსისგან გათავისუფლება ყოველთვის ხელოვნების რანგში უნდა იყოს აყვანილი, მაშინაც კი, როცა აბსოლუტურად მარტო ხარ და ჭუჭრუტანიდანაც კი არავინ გიყურებს - მიაჩნიათ იტალიელ ტელემენეჯერებს, რომლებიც მონდომებით ცდილობენ, სტრიპტიზის ხელოვნება იტალიაშიც ისეთ მაღალ დონეზე აიყვანონ, როგორზეც ის ამერიკის შეერთებულ შტატებშია, სადაც გაშიშვლების ტექნიკის ფლობა დიდ მიღწევად ითვლება. თვით ისეთი სახელგანთქმული ვარსკვლავებიც კი, როგორებიც მსახიობი შარლიზ ტერონი და მომღერალი კრისტინა აგილერა არიან, რომელთაც უკვე ბრწყინვალე კარიერა აქვთ და სტრიპტიზი ნამდვილად არ სჭირდებათ, სულაც არ უკადრისობენ სცენაზე თუ ეკრანზე თავიანთი მაღალი ოსტატობის დემონსტრირებას. იტალიაში კი სტრიპტიზის ასე აშკარა პროპაგანდას ახლაღა იწყებენ, იმის მიუხედავად, რომ აქამდეც არაერთი პორნოვარსკვლავი ჰყოლიათ, ვისთვისაც საზოგადოების წინაშე გაშიშვლება დიდი პრობლემა არასოდეს ყოფილა.

საერთოდ, იტალიაში სტრიპტიზი უფრო ფეხბურთთანაა დაკავშირებული. ალბათ, ყველას კარგად ახსოვს, 2000-01 წლების სეზონში როგორ ჰპირდებოდა საბრინა ფერილი "რომას" ფეხბურთელებსა და ტიფოზებს, თუ ჩემპიონები გავხდებით, ოლიმპიურ სტადიონზე არნახულ სანახაობას მოვაწყობო. წინა წელიწადს "სკუდეტო" "ლაციომ" მოიპოვა, მაგრამ ანა ფალკის, "ლაციოს" სახეს, არც კი უფიქრია, თავისი გუნდის გამარჯვებისთვის სტრიპტიზ-შოუ მიეძღვნა. საბრინა ანაზე უფროსი და გამოცდილი იყო და ზუსტად განსაზღვრა, რომ მის მიერ შერჩეული სტრატეგია და ტაქტიკა, მართლაც, გამოდგებოდა "რომასთვის" სტიმულის მისაცემად. მომხიბვლელი საბრინა იმდენად დიდი მოტივაცია აღმოჩნდა "რომას" ფეხბურთელებისთვის, რომ ფაბიო კაპელოს გუნდმა იმ წელიწადს, მართლაც, მოიპოვა "სკუდეტო" და სიხარულისგან გადარეულმა ტიფოზებმა "რომას" სახეს დანაპირების შესრულება მოსთხოვეს. საბრინა ფერილი იმ დროს უკვე სოლიდურ ასაკში იყო - 37 წლის ბრძანდებოდა, მაგრამ სულაც არ მიაჩნდა თავი ჩამოწერილად. თინეიჯერული უდარდელობითა და თავქარიანობით გავიდა რომის ოლიმპიურ სტადიონზე და უამრავ მაყურებელს დაუმტკიცა, რომ ჯერ ისევ შესანიშნავ ფორმაში იყო. მაშინ ზოგიერთი ფანი ცოტათი უკმაყოფილო



საბრინა ფერილი

დარჩა, ბოლომდე არ გაიხადაო, მაგრამ საბრინას ეს მცირე შეცოდება დიდსულოვნად აპატიეს.

ამის შემდეგ უკვე ანა ფალკისაც მოუნდა თავისი უზადო სხეულის დემონსტრირება, მაგრამ "ლაციოს" საიმისო არაფერი გაუკეთებია, რომ რომის მეორე ნაწილი ფინეთში დაბადებული მოდელის მშვენიერებით დამტკბარიყო. რაკი "ლაციომ" 2000 წლის მერე ვერანაირი წარმატება ველარ მოიპოვა, ანა ფალკიმ გადაწყვიტა, ტელეეკრანზე გაშიშვლებულიყო. იტალიელ მოდელსა და მსახიობს, ალბათ, განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია. ამერიკელი დემი მური მასზე უფრო შთამბეჭდავი იყო ფილმში "სტრიპტიზის მოცეკვავე", მაგრამ იტალიაში ანას ეროტიკულ ცეკვას მაინც დიდი რეზონანსი მოყვა. სტრიპტიზი გაფორმდა როგორც ცდუნების ხელოვნება, რომელსაც სპეციალურად შესწავლა სჭირდება. ეს ყველაფერი ასე მარტივად ასათვისებელი ნუ გგონიათ, კარგი გეიშა ექვსი თვის განმავლობაში სწავლობს, როგორ უნდა გაიხადოს თვითონ და გახადოს პარტნიორს, - განაცხადა "კანალ 5"-ის მენეჯერმა. აქვე ცნობილი გახდა, რომ, თურმე, როზელა ბრეშა და კასია სმუტნიაკი, ორი ცნობილი "შოუგერლი", ერთმანეთს ეცილებოდა, თუ ვინ გაიხდიდა გაბრიელ ბატისტუტას წინაშე, როცა ეს უკანასკნელი სტრიპტიზით დაინტერესებულა. საბოლოოდ ისე მოხდა, რომ ოჯახის ერთგული "ბატიგოლი" პოლონური წარმოშობის კასია სმუტნიაკმა აცდუნა და საკუთარ სიმტკიცეში დარწმუნებულ არგენტინელს გვარიან სკანდალშიც გააყოფინა თავი.

საჯარო სტრიპტიზის მოწყობა ალესია მერცსაც სურდა ტურინის "დელე ალპიზე", თუ "იუვენტუსი" ჩემპიონთა ლიგას მოიგებდა, მაგრამ "იუვე" დამარცხდა და თასი "მილანს" დარჩა. რა თქმა უნდა, "მილანსაც" ჰყავს თაყვანისმცემლები მომხიბვლელ მოდელთა თუ ტელეწამყვანთა შორის, მაგრამ, სამწუხაროდ, "სან-სიროზე" სტრიპტიზის გამართვა არავის მოსვლია აზრად. ალესია მერცი კი მხოლოდ "იუვეს" მხცოვან პატრონთან, უმბერტო ანიელისთან ცეკვას დასჯერდა - ვერცხლის მედლებისთვის ხომ ნამდვილად არ ღირდა გახდა.

როგორც ანა ფალკი და საბრინა ფერილი ამტკიცებენ, სტრიპტიზი წონაში დაკლების საშუალებაცაა, ოღონდ არცთუ ისე ეფექტური. თავად განსაჯეთ, სტრიპტიზის მოცეკვავე საათში მხოლოდ 350 კალორიას კარგავს. ალბათ, მთელი დღე იქნება საჭირო სერიოზული შედეგის მისაღწევად... ასეა თუ ისე, სტრიპტიზი იტალიაში სულ უფრო მეტად პოპულარული ხდება. 19 ივნისს რომის ოპერის თეატრში წარმოადგენენ ფრანკო ძეფირელის მიერ დადგმულ პუჩინის "ბოჰემას", რომელიც საქველმოქმედო მიზნებს ემსახურება: შემოსული თანხა კიბოს წინააღმდეგ მებრძოლ საზოგადოებას გადაერიცხება. მარიზელა ფედერიჩი, რომელიც ამ ასოციაციის სარეკლამო სახე გახლავთ, მზად არის, უყოყმანოდ გაიხადოს, თუ ამ გზით რომაელებს ბილეთებს შეაძენინებს. პუჩინის და ძეფირელის ნაკლებად სჭირდებათ ფედერიჩის დახმარება - ოპერის მოყვარულები ისედაც წავლენ სპექტაკლზე, მაგრამ მოდელის ასეთი მზადყოფნა უკვე იმაზე მიანიშნებს, რომ სტრიპტიზი მარტო ფეხბურთში და ეკრანზე კი არა, საოპერო სცენაზეც იკიდებს ფეხს და რეკლამის უცნაური ფორმა ხდება, რაზეც, ალბათ, ღირს დაფიქრება.



"ბინული"

საშუალო სკოლა "ბინული" არის კერძო საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ორიენტირებულია მაღალზნეობრივი და ინტელექტუალური პიროვნების ჩამოყალიბებაზე და უზრუნველყოფს ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უწყვეტობას; სკოლაში ხორციელდება უცხო ენების და თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გაღრმავებული სწავლება, რითაც ხდება ადრეული პროფილირება. სკოლა უზრუნველყოფს სწავლებისათვის მაქსიმალურად ხელშემწყობი პირობების შექმნას ახალგაზრდობის ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებისა და ამაღლებისათვის, ხელს უწყობს დამოუკიდებელი და სამეცნიერო საქმიანობის ჩვევების გამომუშავებას.

სკოლა შედგება ორი ცენტრისაგან: სასწავლო მეთოდური ცენტრი და ბავშვთა აღზრდის ცენტრი.

სასწავლო მეთოდური ცენტრის სტრუქტურული ერთეულებია:

1. დაწყებითი ელემენტარული სკოლა (პირველი - მეექვსე კლასები)
2. ძირითადი (პროფილური) სკოლა (მეშვიდე - მეცხრე კლასები).
3. ლიცეუმი (უმაღლესზე ორიენტირებული სწავლება).

სკოლაში მოსწავლე მიიღება კონკურსის საფუძველზე, რომელსაც ახორციელებს მიმღები კომისია. კომისიის შემადგენლობაში პედაგოგებთან ერთად მონაწილეობს ფსიქოლოგი და ლოგოპედი.

სკოლაში ჩარიცხვის დროს ყურადღება ექცევა მოსწავლის მზაობას ინტენსიური ინტელექტუალური საქმიანობისათვის.

2003-2004 სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა ჩარიცხვა წარმოებს I-IV კლასებში.

**მისამართი:** დიღმის მასივი, III კვარტალი. 147-ე საშუალო სკოლის შენობა, საერო სკოლა "ბინული". ტელ: 52-98-84.

გაზეთი 24 საათი

12.06.03 N-159

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“ გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel,
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის №25 ტელ:29-48-61

## TV პროგრამა 12 ივნისი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 სერიალი „ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები“
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ასულ ტეკილა“
10.20 დოკ. ფილმი „მეოცე საუკუნე“
11.10 სერიალი „მონტელგანო“
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი „დატყვევებული გულები“
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.20 სერიალი „ასულ ტეკილა“
18.00, 21.00, 02.20 კურიერი
18.20 სერიალი „ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები“
18.50 სერიალი „მაშველები“
19.40 სერიალი „დატყვევებული გულები“
22.00 სერიალი „მონტელგანო“
22.50 ღამის კურიერი
00.10 სერიალი „სექსი დიდ ქალაქში“
00.40 მხ. ფილმი „სიკვდილი წყალში“ მთ. რ-ში: დომინიკ სუეინი.
02.30 კლასიკა

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი „დაკარგული სამყაროს თავგადასავალი“
10.10 მხ. ფილმი „ტერორის ქალაქი“
11.40 ტელესერიალი „ძილის წინ“
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა“
13.00 ნაშუადღევს
14.05 დოკ. სერიალი „საგნების ისტორია“
15.15 მხ. ფილმი „ცხოველური გუნება“
16.55 რამაა
17.00 დოკ. სერიალი „ქვეყანა, ქვეყნები“
17.25 თბილისი და თბილისელები
18.00 ვესტნიკი
18.20 დოკ. სერიალი „აფრიკის ბუნება“
18.30 გასტი-ბუზუ
18.50 ჯანმრთელობა
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე“
21.05 ტელესერიალი „ეშმაკუნა“
22.10 საქართველო არის ესე
22.35 ტელესერიალი „ძილის წინ“
23.00 „რა ხდება ?!“
00.00 მხ. ფილმი „საღამოს შუქი“.

### პირველი სტერეო

08.00 მუსიკა
09.00 ტოროლა
12.00 ფილმი
14.00 მუსიკა
16.00 ფილმი „ბეჭდების მბრძანებელი-ორი კოშკი“
18.00, 19.15 ქართული მუსიკა
19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი
19.30, 20.15 ვიდეორადიო
20.50 ათი ლექსი
21.15 უცხ. მუსათეული
22.35 მუსიკა
23.00 აბა გამოიცანი მელოდია
00.00 „ბრავო“ „ოგობა“ მთ. რ-ში რეიფ ფაინსი.
02.00 „ღამურა“ „ხარკის ამკრეფი“ მთ. რ-ში ჯო პანტოლიანო.
03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე“ მეორე არხზე

19.10 მულტფილმი
19.30 სერიალი „რვაფეხა“
20.40 ისტორიანი
21.00 შვიდეული
22.10 მხ. ფილმი „მახე“

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი „ვასაბი“
13.30 მხ. ფილმი „დიდი ბიზნესი“
15.00 მხ.ფილმი „მრბოლელი“
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“
17.15 მხ. ფილმი „პოლიციის აკადემია“
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი „მეხუთე ელემენტი“

### იბერია

08.00 ანონსი, აღსავალი
08.05 დიალოგი
10.30 მხ. ფილმი „სამყაროს მწვერვალზე“
12.30 დოკ. ფილმი
13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45 ახალი ამბები
13.10, 18.00 დოკ. ფილმი
15.15 მხ. ფილმი „ფარდობითი ღირებულებანი“
17.20, 17.50, 18.30, 21.55, 23.45 მუსიკა
17.30 დოკ. სერიალი
18.45 ბუნების ფერები
19.40 მხ. ფილმი „სიყვარულისა და ხანჯლის ისტორია“
21.00 ტელე-სინე-ვიდეო (განმ.)
22.15, 23.00 დიალოგი
00.05 მხ.ფ. „მხიარული“
01.55 მუსიკა

### მეცხრე არხი

08.00 პროგრამა „დილა“
10.00 სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო“
10.30 მულტსერიალი „სიმბა - მეფე ლომი“
11.00 სერიალი „მოჯადოება“
11.50 კლასიკა
12.15 მხ. ფილმი „საჩუქარი“
14.15 „ტელემეტრი“
14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
14.50 დოკ. ფილმი „მოჩვენებათა აჩრდილები“ მე-2 ნ.
15.15, 18.50, 19.50 მუსიკა
15.30 სერიალი „სირინოზები“
16.30 დოკ. ფილმი „ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება“
17.50 მარიონეტების ფილმი „ყოჩაღები“-გზაზე.
18.05 სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო“
18.25 მულტსერიალი „სიმბა - მეფე ლომი“
19.00 სერიალი „მოჯადოება“
20.00 დოკ. ფილმი „მოჩვენებათა აჩრდილები“ მე-3ნ.
21.15 სერიალი „სირინოზები“
22.00 გადაცემა „ყვითელი კვადრატი“.
22.25 მოკლ. მხ. ფილმი „სტუმარი“
23.00 „ცხელი ცხრიანი“
00.20 რუს. მხ. ფილმი „აღმოსავლური რომანი“.

### იმედი

08.55, 11.55, 13.55, 15.55, 17.55, 20.55 ქრონიკა
09.00 „უცერემონიოდ“
09.30 სერიალი „იუდას ქალი“
10.30 არტ-ბულვარი
11.00 დოკ. სერიალი „ბრძოლა გადარჩენისათვის“
12.05 სერიალი „სახიფათო მოსახვევები“
13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ქრონიკა
13.15, 17.20, 00.10 იმედის მელოდიები
13.30 სერიალი „უკიდურესი ზღვარი“
14.05 სერიალი „ეარ ამერიკა“
15.15 ფანების კინოკლუბი „შინაურ ცხოველთა მაქებარი“
16.45 საღამოს ღიმილი
17.30 „პატრიარქი განმანათლებელთა მიწაზე“
18.05 სერიალი „იუდას ქალი“
19.30 სერიალი „სახიფათო მოსახვევები“
20.30 სპ. პროგრამა „ესტაფეტა“
21.05 სერიალი „ეარ ამერიკა“
22.45 „უცერემონიოდ“
23.20 სერიალი „ეროვნული უშიშროების აგენტი“
00.30 კინოვარსკვლავთა ღამე „ყინულის გული“ (ა.დელონი)

### აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.20 დოკუმენტური ფილმი
09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
09.10 სათავგადასავლო ფილმი „ბეთჰოვენი-3“
10.45, 14.30 მუსიკა
11.00 დოკუმენტური ფილმი
12.10 ფილმი-კატასტროფა „კონტაქტი“
14.35 მელოდრამა „ვარდების სარეცელი“
16.10, 19.20, 22.20, 00.20 საინფ. გამოშვება „ნოვოსტი“
16.20 მულტფილმი „შუბი ქვაში“
17.35 კომედია „ჟანდარმი და უცხოპლანეტელი“
19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება „დღეს“
19.30 „პირისპირ“
20.20, 22.40, 00.40 მუსიკა
20.30 თრილერი „ვასაბი“
22.45 კომედია „გამოუსწორებელი მატყუარა“
00.45 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
00.55 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
01.00 კომედია „საუკეთესო მეგობრის ქორწილი“
03.20 დოკუმენტური ფილმი
03.55 მელოდრამა „შემოდგომის ლეგენდები“

### VII არხი

09.10 მელოდია
09.25 „აჩიკუდა“
09.45 მოგილურები
10.35 მელოდია
11.00 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
11.30 „ბიორითმი“ - .
11.50 აუდიო-ვიდეო-ტელე
12.25 დისნეი და მისი მეგობრები
12.45 კომპიუტერული თამაშები
13.05 კომპიუტერული ტექნიკა
18.20 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
19.00 „აჩიკუდა“
19.25 მელოდია - მოკლე შეტყობინებები
20.30 კომპიუტერული თამაშები
20.35 ღამის კაპრიზი“ - თემა: „ „.
21.25 მოგილურები
22.20 „კინოკლუბი „ - „რასპუტინი“ . ისტორიული.რეჟ: ული ედელი. როლებში: ალან რიკმანი, გრეტა სკაკი
23.45 აუდიო-ვიდეო-ტელე
00.05 „ბიორითმი“ - .
00.25 კომპიუტერული ტექნიკა

### ОРТ

07.00 Новости
07.10 Худ.фильм „Вдали от Родины“
08.40 Мультфильм „Добрыня Никитич“
09.00, 11.00, 14.00, 19.00 Новости
09.10 „Играй, гармонь любимая!“
10.00 Худ.фильм „Наследницы“, 1 с.
11.10 „Ералаш“
11.30 „Кремль-9“
12.10 Комедия „Гусарская баллада“
14.00 Новости. Спец. выпуск
14.25 Концерт Н.Кадышевой и гр. „Золотое кольцо“
15.50 Праздничный „Сканер“
16.20 „Большие родители“. А.Миронов
17.05 Мелодрама „Золотой век“
19.10 Худ.фильм „Москва слезам не верит“, 1 и 2 с.
22.00 Время
22.30 „Кривое зеркало“. „Е.Петросян представляет...“
00.50 Худ.фильм „Цветы от победителей“
02.45 Худ.фильм „Свадьба Мюриэль“

### РТР

07.00 Детектив „Петровка, 38“
08.20 Мультфильмы „Трое из Простоквашино“, „Каникулы в Простоквашино“, „Вовка в тридевятом царстве“
09.20 „Утренняя почта“
09.55 „Комната смеха“
10.50 „Городок“. Дайджест
11.20 Мелодрама „Есения“
14.00, 15.00, 21.00 Вести
14.10 Худ.фильм „Гвардия не умирает“
15.20 Комедия „Полосатый рейс“
17.10 „Аншлаг“
18.10 Юбилейный концерт „А. Пахмутова. Лучшие песни“.
21.40 „Фантазии М. Задорнова 3“
23.15 Комедия“Операция „Ы“ и другие приключения Шурика“
01.20 Драма „Внутреннее расследование“
03.45 Сериал „Сеть“
04.35 Сериал „Дживс и Вустер“

### НТВ

07.35 Худ.фильм „Право на выстрел“
09.00, 13.00, 17.00, 20.00 „Сегодня“
09.15 Сериал „Дальнобойщики“
10.20 „Путешествия натуралиста“
10.50 „Вы будете смеяться!“
11.05 „Кулинарный поединок. Ф.Бондарчук и А.Новиков“
12.00 „Квартирный вопрос. Кабинет водителя трамвая“
13.15 Национальная премия „Олимп“
17.20 Худ.фильм „Кинг-Конг“
20.35 Сериал „Улицы разбитых фонарей“
21.45 Детектив „Тонкая штучка“
23.40 Док.фильм „Новейшая история. Президент Всея Руси“
01.05 Худ.фильм „Двойная жизнь“
03.05 Сериал „Доктор“

*პროგრამები იბეჭდება მედიასთან ურთიერთობის სააგენტო "ინფოზავრის" ნებართვით*

## აფიშა

### თეატრები

**თეატრალური სარდაფი**
"ფიგაროს ქორწინება", რეჟ. ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი
**ახმეტელის თეატრი**
პრემიერა "ზამთრის ღამის სიზმარი", რეჟ. დავით ანდღულაძე
დას: 18:00 სთ

### საგამოფენო დარბაზები

**ძველი გალერეა**
ჰოლანდიელი მხატვრის ანელის მიდდელის პერსონალური გამოფენა "საქართველოს სახე"
გახსნა 18:00 სთ
**მარჯანიშვილის თეატრი**
ვოლკანოს თეატრის სპექტაკლი "სიყვარული", რეჟ. ნაიჯელ ჩერნოკი
დას: 20:00 სთ; ფასი 8 ლარი
**„ქარვასლა„**
პოლონური პლაკატის გამოფენა
გახსნა 18:30 სთ
**N გალერეა**
პეტრე ბლიოტკინის 100 წლისთავის იუბილისადმი მიძღვნილი გამოფენა
**უნივერსი**
ირაკლი სუთიძის ნამუშევრების გამოფენა

### კინოთეატრები

**„ამირანი„**
"ჯუჯა ცხვირა"
დას: 12:00 სთ; ფასი 5,6 ლარი
"მატრიცა 2"
დას: 14:00; 19:00 სთ; ფასი 7-9 ლარი
"მდევარი"
დას: 17:00; 22:00 სთ; ფასი 7,8 ლარი
**„რუსთაველი„**
"X მენი 2"
დას: 15:00; 19:30 სთ; ფასი 5,7 ლარი
"დიდი ძარცვა"
დას: 17:30; 22:00; ფასი 5,9 ლარი
**„ელისო„**
"დიდი ძარცვა"
დას: 15:00 სთ; ფასი
"X მენი 2"
დას: 18:00 სთ; ფასი 5,7 ლარი
**კინოს სახლი**
ფრანგულ-გერმანული ფილმების დღეები
"კარნავალი", რეჟ. ტომა ვენსანი
დას: 16:00 სთ (ორიგინალური ვერსია); 19:00 სთ (ქართულ ენაზე)
დასწრება თავისუფალია


## ბინები

### იყიდება

იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 ; 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: ტელ: 94-12-12, იკითხეთ ლია.

**იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ. N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.**

იყიდება ან ქირავდება 5-ოთახიანი ბინა მაღალ ბელეტაჟზე კეკელიძის №25-ში. ბინის საერთო ფართი 160 კვ.მ. ავტონომიური გათბობის სისტემით, ბარით, სარდაფით და ავტოფარეხით. გაქირავების ფასი 380 $, გაყიდვის ფასი 50 000 $. 23 40 68, 8(93) 32 32 74

იყიდება ჩეხური პროექტის 3-ოთახიანი ბინა რჩეულიშვილის ქუჩაზე, კაპიტალური სარდაფით, ავტოფარეხით, ტელეფონით, კონდიციონერით, წყლის გამაცხელებლით. ფასი 24 000$. ტელ 29-17-53, 899 548425

**იყიდება!**
**სასწრაფოდ, ოროთახიანი (გადაკეთებული 4-ად) არასტანდარტული მაღალჭერიანი (3.10მ) კუთხის ბინა 9(9) საბურთალოზე, ს. ზაქარიაძის ქუჩაზე (მ. "გოცირიძე"). საერთო ფართი135 კვ.მ. 3 აივნით, 2 ტუალეტით, 2 სათავსოთი, სარდაფით, ტელეფონით, ბ/ა. ფასი შეთანხმებით.**
**ტელ: 39-53-41 69-94-27 ბელა.**

**იყიდება 1500 კვ.მ. ხეხილიანი სააგარაკე მიწის ნაკვეთი. შემოღობილი. არის სარწყავი წყალი, დენი, კარგი გზა, სახლის ფუნდამენტი. თბილისიდან 20 კმ-ში გომბორის გადასახვევამდე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 23-11-38**

**იყიდება 3-ოთახიანი არასტანდარტული, მაღალჭერიანი კუთხის ბინა ბუნებრივი აირით, გოგირდის წყლით, რკინის კარით, მუხის პარკეტით, ორმხრივი მიშენების პერსპექტივით, კეთილმოწყობილი სარდაფით, ავტომობილის გასაჩერებელი ადგილით "რუსთავი 2"- ის უკან. ფასი: 30 000$. ტელ: 39-30-54.**

იყიდება დოლიძის ქუჩაზე 5-ოთახიანი ნათელი ბინა 2(8) დარჩენილია კოსმეტიკური სამუშაო, ორი აივნით, დიდი სათავსით, მანქანის სადგომით. ფასი: 32 000$. ტელ: 23-11-38

იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50

**იყიდება 2-ოთახიანი ბინა ლოჯიით. ვერცხლის ქ.50. ტელ: 98-61-12**

**განვადებით შევიძენ 2 ან 3 ოთახიან ბინას 3 000 დოლარის წინასწარ გადახდით. ტელ: 77-73-54, 77-75-73 კახა.**

იყიდება 4-ოთახიანი, მაღალჭერიანი (3⁴⁰) ბინა მე-5 სართულზე დაშენების პერსპექტივით ვაგზლის მოედანთან. 39-75-68 ქეთი.

იყიდება "ჩეხური", გარემონტებული 3-ოთახიანი ბინა 3(9), მე-5 მ/რ-ის ბოლოში. ფასი: 9 000. ტელ: 96-78-96.

## ბინები

### ქირა, გირაო

ქირავდება სახლი დიდი ეზოთი შუა წყნეთში, მუდმივი ცივი და ცხელი წყლით, აუზით და ყველა პირობებით. 22-87-41, 887 570257.

**ქირავდება 4-ოთახიანი ახალი ბინა მეტრო დელისთან, ზაქარიაძის ქ.8-ში ("პარლამენტის სახლში") მდებარე ახლადაშენებული სახლის მე-10 სართულზე, კარგი რემონტით, საერთო ფართი 160 კვ.მ. 3 საძინებლით, 3 სველი წერტილით, წყლით, გაზით. 4 აივნით. ბინა ცარიელია, გამოდგება საოფისედაც. ფასი შეთანხმებით. ტელ. 39-74-56 მამუკა.**

**ქირავდება!**
**სახლი ალმაშენებლის გამზ. N151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ. ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097**

**ქირავდება 4-ოთახიანი 125 კვ.მ ფართის ბინა, სათავსოებით, ცხელი წყლით, მუდმივი დენით, ბ/ა-ით ბარათაშვილის N12-ში 7(7), მუშაობს ლიფტი.**
**ტელ: 99-74-83, 99-93-62.**
**19.00 სთ-ის შემდეგ.**

**ქირავდება 1-ოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა სოლოლაკში. ყველა საჭირო ინვენტარით. 98-94-74.**

## კომერც. ფართი

**ქირავდება 45 კვ.მ საოფისე კეთილმოწყობილი ფართი, ცხელი წყლით, ტელეფონით, მუდმივი დენით ლეონიძის ქ. N8-ში (ყოფილი კიროვის).**
**ტელ: 99-74-83, 99-93-62.**
**19.00 სთ-ის შემდეგ.**

## მანქანები

**იყიდება BMW-320, 2 -კარებიანი, 6 ცილინდრიანი ძრავით, 1984 წლის გამოშვება, ფასი 1000$. ტელ: 29-00-92.**

იყიდება ოპელი სენატორი 6 ცილინდრიანი ძრავით 2,6 1991 წლის გამოშვება, სრული ელპაკეტით. ფასი: 3500$. ტელ: 899-28-30-52.

იყიდება გოლფი-3 92 წლის გამოშვება 1.8 ძრავი, 2 კარიანი ლურჯი ფერის. ფასი 2800$. ტელ: 893 347536.

## სწავლება

**ლონდონში სტაჟირებული სპეციალისტი შეგასწავლით ინგლისურ ენას ინდივიდუალურად თქვენი მიზნების გათვალისწინებით. ტელ: 96-64-12, 893 219442, 95-20-34.**

შევასწავლი გიტარაზე დაკვრას. ტელ: 77-50-08, 893 284596 ზურა.

შევასწავლი გერმანულ ენას. ტელ: 32-03-71, მობ. 899 298805

## სხვადასხვა

იყიდება ქალის უხმარი გერმანული ნაცრისფერი ფეხსაცმელი დაბალ ქუსლზე 40-41 ზომა. 39-75-68 ქეთი.

იყიდება საორსულო ტანსაცმელი და ბანდაჟები, მოხრილობის, წელისა და ფეხის ასადგმელი ქამრები, სუპინატორები ბრტყელტერფიანებისთვის და ორთოპედიული ბალიშები. ტ. 53-46-41.

რეალურ ფასებში! დაგიმზადებთ და დაგიმონტაჟებთ რკინის კარებს, გისოსებს, ჟალუზებს, ფარდა-ჟალუზებს და სხვა ლითონნაკეთობებს. ტელ: 95-38-11

შევაკეთებ და ვიყიდი ახალ საბეჭდ მანქანას "ოპიმას და უნის". ფასი შეთანხმებით. 31-58-79.

ფუნქციონირებს მოსწავლეთა ბანაკი თბილისის ზღვაზე 09.00-დან 17.00 საათამდე, ორჯერადი კვებით. 95-32-42, 95-18-49, 95-00-56 მერი სვანიძე.

**ვამზადებთ წვეულებებისთვის მრავალფეროვან კერძებს (როგორც ქართულს, ასევე, ეგზოტიკურს). შეკვეთისათვის დაგვიკავშირდით ორი დღით ადრე.**
**მის: ა. ყაზბეგის N55ა (კაფე "ჩარგალის" პირდაპირ) – კაფე "ცეზო".**
**ტელ: 39-46-30, 899 978757**
**მაკა ან ცეზო.**

**კაზინო "მუმიას" ესაჭიროება კვალიფიციური დილერები. მისამართი მეტროსადგურ "ვარკეთილი"-ის თავზე.**
**ტელ: 899 584855**


## განცხადება

**ს.ს "რუსთავცემენტის" საერთო კრების შესახებ**

2003 წლის 23 ივლისს 12 საათზე

**გაიმართება ს.ს "რუსთავცემენტის" აქციონერთა საერთო კრება შემდეგ მისამართზე – ქ. რუსთავი. მშნებელთა ქ. 70.**

**დღის წესრიგი:**

1. ს.ს დირექტორთა ანგარიში 2002 წელს გაწეული მუშაობის შესახებ;
2. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში;
3. ინფორმაცია საზოგადოების აუდიტორული შემოწმების შედეგების შესახებ;
4. დირექტორთა საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება;
5. აუდიტორული დასკვნის დამტკიცება;
6. 2003 წლისათვის აუდიტორის არჩევა.

აქციონერთა საერთო კრების სააღრიცხვო დღე დანიშნულია ა/წ 23 ივნისს

**დირექტორთა საბჭო**



# ფოლკლორული კრუიზი

### ინტერნაციონალური ინტერმედია



ნოდარ მალაზონია

მიუხედავად იმისა, რომ მარიონეტების თეატრში სეზონი კარგა ხნის დახურული იყო, ერთ კვირა დღეს რეზო გაბრიაძემ თავის დასს მაინც მოუხმო.

ჩვენ ჩვენი საქმით ვიყავით გართული, როცა კარები გაიღო და დარბაზში რამოდენიმე სტუმარი შემოვიდა. თუმცა ბნელოდა, (მხოლოდ სცენა იყო განათებული) მე მაშინვე შევიცანი ერთ-ერთი მათგანი.

რეზო გაბრიაძის "მარიონეტებს", ცნობილი დანიელი კარიკატურისტი ჰერლუფ ბიდსტრუპი ესტუმრა, თავისი ქალიშვილითა და შვილიშვილით. როცა გიდმა სტუმრები გაგვაცნო მე ისე, რომ ჰერლუფისთვის, გამოწვდილი ხელი არ გამიშვია, ღიმილით ვკითხე:

- გახსოვთ ჩვენი "ფოლკლორული კრუიზი" დასავლეთ საქართველოში, თხუთმეტი წლის წინათ?!

- ოცი წლის წინათ. - მოკლედ მომიჭრა ბიდსტრუპმა ისე, რომ ოდნავადაც არ შეცვლია გამომეტყველება. მისმა გაჩხინკულმა შვილიშვილმა კი, რომელიც ბაბუას გვერდზე ედგა და მუხლებამდე შემოწკეპილი, გახეხილი ჯინსები ეცვა, თავაზიანად გამიღიმა, გოგონა საოცრად ჰგავდა დედამისს.

ოცი წელი! მართლაც არადა რა დრო გაპარულა! მე მაშინ ორმოცისაც არ ვიყავი, ჰერლუფი კი ახლაც თითქოს ისევ ისეთია, თუმცა ოდნავ მხრებში მოხრილა და ძველებურად უტყვი და ცივია.

აი, ამ შეხვედრამ გამახსენა ჩვენი კურიოზებით სავსე კრუიზი, რომლის მოყოლაც თქვენთვის გადავწყვიტე.

■ ■ ■

სამოციანი წლების ერთ ჩვეულებრივ დღეს, მხატვართა კავშირიდან დამირეკეს. – ბატონმა უჩამ გთხოვათ, რომ მოხვიდეთო (მაშინ მხატვართა კავშირი, რუსთაველზე, რესტორან "დარიალის" თავზე იყო).

თავმჯდომარის ოთახში, ზურაბ ლეჟავას, ჟანი მეძმარიაშვილისა და სხვა კოლეგებს შორის, ორი უცხოელი სტუმარიც დამხვდა.

მალე ყველაფერი გაირკვა. მე, ზურაბი, ჟანი, გიგლა ფირცხალავა, შურა ბანძელაძე და ლია წილოსანი ("ზარია ვასტოკას" კორესპონდენტი), ჰერლუფ ბიდსტრუპის მეუღლითურთ, სიმონეთში – დავით კლდიაშვილის დაბადებიდან 100 წლისთავის საიუბილეო ზეიმზე, უნდა გავყოლოდით და გვემასპინძლა.

ვოიაჟს, იმთავითვე მომხიბლავს ხდიდა, ქართლისა და იმერეთის თვალწარმტაცი პეიზაჟები და ახალი სიმონეთის, ჩოხოსანი იმერლების ტაშფანდური.

- ფოლკლორ, ფოლკლორ!.. – წინდაწინვე, აწონებდა გიგლა სტუმრებს მარშრუტს.

ბიდსტრუპს, მანამდე მხოლოდ თავისი პოლიტიკური კარიკატურებით ვიცნობდი, რომლებიც ნაკლებად მომწონდა, რადგან იგი, ევროპელი კომუნისტური იდეოლოგიის ტიპიური წარმომადგენელი იყო, რისთვისაც მას ჩვენ ხშირად ხუმრობით, ჰერლუფ - ეფიმოვიჩადაც კი მოვიხსენიებდით (ბორის ეფიმოვი, ცნობილი საბჭოთა პოლიტიკური კარიკატურის მეტრი). ეხლა კი, როცა პირადად გავიცანი, ერთხელ კიდევ დავრწმუნდი იმაში, რომ ასეთი უემოციო კაცისაგან, სხვა არც იყო მოსალოდნელი.

მახსოვს გიგლამ, რა არ გააკეთა იმისათვის, ჰერლუფი რამეთი მოეხიბლა, მაგრამ ამაოდ. ბიდსტრუპის ერთადერთი საზრუნავი, მხოლოდ მისი ჩიბუხი იყო, რომელსაც გამუდმებით აფშუკუნებდა და ელოლიავებოდა.

უვარგისმა გზამ, დანჯღრეულმა ტრანსპორტმა, (მხატვართა კავშირის "პობედა" და გიგლას "მოსკვიჩი") სიცხემ, უსაშველოდ მომქანცველი და აუტანელი გახადა ყველაფერი.

შუადღე გადასული იყო, თაკარა მზე, რომ ისევ ცეცხლს უკიდებდა თერჯოლას. ბიდსტრუპმა, როგორც იქნა ორი სიტყვა ამოღერღა და "ჰოტელი", რომ გავიგონე მივხვდით რაც სურდა.

ფეხს ავუჩქარე. გამვლელს, - სასტუმრო საით არის მეთქი, ვკითხე და ეხლა უკვე "ჰოტელისაკენ", სირბილით გავქანდი, რადგან გულმა ხიფათი მიგრძნო.

სასტუმროში (თერჯოლის სასტუმრო სკოლის ტიპის ოთხსართულიან ახალ შენობაში იყო განთავსებული) შევვარდი თუ არა, შარდისა და ოფლის სულისშემხუთავი სუნი დამეძგერა (მიუხედავად იმისა, რომ ყველა სართულის ყველა ფანჯარა და კარი ღია იყო). ხოლო იქვე სიცხისაგან გათანგული ნახევრად ტიტველ მობინადრეთა ხვრინვა-ხროტინი იქაურობას მეტად კოლორიტულს ხდიდა.

არავის ჩემთვის არ ეცალა და არ უკითხავს თუ რად დავძრწოდი ამაოდ, ხან ზევით და ხან ქვემოთ.

- ადმინისტრატორი! მორიგე! მორიგე!!! – ვიყვირე მე, როცა დავრწმუნდი, საქმეს ცუდი პირი უჩანდა.

- რაშია, ბატონო, საქმე, რა გაყვირებს ნეტაი მახელას! – მომესმა საიდანღაც ახლადგამოღვიძებული მამაკაცის ხმა.

- ადმინისტრატორი! - ისევ ვიყვირე მე.

- აგერ ვარ, ბატონო... კი მარა, რაია ნეტაი კიდევ ამისთანა?! – ისევ იგივე ხმა გავიგონე, ფეხების ტყაპუნთან ერთად და როცა იქითკენ მივიხედე, დავინახე თუ დერეფნის ბოლოს, როგორ გამოლასლასდა, ქვედასაცვლების ამარა ფეხშიშველა კაცი.

- პატრონი არ ჰყავს ამ სასტუმროს?!

- სიმონეთში არიან ბატონო, ზეიმზე, - მითხრა ნახევრად ტიტველმა კაცმა მთქნარებითა და თავის ფხანით.

- თქვენ ვინ ხართ?!.

- მე ბატონო, მორიგე ვარ! – მერე შემხედა, ხელები უმწეოდ გაშალა და თავი შემაცოდა, - დეიწვა, ბატონო, ქვეყანა!... ბოდიში, ეხლავე გადავიცვამ რასმეს და...

ერთი კარგი ოთახი მჭირდება სასწრაფოდ!

- სადაა, ბატონო ოთახი, ვერ ხედავთ, ხალხი იატაკზე, რომ ყრია?..

წყალი ან ტუალეტი?!

- წყალი ე, "უმივალნიკშია", ეგერ ეე!.. – მითხრა მორიგემ და ხელი დერეფნის მეორე მხარეს გაიშვირა, სადაც "მარმარილოს პირსაბანი" იდგა (იმხანად პოპულარული, უკან წყალის ჭურჭელჩამოკიდებული, წინ ონკანითა და ქვემოთ კარადაში, შედგმული ვედროთი, ნაბანი წყლისათვის).

მე "უმივალნიკს" მივაშურე და ონკანი გავხსენი.

- ეს რა, უწყლოდ?! – იქედანვე გამოვძახე მორიგეს.

- წყალს, ეხლავე მოვიტან, ბატონო!..

- არიქა, ჩქარა! – ისევ შევუძახე მორიგეს, როცა თვალი მოვკარი კიბეებზედ ამომავალ სტუმრებს.

- ეხლავე ბატონო! – დამპირდა მორიგე და სადღაც წაფრატუნდა.

ვერაფრით აღვწერ დღეს, თუ რა ჭირის ოფლი მასხამდა მაშინ.

- აქეთ, მეგობრებო! – ვთქვი ქართულად და შევეცადე, სტუმრები ცოტა ხნით მაინც აივანზედ გამეტყუებინა.

შემოვიდნენ თუ არა დერეფანში, ბატონი ჰერლუფი და ქალბატონი ჰილდა, ერთი შექანება შექანდნენ, მაგრამ ევროპულმა აღზრდამ არც აქ უმტყუნათ.

"მოწამლული ზონა", მტკიცედ სუნთქვაშეკრულებმა გაიარეს და როგორც შევიტყვე, მხოლოდ აივანზედ ამოისუნთქეს.

ბიჭებმა "თვალწარმტაცი" პეიზაჟისაკენ გაიშვირეს ხელი და თავიანთი აღტაცება ვერ დაუმალეს სტუმრებს. მე ისევ დერაფანში შევვარდი და დავინახე თუ არა მორიგე, წყლით სავსე ვედროთი, პირსაბანს ვეცი, ჭურჭელს თავი ავხადე, მორიგეს წავეშველე და ორთავემ ერთი ვედრო წყალი, თქრიალით ჩავუშვით შიგ. შემდეგ, საეჭვოდ თეთრი ხელსახოციც მომაწოდა და კომპლიმენტს დაელოდა.

- კაცი ხარ კაცური, მაგრამ ახლა ამათ ნუ გადამირევ თუ ძმა ხარ, – დაყვავებით ვუთხარი, ხელით ვანიშნე, აქაურობას რაც შეიძლება, ჩქარა გაეცალე-მეთქი და ისევ აივანზედ გავვარდი, სტუმრებს იმედიანი ღიმილით შევხედე და პირსაბანთან მივიპატიჟე.

როცა დერეფნისკენ შემოვბრუნდი, ელდა მეცა. ვიღაც ბანჯგვლიანი დათვკაცი დავინახე (ალბათ, წყლის ხმაზედ გამოეღვიძა). "დათუნიამ" ჯერ საგულდაგულოდ შეავსო თავისი ტორები, ჩემს სისხლისფასად მოპოვებულ წყალს ქარიშხალივით ჩაუბერა შიგ (შადრევანივით რომ გაშლილიყო). მერე, - პრუ, პრუ, პრუუო... დაიძახა და ხელების სწრაფი მოძრაობით, სახე, კისერი, მკერდი, მუცელი, ზურგზედ წყალი გადაიტყაპუნა და ისევ სიამით, პრუ, პრუ, პრუუო... – მიაყოლა. შემდეგ იატაკზედ დაღვრილ გუბეში ფეხებიც შეათამაშა და ონკანს თავიც შეუშვირა.

ახლა ორი უსწრაფესი ამოცანა გამიჩნდა გადასაჭრელი: ერთი – წყალი გადამერჩინა და მეორე – ეს ბანჯგვლიანი "დათუნია" დაუყოვნებლივ მომეცილებინა იქაურობისთვის, ისე, რომ სტუმრებს არ დაენახათ.

დაყოვნება კატასტროფის ტოლფასი იყო. მე უცებ გიჟივით მოვწყდი ადგილიდან, როგორც მოსისხლე მტერს, ისე ვეცი, "დათუნიას" და ტუნტულა კეფაში ვთხლიშე.

- ნიფხავი, ნიფხავიც გაგერეცხა, იქნებ?! – დავჭყივლე მე.

- ააა... – ჩაიბურდღუნა, დათუნიამ და გვერდზე გადაბარბაცდა.

დავაგვიანე! როცა მოვიხედე, ქალბატონი ჰილდა და ბატონი ჰერლუფი ჩემს გვერდით იდგნენ. ორთავემ შესაშური სიმშვიდით გახედა "დათუნიას", რომელიც თავისი ოთახისაკენ ბურდღუნ-ბურდღუნით გაძუნძულდა; მერე ჰერლუფმა მეუღლე მიიპატიჟა პირსაბანთან, როცა ქალბატონმა ჰილდამ იუარა, ჰერლუფი ჯერ შეყოვნდა, შემდეგ ფრთხილად ფეხი ისე გადადგა, რომ წყლის გუბეში არ ჩაედგა, შორიდანვე გადაიხარა, ონკანი ფრთხილად შემოაბრუნა, თითები ყასიდად დაისველა, ასევე შუბლზედ ფასონად მოისვა სველი თითები, თავაზიანად დაგვიკრა თავი და ცოლ-ქმარმა "ჰოტელის" ახროტინებულ-აშმორებული დერეფანი აჩქარებული ნაბიჯით დატოვეს.

როცა სიმონეთში ჩავაღწიეთ, ზეიმი უკვე დამთავრებული იყო. ჩვენ მუზეუმს უცხო ჭირისუფლებივით შემოვუარეთ და იქვე ქანცგაცლილებმა სახლის ჩეროში მოვიკალათეთ, როცა ბიდსტრუპებს გავხედე ორთავეს სახეზედ მიტკლის ფერი ედოთ.

გიგლამ სადღაც, "შემოდგომის აზნაურს" მიაგნო და ჰერლუფს წარუდგინა.

- ფოლკლორ, ფოლკლორ!.. – საგანგებოდ შეუქო გიგლამ ცოცხალი ექსპონატი ჰერლუფს, მაგრამ მალე მიხვდა, რომ ამაოდ. ბერიკაცს ჩოხაზედ მართლაც უხდებოდა თეთრი წვერ-ულვაში, ხოლო შარვალი რომ უძიროების ნაცვლად წინდებში ჰქონდა ჩატანებული, ლაპლაპა შავ კალოშებზედ, ეს უკვე მართლაც ვერაფერი "ფოკლორული" გახლდათ.

ახლა ჩვენ ისევ თერჯოლაში უნდა მივბრუნებულიყავით სადაც, გრანდიოზული სადღესასწაულო ბანკეტი გველოდა. ათასკაციან თვალუწვდენელ სუფრაზედ ათი ათასი კაცის სამყოფი ხორაგი ეყარა, რომლებსაც პურისმჭამელთა "სპა" უკვე შესეოდა.

დარბაზში შესვლაც ვერ მოვასწარით, გულითადმა მასპინძლებმა, კარებშივე რომ მოგვტაცეს საპატიო სტუმრები და სადღაც სეფე ადგილისაკენ გააქანეს.

ლუკმა ყელში არ გადამდიოდა, ხოლო როდესაც ბიდსტრუპები დავლანდე და დავინახე, თუ ჰერლუფს როგორ ჩააპირქვავებინეს მიჯრით რამოდენიმე ჩაის ჭიქა ღვინო, ხოლო შემდეგ მეტრიანი ყანწიც შეაჩეჩეს ხელებში, მივხვდი, საბოლოოდ განწირულები ვიყავით. გამოსავალი კი ერთადერთი იყო, როგორმე რაც შეიძლებოდა ჩქარა გავცლოდით იქაურობას და როგორც იქნა, ბიდსტრუპები მოვიტაცეთ და დედაქალაქისაკენ დავიძარით.

უკვე შუაღამე იყო სასტუმრო "თბილისს" რომ მივაღწიეთ. ჰერლუფი ზურგზედ მოვიკიდეთ და ოთხმა კაცმა დიდის ვაივიშით ლოგინამდე ცოცხალ-მკვდარი მივიტანეთ და ქალბატონ ჰილდას "ჩავაბარეთ".

მაგრამ ამით როდი დასრულდა თურმე ჩვენი კრუიზი. გიგლა იქედანვე ბატონ უჩასთან მივარდნილა, - ჰერლუფი გვიკვდება და კარგი იქნება, თუ დილით პახმელიაზე ხაშით განგვკურნავთო...

უთენიაზედ, (მიამბო შემდეგ ბატონმა უჩამ) ბიდსტრუპები ძალისძალათ წამოვყარეთ ლოგინიდან და თათრის მოედანზედ გავაქანეთ.

ჯერ კიდევ ბნელოდა, სახაშეში რომ ჩავედით. ძილმღვიძარე ერთმანეთს ჩამოკიდებულმა ცოლქმარმა როცა თვალი მოავლეს იქაურობას და დაინახეს, თუ როგორი სიამით ხვრეპდნენ რაღაც თეთრ წვენს ერთობ საეჭვო ჰაბიტუსის გურმანები... როცა ჩვენს მაგიდაზედ დაახვავეს: შოთი პურები, ლიმონათი, კონიაკი, ნიორწყლებით, პირთამდე სავსე გაქონილი ჯამებით ჩაზუმზუმებული ჩლიქ-წვნიანი და შემდეგ გვერდით შავი, დაგრეხილი ალუმინის კოვზებიც შემოუწყვეს. მაშინ კი მივხვდი, თუ რა გამოუსწორებელი შეცდომა დავუშვი, მაგრამ უკვე გვიანღა იყო...

ჰერლუფმა ჯერ მძაღედ შეავლო თვალი მაგიდას, მერე ყინულისებრი სიფათით შემომხედა, მეუღლეს ანიშნა, მომყევიო და ასე ხახაგამომშრალნი მე და გიგლა, იქვე მიგვატოვეს...

■ ■ ■

თქვენ პირველად ხართ საქართველოში? – ვკითხე ჰერლუფის შვილიშვილსა და ქალიშვილს.

- დიახ! იცით, ამჯერად ბაბუა, ჩემი დაჟინებითი თხოვნით ჩამოვიდა ისევ საქართველოში. – მიპასუხა შვილიშვილმა, შემდეგ წამიერად შეყოვნდა და ისევ განაგრძო: - მე იმდენი კარგი რამ მიამბო თქვენი ქვეყნის შესახებ ბაბუამ, რომ... – იგი ისევ შეჩერდა, გამიღიმა და... - მინდოდა, ყოველივე ჩემი თვალით მენახა.

მე ამაოდ ჩავხედე თვალებში გოგონას!...







ზურაბ ლეჟავას ილუსტრაციები "სამანიშვილის დედინაცვალისთვის"



## კალეიდოსკოპი

### ელვისი ლივერპულში

შაბათს, ლივერპულში ელვის პრესლის ფანებისთვის უმნიშვნელოვანესი ექსპოზიცია იხსნება. გამოფენილი კოლექცია აშშ-ს ფარგლებს გარეთ უდიდესია, რომელიც პრესლის ბიოგრაფიას და მის საყვარელ ნივთებს მოიცავს.

ექსპოზიციას "ელვისის თითის ანაბეჭდები" ჰქვია და წარმოდგენილ ნივთებს შორის არის "ჰარლი დევიდსონის" ის მოტოციკლეტიც, რომელსაც მუსიკოსი არასდროს იშორებდა გვერდიდან და ასევე მისი საყვარელი "მერსედესიც". სხვათა შორის, გამოფენა ამართლებს სათაურსაც და წარმოდგენილია, მუსიკოსის თითის ანაბეჭდებიც – მისი აღება ელვისს იარაღის ლიცენზიისთვის დასჭირდა. ექსპონატები დროებით გამოფენას მთლიანად პრესლის ორმა კოლექციონერმა შესწირა.

გამოფენის ლივერპულში მოწყობის იდეა პრესლის უდიდესი მუსიკალური მემკვიდრეობის გამო დაიბადა. მის სტილს ხომ ლივერპულელი ოთხეულის ჩამოყალიბებაზე გადამწყვეტი გავლენა ჰქონდა. შოუს ერთ-ერთი ორგანიზატორი ჯერი გოლდმენი აცხადებს: "ელვისი ისეთ დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა "ბითლზ"-ზე, რომ ერთხელ ჯონ ლენონმა თქვა კიდეც, რომ ელვისამდე მუსიკაში არაფერი არ იყო". ხოლო პრესლის ნახევარძმა, დევიდ სტენლი, რომელიც, სხვათაშორის, გამოფენაზე თანდართულ აუდიო-განმარტებებს თავად წარმოადგენს, დასძენს: "ეს არის შოუ, რომელიც მუსიკის ისტორიით დაინტერესებულ უკლებლივ ყველა ადამიანს დააინტერესებს. ელვისი ჩვენი დროის, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მუსიკოსია, ამიტომაც მისი პირადი გამოფენის მოწყობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება".

მართლაც, ლივერპულში შაბათისთვის დაგეგმილ პრეზენტაციას ელვის პრესლის მუსიკის ბევრი თაყვანისმცემელი ელოდება. გრეისლენდი ხომ ევროპიდან ძალიან შორსაა და პრესლის რიგითი ფანისთვის ამერიკაში მოგზაურობა იოლი არ გახლავთ. მელომანებს განსაკუთრებით ახარებთ ის ფაქტი, რომ გამოფენას კონკრეტული ვადები არ აქვს. ის მანამ გაგრძელდება, სანამ დამთვალიერებელი ეყოლება.

### ჰილარი კლინტონის წიგნმა რეკორდები მოხსნა

წიგნის მაღაზიებში ორშაბათს გამოჩენილმა ჰილარი კლინტონის წიგნმა არამხატვრული ლიტერატურის გაყიდვების ყველა რეკორდი მოხსნა. ნიუ იორკის სენატორისა და აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტის მეუღლის წიგნი დღემდე 200 ათასი ეგზემპლარი გაიყიდა. გამომცემლობა Simon & Schuster-ის წარმომადგენელთა თქმით, ქალბატონ კლინტონის ნამუშევარს ისეთივე გამოხმაურება მოჰყვა საზოგადოებიდან, როგორც სტივენ კინგისა და ტომ კლენსის ბესტსელერებს ხვდათ წილად.

"ცოცხალ ისტორიაში", რაშიც ჰონორარის სახით ჰილარი კლინტონმა 8 მილიონი დოლარი მიიღო, იგი ცხოვრების იმ პერიოდს იხსენებს, როდესაც მისი მეუღლე თეთრ სახლში მუშაობდა. წიგნში ჰილარიმ არ დამალა საკუთარი მოსაზრებები პრეზიდენტ კლინტონისა და მონიკა ლევინსკის სექსუალური ურთიერთობების შესახებ.

აშშ-ში წიგნი მილიონიანი ტირაჟით გამოვიდა. თუმცა, ორშაბათსვე გახდა ცნობილი, რომ დაიბეჭდებოდა დამატებითი ტირაჟი 300 ათასიანი რაოდენობით. აშშ-ს ყოფილი პირველი ლედის წიგნზე საავტორო უფლებები მსოფლიოს ათობით ქვეყანაშია გაყიდული.

დღეს
ხუთშაბათს, 12 ივნისს



1991 წელი: ფილიპინებზე პინატუბოს ვულკანის ამოფრქვევის შედეგად დაიხურა აშშ-ს უდიდესი სამხედრო ბაზა მთელ აზიაში.

1667 წელი: საფრანგეთში გამოიყენეს ცხვრის სისხლი და ისტორიაში პირველად განახორციელეს სისხლის წარმატებული გადასხმა.

1929 წელი: დაიბადა ანა ფრანკი, ებრაელი გოგონა, რომელიც თავისი დღიურების წყალობით ისტორიაში შევიდა.

1975 წელი: ინდოეთის პრემიერი ინდირა განდი არჩევნებში გაყალბების მეთოდების გამოყენებაში დაადანაშაულეს. თუმცა, განდიმ გადადგომაზე უარი განაცხადა.

1991 წელი: ბორის ელცინი გახდა რუსეთის პირველი, პირდაპირი წესით არჩეული ლიდერი.

2000 წელი: აშშ-ში ჩატარებული კვლევის შემდეგ დაასკვნეს, რომ სიკვდილით დასჯის ამერიკული კანონები "სავსე იყო შეცდომებით".

Picture: Associated Press © GRAPHIC NEWS

# მოდის დღესასწაული ლონდონში



მოდელი ემი ნიკელსონი

ლონდონში უკვე მეთორმეტედ გაიმართა მოდისა და დიზაინის სასწავლებლების კურსდამთავრებულთა ყოველწლიური კვირეული Graduate Fashion Week, რომელზეც წამყვანი ბრიტანული უმაღლესი სკოლების კურსდამთავრებულები მოდის ინდუსტრიის პროფესიონალებს თავიანთ შემოქმედებას აცნობენ.

ჟიური საკმაოდ კომპეტენტური იყო. მის შემადგენლობაში სოფია კოკოსალაკი, ლიბერტი როსი, სანდრა როუდსი და სხვები შედიოდნენ. წლევანდელი კვირეულის უმაღლესი ჯილდო და წლის საუკეთესო დიზაინერის წოდება ლონდონის მოდის კოლეჯის სტუდენტს, იოკო ოიშიტაკეს მიენიჭა. იოკო მამაკაცის ტანსაცმლის საუკეთესო დიზაინერადაც აღიარეს.

ქალის ტანსაცმლის საუკეთესო დიზაინერი ასევე ლონდონის მოდის კოლეჯის სტუდენტი, ჯუნ მინ იო გახდა, უნივერმაღებისთვის განკუთვნილი საუკეთესო კოლექციის ავტორი ედინბურგის სამხატვრო სკოლის წარმომადგენელი, ლინდსი სკოტი გახლავთ, და სხვა და სხვა – ყველა ნომინანტის ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანდა.

ბრიტანული "მოდის სასწავლებლები" მსოფლიოს უდიდესი მოდის სახლებისთვის დიდი იმედების მომცემი დაწესებულებებია. ასე, მაგალითად, Louis Vuitton-ის დღევანდელ შემოქმედთა სამი მეოთხედი ბრიტანეთში სწავლობდა. იგივე მდგომარეობაა "ალექსანდერ მაკქუინსა" და "ვივიენ ვესტვუდთანაც".

# ეგვიპტეში "მატრიცა" აიკრძალა




ძმები ვახოვსკების 1999 წლის კინოჰიტის მეორე ნაწილი ეგვიპტელი ცენზორების მსხვერპლი გახდა – ეგვიპტის სახელმწიფო კომისიამ ცენზურის დარგში კინოთეატრებში "მატრიცა გადატვირთვა" აკრძალა. ამის მიზეზად მათ სურათის "ანტიისლამურობა" და "პროსიონისტობა" დაასახელეს.

"მატრიცა" "ანტისემიტურია", რადგანაც ის შეიცავს ძალადობის სცენებს; ძალადობა კი იმ ადამიანებისკენაა მიმართული, ვინც "ისლამის მშვიდობიანი იდეოლოგიის" წინააღმდეგია, - აცხადებენ ცენზორები. ამას გარდა, მათი აზრით, ფილმში საკმაოდაა ეროტიკაც. აი, თუ რატომ არიან ფილმის მთავარი გმირები მკვეთრად გამოხატული სიონისტები, "ანტიმატრიცული" კოალიციის წევრებმა ამის დაზუსტება არ ისურვეს. სამაგიეროდ თქვეს: აუცილებელია მთელი ფილმის აკრძალვა, გარკვეული სცენების ამოჭრით ფილმი მაინც არ იქნება ალლაჰისთვის სასურველიო.

სხვათა შორის, თავის დროზე, იმის მიუხედავად, რომ ადგილობრივი პრესა აჭრელებული იყო მასალებით, რომელთაც დაახლოებით ასეთი პათოსი ჰქონდა: "ასეთი კინო ჩვენ არ გვჭირდება". "მატრიცას" პირველი ნაწილი ეგვიპტის კინოთეატრებში მაინც აჩვენეს. დაახლოებით მსგავსი სიტუაცია იყო სულ ცოტა ხნის წინათ კორეის ნაციონალურ-დემოკრატიულ რესპუბლიკაში, როდესაც ამ ქვეყნის მცხოვრებლებმა პროტესტი გამოუცხადეს ფილმს "მოკვდი მეორე დღეს". შეგახსენებთ, ქვეყნის ხელისუფლებას მოეჩვენა, რომ უკანასკნელი ფილმით აგენტ 007-ზე კორეელი ხალხის გაბრაზება სურდათ.




# კომერციული თუ მხატვრული ფოტო?







მომავალი გამოფენის ექსპონატები

21 ივნისიდან ჰააგის ფოტოგრაფიის მუზეუმში გაიხსნება გამოფენა სახელწოდებით - Solar - Section One. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ახალგაზრდა ხელოვანთა ნამუშევრები, ეს ის ფოტოხელოვანებია, რომლებიც ამტკიცებენ რომ ფოტოგრაფია ფოტოხელოვნებაა და არ შეიძლება მისი დაყოფა მხატვრულად და კომერციულად. კომერციული ფოტო არ გამორიცხავს მის მხატვრულ ღირებულებას, კარგი კომერციული ფოტო თავისთავად ნიშნავს, რომ მას არა მარტო კომერციული მიზნით აქვს გამართლება, არამედ მხატვრულადაც ფასეულია.

გამოფენის მონაწილეთა ინტერესებს იცავს სააგენტო Solar Initiative, რომელიც 1995 წლიდან არსებობს. ამ სააგენტოს სახელწოდებიდან მომდინარეობს გამოფენის სახელიც. ფოტოგრაფებს, რომელთა ნამუშევრებიც ჰააგის მუზეუმში გამოიფინება, მუშაობის მეთოდები და პრინციპები აერთიანებს. ისინი „ნატურიდან" გადაღებას ანიჭებენ უპირატესობას და შეგნებულად ერიდებიან სტუდიაში გადაღებას, მუშაობენ ფერით და ფართო ფორმატის ფირით. ეს ხელოვანები მაქსიმალური რეალისტურობისკენ მიილტვიან და ამიტომ მათი ფოტოები მინიმალურ დამუშავებას მოითხოვს. მათი აზრით, ნამდვილმა ოსტატმა თავიდანვე კარგად უნდა შეარჩიოს განათება და გარემო გადაღებისთვის.

ექსპოზიციაზე გამოტანილი ფოტოები 1999-2003 წლით თარიღდება. ეს ე.წ. კომერციული ფოტოებია. იმის ხაზგასასმელად, რომ ნამუშევრებს ჭეშმარიტად მხატვრული ღირებულება აქვთ, ფოტოებზე არაა მიწერილი შემკვეთის სახელი.

ჰააგის ფოტოგრაფიის მუზეუმში გამოფენა Solar - Section One 14 სექტემბრამდე გაგრძელდება. ექსპონატების დათვალიერება ინტერნეტ-საიტზეც არის შესაძლებელი - www.solar.nl

## კროსვორდი



მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაცია აცხადებს კონკურსს უფროსი ფინანსური ოფისერის თანამდებობის დასაკავებლად მის მიერ განხორციელებული საერთაშორისო პროექტებისათვის.

სამუშაო ადგილი: თბილისი

კანდიდატს მოეთხოვება:

- უმაღლესი განათლება ფინანსების სფეროში;
- საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის ცოდნა;
- საბუღალტრო სისტემის საერთაშორისო სტანდარტების ცოდნა;
- "ორისის" საბუღალტრო სისტემაში მუშაობის ცოდნა;
- საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილება;
- ინგლისური ენის ცოდნა;
- პრაქტიკული ბუღალტრული მუშაობის გამოცდილება;
- ჯგუფური მუშაობის უნარი.

კანდიდატი ვალდებულია:

- მოამზადოს ყოველთვიური, კვარტალური და წლიური ფინანსური ანგარიშები ასოციაციის მიერ განხორციელებული ცალკეული პროექტებისათვის საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- უზრუნველყოს ასოციაციის ფინანსური სახელმძღვანელოს, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის ნორმების, საჭიროების შემთხვევაში, დონორი ორგანიზაციების საფინანსო პროცედურების დაცვა;
- მონაწილეობა მიიღოს ასოციაციის წლიური ბიუჯეტის შედგენაში, საჭიროების შემთხვევაში დამოუკიდებლად შეადგინოს ასოციაციის მიერ განხორციელებული პროექტის ბიუჯეტი;
- აწარმოოს ურთიერთობა ოფიციალურ პირებთან და სახელმწიფო სტრუქტურებთან სხვადასხვა საგადასახადო და ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით.

დაინტერესებულ კანდიდატს სასურველია ჰქონდეს საერთაშორისო აუდიტორული შემოწმების გამოცდილება.

ანაზღაურება კონკურენტუნარიანია.

დაინტერესებულ პირებს, გთხოვთ, გამოაგზავნონ რეზიუმე ფაქსით: 98-62-91 ან ელ-ფოსტით: aplr@caucasus.net ან წარმოადგინონ მისამართზე: გაგარინის I შესახვევი №8, თბილისი.

რეზიუმეების წარმოდგენის ბოლო ვადაა 18 ივნისი, 18.00 საათი. გასაუბრებაზე დაიშვებიან მხოლოდ შერჩეული პირები.

# წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.